

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი
მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
კანონის პროექტის
რეგულირების ზეგავლენის შეფასება

**„პროდუქტის უსაფრთხოებისა და
თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ“
კანონის პროექტის
რეგულირების ზეგავლენის შეფასება**

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ.

სექტემბერი, 2023 წელი

სარჩევი

აკრონიმები და აბრევიატურები.....	6
შემაჯამებელი მიმოხილვა	7
1. შესავალი.....	13
2. პრობლემის განსაზღვრა.....	14
2.1 პრობლემის მიმოხილვა	14
2.1.1 რა გამოწვევებია პროდუქტის უსაფრთხოების მიმართულებით?	14
2.1.2 რა არის მწარმოებლის ვალდებულება ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსებისთვის?	16
2.1.3 როგორ განვითარდება პრობლემა?	17
2.1.4 რა არის პრობლემის მამოძრავებელი ფაქტორები?	24
2.2 არსებული მარეგულირებელი ნორმები	25
2.2.1 საკანონმდებლო ჩარჩო	25
2.2.2 პოლიტიკის დოკუმენტები	29
2.3 საერთაშორისო გამოცდილება	30
2.3.1 ევროპული დირექტივა	31
2.3.2 ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა.....	33
2.4 პრობლემის მონაცემთა ანალიზი: არსებული ტენდენციები	44
2.3.1 საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები სასაქონლო ჯგუფების მიხედვით	44
2.3.2 საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები.....	53
2.3.3 იმპორტიორი და მწარმოებელი ეკონომიკური სუბიექტები	55
2.5 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები	64
2.5.1 დასახული მიზნების კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან	65
3. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან	67
4. მიზნები	84
4.1 ზოგადი მიზნები.....	84
4.2 კონკრეტული და ოპერაციული მიზნები	84
5. პოლიტიკის ალტერნატივები.....	86
5.1 ალტერნატივების უპირატესობები და რისკები	91
6. ზეგავლენის შეფასება.....	93
6.1 ხარჯ-სარგებლის ანალიზი.....	93
6.1.1 ბაზრის ზედამხედველი ორგანოს ხარჯები	94
6.1.2 ალტერნატივების რაოდენობრივი ზეგავლენა	95

6.1.3	მეორე ალტერნატივის რაოდენობრივი ზეგავლენა	96
6.2	მრავალკრიტერიუმანი ანალიზი.....	98
6.2.1	შეფასებების მეთოდები (ეფექტიანობის და ფისკალური გავლენის კრიტერიუმისთვის)	99
7.	ალტერნატივების შედარება	109
7.1	ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი.....	109
7.2	ხარჯთეფექტიანობის ანალიზი.....	109
7.3	უპირატესი ალტერნატივა	113
8.	მონიტორინგი და შეფასება.....	115
9.	კომპეტენტური პირის ხელმოწერა.....	116
10.	დანართები.....	117
	ჯარიმების სახეები და განაკვეთები (ლარი)	117
	მწარმოებლების და მიმწოდებლების მიერ შევსებული კითხვარის შედეგები.	118
	ზედამხედველი ორგანოს ადმინისტრაციული ხარჯები და შემოსავლები (ალტერნატივა 1) .	120
	ზედამხედველი ორგანოს ადმინისტრაციული ხარჯები და შემოსავლები (ალტერნატივა 2) .	121
	პოლიტიკის ამოცანების რანჟირება დაწყვილებული შედარებითი ანალიზით	122

ცხრილები

ცხრილი 1.	მრავალკრიტერიუმანი ანალიზის შედეგები.....	11
ცხრილი 2.	პრობლემის ხე.....	24
ცხრილი 3.	იმპორტიორთა და მწარმოებელთა რაოდენობა.....	56
ცხრილი 4.	ლაქ-საღებავების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი).....	57
ცხრილი 5.	სათამაშოების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი).....	58
ცხრილი 6.	სამშენებლო მასალების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)	59
ცხრილი 7.	მანქანა-დანადგარების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი).....	60
ცხრილი 8.	პერსონალური დაცვის საშუალებების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)	60
ცხრილი 9.	აირზე მომუშავე აპარატურის იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)	61
ცხრილი 10.	LVD აპარატურის იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი).....	62
ცხრილი 11.	მდგრადი განვითარების ეროვნული ამოცანები.....	65
ცხრილი 12.	დაინტერესებულ მხარეთა ინტერესის/ზეგავლენის რუკა.....	67
ცხრილი 13.	კონსულტაციების შედეგები.....	81

ცხრილი 14. კონკრეტული მიზნები და ინდიკატორები	84
ცხრილი 15. პირველი ალტერნატივის წმინდა ხარჯ-სარგებელი (ათასი ლარი)	96
ცხრილი 16. მეორე ალტერნატივის წმინდა ხარჯ-სარგებელი (ათასი ლარი)	97
ცხრილი 18. ზეგავლენის შეფასება.....	104
ცხრილი 17. თვისებრივი ანალიზის შედეგები	108
ცხრილი 19. ალტერნატივების ზეგავლენის შეჯამება.....	112
ცხრილი 20. ამოცანების შესრულების პერიოდი და პასუხისმგებელი უწყებები.....	115

დიაგრამები

დიაგრამა 1. ლაქ-საღებავების იმპორტი	44
დიაგრამა 2. ლაქ-საღებავების ექსპორტი	45
დიაგრამა 3. სათამაშოების იმპორტი.....	45
დიაგრამა 4. სათამაშოების ექსპორტი	46
დიაგრამა 5. სამშენებლო მასალების იმპორტი	47
დიაგრამა 6. სამშენებლო მასალების ექსპორტი.....	47
დიაგრამა 7. მანქანა-დანადგარების იმპორტი	48
დიაგრამა 8. მანქანა-დანადგარების ექსპორტი	49
დიაგრამა 9. პერსონალური დაცვის საშუალებების იმპორტი.....	49
დიაგრამა 10. პერსონალური დაცვის საშუალებების ექსპორტი	50
დიაგრამა 11. აირზე მომუშავე ხელსაწყოების იმპორტი	51
დიაგრამა 12. აირზე მომუშავე ხელსაწყოების ექსპორტი.....	51
დიაგრამა 13. LVD პროდუქციის იმპორტი.....	52
დიაგრამა 14. LVD პროდუქციის ექსპორტი	53
დიაგრამა 15. 2018-2023 წლებში, 7 ჯგუფის პროდუქციის იმპორტი.....	54
დიაგრამა 16. იმპორტი პროდუქციის ჯგუფების მიხედვით.....	54
დიაგრამა 17. 2018-2023 წლებში, 7 ჯგუფის პროდუქციის ექსპორტი	55
დიაგრამა 18. 2021 წელს, იმპორტიორი კომპანიების ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით (მლნ. ლარი).....	63

აკრონიმები და აბრევიატურები

საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
BDD	ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები
CBA	ხარჯ-სარგებლის ანალიზი
GPSR	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების რეგულაცია
MSA	სსიპ ბაზარზე შედამხედველობის სააგენტო
NPV	წმინდა მიმდინარე ღირებულება
WB	მსოფლიო ბანკი

შემაჯამებელი მიმოხილვა

წინამდებარე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში განხილულია საქართველოს ორგანულ კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც ითვალისწინებს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციების ეფექტურობის ზრდას და ნორმების დარღვევის ადეკვატური ჯარიმების შემოღებას.

საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრების საჭიროება განპირობებულია არასასურსათო პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტური სისტემის დანერგვის მიზნიდან გამომდინარე, მოთხოვნებთან შეუსაბამო ან/და საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ან/და აღკვეთის გზით, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს პროდუქტით გამოწვეული ზიანისგან დაცვისათვის.

აღნიშნული ანგარიში მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ.

კვლევის მიზნები

წინამდებარე კვლევის მიზანია მოახდინოს პოლიტიკის ზეგავლენის შეფასება, კერძოდ:

- გაანალიზოს პრობლემა და პრობლემის არსი, განსაზღვროს პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტები და შეაფასოს როგორც არსებული პრაქტიკა, ასევე, შემოთავაზებული მიდგომა;
- გაანალიზოს სხვადასხვა ვარიანტებთან დაკავშირებული ხარჯები, სარგებელი და მათი მოსალოდნელი ზეგავლენა.

მეთოდოლოგიური მიდგომა

წინამდებარე რეგულირების ზეგავლენის შეფასება მომზადდა „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N35 დადგენილების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ [„ნორმატიული აქტების შესახებ“](#) საქართველოს ორგანული კანონის 17¹ მუხლის შესაბამისად, რეგულირების ზეგავლენის შეფასება სავალდებულოა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ გარკვეულ საკანონმდებლო აქტების ნუსხაში შემავალ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას, როდესაც ამ კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, სწორედ იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხაშია, რომელზეც სავალდებულოა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადება.

პასუხისმგებელი უწყების გადაწყვეტილებით, მომზადდა სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში. სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადებისას დადგინდა, რომ შერჩეული ალტერნატივის განხორციელების ხარჯი კანონის (მისი ძირითადი ნაწილის რეგულირების) ამოქმედებიდან მომდევნო 3 უწყვეტი წლის განმავლობაში 10 მლნ. ლარს არ აღემატება. ამასთან, კონსულტაციების პროცესმა ცხადყო, რომ არსებული საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრება სრულიად მისაღებია როგორც საჯარო, ასევე, კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის და აღნიშნული საკითხი, ფაქტობრივად არ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას მხარეებს შორის.

წინამდებარე კვლევა განხორციელდა 2023 წლის ივლისიდან 2023 წლის სექტემბრის პერიოდში. მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები იყო:

- **სამაგიდო კვლევა** - განხორციელდა ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობისა და მონაცემებთან დაკავშირებული ფართო ლიტერატურის შეფასება;
- **ექსპერტული დახმარება** - AA Facility-ს ფარგლებში მოწვეული ექსპერტის მიერ, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ბაზარზე ზედამხედველობის ქართული კანონმდებლობის დახვეწისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, ასევე შემუშავდა ანგარიში ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის არსებული ჯარიმების შედარებითი ანალიზის თაობაზე.
- **კონსულტაციები** - კონსულტაციები განხორციელდა როგორც საჯარო, ასევე, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, მათ შორის, ადგილობრივ მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან, ეკონომიკური ოპერატორებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. კვლევის პროცესში 7 მეწარმე სუბიექტთან ჩატარდა ინტერვიუ და 20-ზე მეტმა ეკონომიკურმა ოპერატორმა შეავსო კითხვარი. ინტერვიუები და კითხვარის შევსება განხორციელდა 2023 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში.
- **მონაცემთა ანალიზი** - ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზდა და შეფასდა შემოთავაზებული პოლიტიკის მოსალოდნელი ზეგავლენა, ასევე, შეფასდა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

კონსულტაციები და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

კვლევის პროცესში დაინტერესებული მხარეები დაჯგუფდა მათი ინტერესისა და ზეგავლენის თვალსაზრისით. კონსულტაციების პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობა და მათი პოზიციების შესწავლა და ანალიზი, განსაკუთრებით მეწარმე სუბიექტების, ვისზეც მაღალი ზეგავლენა აქვს განხილული პოლიტიკის ვარიანტებს.

შიდა კონსულტაციები ჩატარდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლებთან. გარე კონსულტაციები და ინტერვიუები კი განხორციელდა კერძო სექტორის და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ კონსულტაციების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეწარმე სუბიექტების მონაწილეობა და მათი პოზიციების მიღება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

კონსულტაციების პროცესში, 2023 წლის აგვისტოში, დაახლოებით 40 მეწარმე სუბიექტთან გაიგზავნა სპეციალური კითხვარი და 20-მა კომპანიამ, მათ შორის სხვადასხვა სახის პროდუქტის მწარმოებლებმა, იმპორტიორებმა, მიმწოდებლებმა და რეალიზატორებმა, გაგვიზიარეს საკუთარი პოზიციები და შეფასებები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეწარმე სუბიექტების მიერ ძირითადი აქცენტი გაკეთდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა, კანონმდებლობის დაცვის კონტროლის გაძლიერება, ზედამხედველი ორგანოს მიერ მეტი კონტროლის განხორციელება პროდუქტის ხარისხის მიმართულებით, ფალსიფიცირებული პროდუქტის აღმოფხვრით და საზიფათო პროდუქტების შემცირებით მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის უზრუნველყოფა, ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიმართ თანაბარი პირობების დაწესება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და სხვა.

პრობლემის აღწერა და მიზნები

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების, არსებული კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე, RIA-ს გუნდმა გამოავლინა ძირითადი პრობლემა, რომლის თანახმად, **არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე ზედამხედველობას დაქვემდებარებული პროდუქტების ეფექტურ ზედამხედველობას.** პრობლემის გამომწვევი მიზეზები შეიძლება დაჯგუფდეს სამ მსხვილ პრობლემად:

პრობლემა 1. ნორმების დარღვევის ადეკვატური ჯარიმების არარსებობა;

პრობლემა 2. ზედამხედველი ორგანოს მიერ შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო სათანადო რესურსების, მათ შორის, ადამიანური რესურსების, ნაკლებობა;

პრობლემა 3. ზედამხედველი ორგანოს სამსახურის მიზნების, მისი სოციალური სარგებლიანობისა და ფუნქციების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე.

სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ზოგადი მიზანი, რომელიც ნათლად გამოიკვეთა კონსულტაციების პერიოდში, არის ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებით საფრთხის შემცველი და შეუსაბამო პროდუქტების მავნე ზეგავლენისგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე, პირთა საკუთრებისა და გარემოს დაცვის

უზრუნველყოფა. ზოგად მიზანთან ასოცირდება ქვემოთ მოხსენებული რამდენიმე კონკრეტული მიზანი:

მიზანი 1. საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისი ეფექტური ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარება;

მიზანი 2. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ინსტიტუციონალური განვითარება შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვის გზით;

მიზანი 3. ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში დარღვევის ადეკვატური ჯარიმების დანერგვა;

მიზანი 4. ზოგადი უსაფრთხოების და მოთხოვნებთან შესაბამისი პროდუქტების ბაზარზე განთავსების ხელშეწყობა და შეუსაბამობების აღკვეთა/პრევენცია.

პოლიტიკის ალტერნატივები

წინამდებარე RIA ანგარიში ახდენს პოლიტიკის შემდეგი ალტერნატიული ვარიანტების შედარებას:

პოლიტიკის ალტერნატივა 0: საბაზისო სცენარი, რაც გულისხმობს არსებული პოლიტიკის უცვლელად დატოვებას;

პოლიტიკის ალტერნატივა 1: ბაზარზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება და ადმინისტრაციული ჯარიმების გაზრდა;

პოლიტიკის ალტერნატივა 2: ბაზარზე ზედამხედველი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება.

პოლიტიკის ალტერნატივების შეფასება

RIA-ს გუნდმა შეისწავლა პოლიტიკის შემოთავაზებული ალტერნატიული ვარიანტების რაოდენობრივი ზეგავლენა სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის, გავლენა საჯარო ფინანსებზე. კვლევაში ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში შეფასდა ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისათვის და აღსრულებისთვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები, ასევე, მარეგულირებელი ნორმის თაობაზე ბიზნესის ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრების უზრუნველყოფა, შესაბამისი განმარტებების მომზადება და ვებ-გვერდზე განთავსება. კვლევაში თვისებრივი ანალიზის ნაწილში, შეფასდა ბიზნესის შესაბამისობის ხარჯები, რაც დაკავშირებულია ნორმებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ჯარიმების და სანქციების დაწესებასთან.

სარგებლის თვალსაზრისით შეფასდა შესაძლო დარღვევების შედეგად მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები.

მოცემული კვლევის მრავალკრიტერიუმანი ანალიზის ნაწილში კი, პოლიტიკის ორივე ალტერნატივა, საბაზისო სცენართან მიმართებით, შეფასდა ეფექტიანობის, ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და განხორციელების მიხედვით. კრიტერიუმების წონები დადგინდა ანალიტიკური იერარქიის პროცესის (AHP) მეთოდის გამოყენებით. კვლევაში თანამიმდევრულობის ინდექსმა (C.I) შეადგინა 0.078, ხოლო შეფასების უტყუარობის წილადმა 0.070, ამდენად $CR=7.0\% < 10\%$.

ბოლოს შეჯამდა და ერთმანეთს შედარდა ალტერნატივების ზეგავლენა. ხარჯ-სარგებლის ანალიზის მიხედვით პირველ ალტერნატივას, ნაკლები ადმინისტრაციული დანახარჯების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს მეორე ალტერნატივასთან მიმართებით. რაც შეეხება თვისებრივ ანალიზს, ამ შემთხვევაშიც, პირველ ალტერნატივას მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს მეორე ალტერნატივასთან შედარებით, როგორც ეფექტიანობის, ასევე, ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვის და განხორციელების თვალსაზრისით. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია პოლიტიკის ალტერნატივების მრავალკრიტერიუმანი ანალიზის შედეგები.

ცხრილი 1. მრავალკრიტერიუმანი ანალიზის შედეგები

	საბაზისო	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
ადმინისტრაციული წმინდა მიმდინარე ღირებულება, 2024-2033 (ათასი ლარი)		(3,680.2)	(6,659.1)
ეფექტიანობა 1	--	++++	+++
ეფექტიანობა 2	---	++++	++
ეკონომიკური	--	+++	++
სოციალური	---	+++	++
გარემოსდაცვითი	0	+++	++
განხორციელება	0	+++	++

პოლიტიკის ალტერნატივები, ასევე, შეფასდა ხარჯთეფექტიანობის ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რომლის თანახმად, პირველი ალტერნატივის შემთხვევაში, მოვაჭრეების სავარაუდო სარგებელი მიღებული კანონდარღვევებისგან უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე მეორე ალტერნატივის შემთხვევაში და უფრო ნაკლები, საბაზისო სცენართან მიმართებით. შედეგად, საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრების და საზედამხებლო ფუნქციის გაძლიერების ეფექტიანობის კოეფიციენტი პირველი ალტერნატივის შემთხვევაში ყველაზე დადებითი შედეგის მქონეა.

ამრიგად, ალტერნატივების შედარება და მრავალკრიტერიუმანი ანალიზი აჩვენებს პირველი ალტერნატივის ცალსახა უპირატესობას როგორც მეორე ალტერნატივასთან, ასევე, საბაზისო სცენართან მიმართებით. პირველი ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს ჯარიმების გაზრდას და ბაზარზე ზედამხედველი ორგანოს ინსტიტუციურ გაძლიერებას, მეორე ალტერნატივასთან შედარებით, დაკავშირებულია ნაკლებ ადმინისტრაციულ ხარჯთან და პრობლემის აღმოფხვრის ეფექტიან მიდგომასთან.

1. შესავალი

წინამდებარე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში მიზნად ისახავს საქართველოს ორგანული კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრების მიმართულებით ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის შეფასებას, ამასთან, ანალიზებს შესაძლო ცვლილებების ზემოქმედებას პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია უზრუნველყოს მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა უსაფრთხო პროდუქტებზე. ზოგადად, ქვეყანაში არსებული სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს არასასურსათო სამომხმარებლო პროდუქტების უსაფრთხოებას და მომხმარებლის დაცვას საშიში პროდუქტებისგან, ამასთან, ხელს უწყობს ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას. თუმცა, დღეს, ბაზარზე ზედამხედველობის არსებული მექანიზმი არ ითვალისწინებს ადეკვატურ ჯარიმებს პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რაც ზოგადად განაპირობებს, როგორც მომხმარებელთა, ასევე, ეკონომიკური ოპერატორების არასრულ დაცვას. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დღის წესრიგში დადგა ჯარიმების განაკვეთების გადახედვის აუცილებლობა, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრის მონაწილე ყველა მხარის დაცვის სისტემის გაძლიერებას. კერძოდ, ბაზარზე ზედამხედველობის მიზანია, რომ პროდუქტები შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთი საჯარო ინტერესების დაცვის მაღალ დონეს, როგორიცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, კერძოდ, მომხმარებელთა დაცვა, გარემოს დაცვა და კანონმდებლობით დაცული ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. ამ მოთხოვნების მტკიცე აღსრულება არსებითია ამ ინტერესების სათანადო დაცვისთვის და საქართველოს ბაზარზე პროდუქტებისთვის სამართლიანი კონკურენციის პირობების შესაქმნელად და განსავითარებლად.

წინამდებარე რეგულირების ზეგავლენის შეფასება მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N35 დადგენილების შესაბამისად. კვლევა განხორციელდა 2023 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში.

ანგარიში მოიცავს 8 თავს, კომპეტენტური პირის ხელმოწერას და დანართებს. დანართებში მოცემულია კვლევის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა მეთოდების შედეგები, ცხრილები და ინტერვიუს დროს გამოყენებული კითხვარი.

2. პრობლემის განსაზღვრა

2.1 პრობლემის მიმოხილვა

კვლევები და დაინტერესებული მხარეების შეფასებები აჩვენებს, რომ პროდუქტის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული კანონმდებლობა და ეფექტიანი საზედამხედველო სისტემა მთლიანობაში აღწევს თავის მიზნებს - უზრუნველყოფს მომხმარებელთა უსაფრთხოებას და ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირებას. თუმცა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი სახიფათო პროდუქტი აღწევს ან რჩება მომხმარებლების ხელში.

შეუსაბამო და საფრთხის შემცველი პროდუქტები მოქალაქეებს რისკის ქვეშ აყენებს და ხელს უშლის სამართლიან კონკურენციას. შესაბამისად, აუცილებელია ეკონომიკური ოპერატორებისთვის მკაფიო, გამჭვირვალე და ყოვლისმომცველი წესების მიწოდება, ხოლო ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შესაბამისობის კონტროლის მექანიზმების გაძლიერება და ამასთან, აღმასრულებელი ორგანოების შესაძლებლობების განვითარება.

ამ მიზნით უმნიშვნელოვანესია ბაზრის ზედამხედველობა, რომელსაც საქართველოში ახორციელებს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო¹, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. სააგენტო ბაზარზე ზედამხედველობას ახორციელებს ორი მიმართულებით - ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებზე და სამომხმარებლო პროდუქტებზე. სააგენტოს მიზანია უზრუნველყოს, რომ ბაზარზე არსებული პროდუქტები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონებს, რეგულაციებს და იცავდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს.

ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიზანია შეზღუდოს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამო ან/და საფრთხის შემცველი პროდუქტების ბაზარზე ხელმისაწვდომობა, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების და გარემოს დაცვის მიზნით. გააუმჯობესოს მომხმარებელთა ინფორმირების და ცნობიერების დონე, ბაზარზე დაუშვას მხოლოდ სანდო და შესაბამისად შემოწმებული პროდუქცია მოსალოდნელი საფრთხისგან თავის არიდების მიზნით.

2.1.1 რა გამოწვევებია პროდუქტის უსაფრთხოების მიმართულებით?

საგულისხმოა, რომ ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტების განთავსება და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეფექტიანი საზედამხედველო სისტემის არსებობაზე. თავის მხრივ, ბაზარზე ზედამხედველობა ხარისხის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს და გავლენას ახდენს ხარისხის ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებზე, როგორცაა, სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია, შესაბამისობის შეფასება. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე

¹ სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო; <http://www.msa.gov.ge/geo>

მნიშვნელოვანი გავლენა ბაზარზე ზედამხედველობას აქვს მომხმარებლებზე და ეკონომიკურ ოპერატორებზე.

კონსულტაციების პროცესში, კომპანიების მხრიდან გამოიკვეთა სხვადასხვა ფაქტორები, რაც მნიშვნელოვანია მომხმარებელთა დაცვის თვალსაზრისით. სათამაშოების იმპორტიორ კომპანია „ანვოლ კავკასიაში“ და კომპანია „პეპელაში“ აცხადებენ, რომ რამდენიმე ფაქტორმა შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს იგი.

მათ შეფასებით, შემდეგი ფაქტორები, ხელს უწყობენ მომხმარებელთა დაცვას:

მკაცრი რეგულაციები: მტკიცე კანონები და რეგულაციები, რომლებიც ადგენენ მკაფიო უსაფრთხოების სტანდარტებს პროდუქტებისთვის. ეს რეგულაციები უნდა მოიცავდეს ყველაფერს, დიზაინიდან და წარმოებიდან, ეტიკეტირებამდე და მარკეტინგამდე.

ეფექტური მარეგულირებელი სააგენტოები: მარეგულირებელ სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ რესურსები, უფლებამოსილება და გამოცდილება, ამ რეგულაციების აღსასრულებლად. მათ უნდა შეეძლოთ ინსპექტირების ჩატარება, პროდუქტების ტესტირება და დამრღვევთა წინააღმდეგ ზომების მიღება.

პროდუქტის ტესტირება და სერტიფიცირება: დამოუკიდებელი ტესტირებისა და სერტიფიცირების ორგანოებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ პროდუქტები აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების სტანდარტებს. სასერთიფიკატო ნიშნების მქონე პროდუქტები ხშირად უფრო უსაფრთხოდ ითვლება მომხმარებლების მიერ.

გამჭვირვალე ინფორმაცია: მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ წვდომა პროდუქტების შესახებ ზუსტ და გასაგებ ინფორმაციაზე, მათ შორის უსაფრთხოების გაფრთხილებებზე, გამოყენების ინსტრუქციებსა და პოტენციურ რისკებზე.

გახსენების სისტემები: სახიფათო პროდუქტების ბაზრიდან გამოძახებისა და ამოღების ეფექტური სისტემები აუცილებელია. ეს მოითხოვს თანამშრომლობას მწარმოებლებს, საცალო ვაჭრობასა და მარეგულირებელ სააგენტოებს შორის.

მომხმარებელთა განათლება: მათი უფლებების, პროდუქტის უსაფრთხოებისა და არაუსაფრთხო პროდუქტების ამოცნობისა და შეტყობინებების შესახებ მომხმარებელთა სწავლებამ შეიძლება გააძლიეროს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება.

მამხილებელთა დაცვა: მამხილებელთა დაცვა, რომლებიც აცხადებს სახიფათო პროდუქტებს, წაახალისებს ინდუსტრიის ინსაიდერებს, გამოაქვეყნონ კრიტიკული ინფორმაცია.

გლობალური თანამშრომლობა: ვინაიდან პროდუქტები ხშირად კვეთენ საზღვრებს, საერთაშორისო თანამშრომლობა და სტანდარტების ჰარმონიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთელ მსოფლიოში მომხმარებელთა თანმიმდევრული დაცვის უზრუნველსაყოფად“.

ხოლო ფაქტორები, რომელიც **ხელს უშლის** მომხმარებელთა დაცვას, შემდეგია:

რესურსების ნაკლებობა: მარეგულირებელი სააგენტოების არასაკმარისი დაფინანსება და პერსონალი დაბალი კვალიფიკაცია, ვინაიდან მათი მხრიდან უნდა განხორციელდეს თანაბარი კონტროლი ყველა ბიზნეს სექტორისთვის. დღეის მდგომარეობით ძალიან ბევრი ბიზნესია, რომელიც არ იცავს ეტიკეტირების ნიშნებს, თუმცა არ ხდება მათი მონიტორინგი შესაბამისი უწყების მხრიდან.

ინდუსტრიის გავლენა: ძლიერი ინდუსტრიების ლობირება და გავლენამ, შეიძლება შეასუსტოს ან შეაფერხოს უსაფრთხოების აუცილებელი რეგულაციების ამოქმედება.

ყალბი პროდუქტები: ყალბი საქონლის გავრცელება ართულებს სახიფათო პროდუქტების წყაროს დადგენას და მწარმოებლების პასუხისმგებლობის დაკისრებას.

გლობალური მიწოდების ჯაჭვები: გლობალური მიწოდების კომპლექსურმა ქსელებმა შეიძლება რთული გახადოს პროდუქციის წარმოშობის თვალყურის დევნება და უსაფრთხოების თანმიმდევრული სტანდარტების უზრუნველყოფა.

ეკონომიკური ზეწოლა: მწარმოებლების მიერ დანახარჯების შემცირების ზომებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს პროდუქტის უსაფრთხოებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არის ინტენსიური ფასების კონკურენცია.

ელექტრონული კომერციის გამოწვევები: ელექტრონული კომერციის ზრდამ გააადვილა სახიფათო პროდუქტების ბაზარზე შესვლა, რადგან ონლაინ პლატფორმებს შეიძლება არ ჰქონდეთ ზედამხედველობის იგივე დონე, როგორც ტრადიციულ საცალო ვაჭრობას.

2.1.2 რა არის მწარმოებლის ვალდებულება ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსებისთვის?

მწარმოებელი ვალდებულია, პროდუქციის ბაზარზე განთავსებამდე უზრუნველყოს პროდუქტის **შესაბამისობის შეფასება** კონკრეტული პროდუქტისთვის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ძირითად მოთხოვნებთან. პროდუქტი, რომლის წარმოების პროცესში არ არის გამოყენებული ევროპული ჰარმონიზებული სტანდარტები ან გამოიყენება ნაწილობრივ, აღნიშნული პროდუქტი ექვემდებარება შესაბამისობის შეფასებას.

აღნიშნულ შეფასებას მწარმოებელი ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც საქართველოში აკრედიტირებული შემფასებელი ორგანო, ისე ევროკავშირისა და OECD-ის ქვეყნებში აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანო, რომლებიც შემდგომში რეგისტრირდებიან აკრედიტაციის ცენტრში.

იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტისთვის მოთხოვნები დადგენილია შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტით და მწარმოებელი იყენებს ამ უკანასკნელს, მას აქვს შესაძლებლობა აღნიშნული განხორციელოს თვითდეკლარირების (შიდა საწარმოო კონტროლის) საფუძველზე. რაც შეეხება შიდა საწარმოო კონტროლს, იგი წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ასრულებს განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს მისთვის ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ მოთხოვნებს.

მწარმოებელი ვალდებულია შექმნას პროდუქტის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და ასევე, უნდა შეიცავდეს რისკის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას. ამასთან, ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს პროდუქტის პროექტირების, წარმოებისა და ექსპლუატაციის ეტაპებს.²

2.1.3 როგორ განვითარდება პრობლემა?

ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია საქართველოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობა დოკუმენტური ან/და ტექნიკური შემოწმებით, ხოლო დადასტურებული საფრთხის შემთხვევაში ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება პროდუქტის წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში. სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება ეკონომიკური ოპერატორისთვის პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვის ან/და განადგურების შესახებ. ასევე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების არსებობის შემთხვევაში, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები და გადააგზავნოს შესაბამის სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება და მომხმარებლისათვის ასეთ პროდუქტზე ხელმისაწვდომობა უშუალოდ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობის სფეროა. შესაბამისად, სააგენტოზე პირდაპირ აისახება არსებული მდგომარეობის და პრობლემის ტენდენციები. სააგენტოს მიერ გაწეული ძალისხმევა, დახარჯული ფინანსები და დრო, ზოგჯერ გამოიხატება ისეთი ჯარიმის ოდენობით, რომელსაც არ აქვს პრევენციული ხასიათი და ეკონომიკური ოპერატორები, აღნიშნული ჯარიმის სანაცვლოდ, კვლავ აგრძელებენ შეუსაბამო პროდუქტების რეალიზაციას.

არსებული პრობლემის ძირითადი ტენდენციები შემდეგია:

² წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 მაისის N134 დადგენილება „შესაბამისობის შეფასების მოდულების, ქვემოდულების და მათთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრის შესახებ“; იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1936749?publication=0>

2021-2022 წლების განმავლობაში, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ სამომხმარებლო პროდუქტების შემთხვევაში განხორციელდა **334 შემოწმება**, თითოეული შემოწმების ფარგლებში შემოწმდა რამდენიმე პროდუქტი. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამო იყო და შესაბამისად, რეალიზაცია შეუჩერდა, ამოღება ან გამოთხოვა მოხდა **219 შემთხვევაში**, რაც საერთო შემოწმებების **65%-ს შეადგენს**, კერძოდ:

- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა 150 ტიპის სათამაშო. ხოლო, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებისადმი შეუსაბამო იყო და შესაბამისად, რეალიზაცია შეუჩერდა, ამოღება ან გამოთხოვა მოხდა 117 ტიპის სათამაშოს შემთხვევაში;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 38 ინდივიდუალური დაცვის საშუალება, ხოლო, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებისადმი შეუსაბამო იყო და შესაბამისად, რეალიზაცია შეუჩერდა 20 ტიპის ინდივიდუალური დაცვის საშუალებას;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 146 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობა, ხოლო, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებისადმი შეუსაბამო იყო და შესაბამისად, რეალიზაცია შეუჩერდა 82 ტიპის აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობას.

ქვემოთ მოცემულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განხორციელებული შემოწმების და იდენტიფიცირებული საფრთხის შემცველი პროდუქტების შესახებ საჯარო ინფორმაცია.

<p>კატეგორია: სათამაშო</p> <p>მოკლე აღწერა შეუსაბამობისა და საფრთხის:</p> <ol style="list-style-type: none">1. ლაბორატორიული შემოწმებისას დადგინდა, რომ სათამაშოს სძვრება საღებავი, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სასუნთქი გზების დაზიანება და ბავშვის გაგუდვა.2. ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ სათამაშო შეიცავს 191.8 მგ/კგ ტყვიას, რაც 95.9-ჯერ აღემატება სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ დასაშვებ ლიმიტს - 2.0 მგ/კგ-ზე ნაკლები ან ტოლი. <p>კატეგორია: ლაქ-საღებავები</p> <p>მოკლე აღწერა შეუსაბამობისა და საფრთხის:</p> <ol style="list-style-type: none">1. ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ლაქში ტყვიის შემცველობა არის 105,4 ppm რაც აღემატება ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ ნორმატიულ ზღვარს (≤ 90 ppm).³

ამასთან, 2022-2023 წლების განმავლობაში სამომხმარებლო პროდუქტების შემთხვევაში გამოიცა 126 დადგენილება (2022 წელს - 78 დადგენილება, 2023 წლის 8 თვეში - 48

³ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო - საფრთხის შემცველი პროდუქტები; იხ. ბმული: <https://form.msa.gov.ge/?show=30>

დადგენილება), რომელთა 17,5% (22 დადგენილება) არ შესრულდა და ეს ტენდენცია მზარდია. ის ეკონომიკური ოპერატორებიც კი, რომლებსაც ერთხელ უკვე დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მზად არიან ეს ტვირთი განმეორებით იტვირთონ მისი დაბალი მოცულობის გამო. სასამართლოს მიერ, ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის 20 პირს ჯამში დაეკისრა მხოლოდ 15,600 ლარი, მაშინ, როდესაც აღნიშნული პირების უმრავლესობისთვის აღნიშნული თანხა დღიურ ბრუნვაზე ბევრად ნაკლებია.

მაგალითად, ერთ-ერთი კომპანიის შემთხვევაში, რომლის საქმიანობას წარმოადგენს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რეალიზაცია, პირველ ეტაპზე დაჯარიმდა მხოლოდ 500 ლარით რეალიზაციის შესახებ დადგენილების შეუსრულებლობისთვის, მაშინ როდესაც, აღნიშნული კომპანიის წლიური ამონაგები 2021 წელს 15,8 მილიონ ლარს აღემატებოდა, ხოლო საერთო მოგება - 7,8 მილიონ ლარს. ქმედების განმეორებით ჩადენის დროსაც კი, არ იქნა სასამართლოს მიერ გამოყენებული მაქსიმალური ჯარიმა 1,500 ლარი და ის მხოლოდ 1,000 ლარით დაჯარიმდა.

ამდენად, ეფექტური ბაზარზე ზედამხედველობა უზრუნველყოფს მომხმარებელთა დაცვას საფრთხის შემცველი პროდუქტებისგან, კონკრეტულად ისეთი საფრთხეებისგან, როგორიცაა მექანიკური დაზიანება, დამწვრობა, რადიაცია, ასფიქსია, ქიმიური საფრთხეები, სიმსივნე, ლეტალური შედეგი და ა.შ. მომხმარებლები შესაძლოა იყოს, როგორც მუშახელი - პერსონალური დაცვის საშუალებების შემთხვევაში, ასევე, ყველაზე მოწყვლადი მომხმარებლების ჯგუფი - ბავშვები. თუმცა, აღნიშნული მომხმარებლებისთვის მხოლოდ აშკარა პოზიტიური გავლენით არ ამოიწურება და ბაზარზე ზედამხედველობის განვითარება, თავის მხრივ, განაპირობებს ფასის ზრდას გარკვეულ პროდუქტებზე, რომელთა შესაბამისობის შეფასება გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებები ვრცელდება მხოლოდ ისეთ პროდუქტებზე, რომელთა მიმართაც უკვე დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით, ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტურობის გაზრდას მხოლოდ ირიბი კავშირი შესაძლოა ჰქონდეს აღნიშნულთან.

სააგენტოს გარკვეული უფლებამოსილებებისა და არსებული საჯარიმო პოლიტიკის მიუხედავად, მონაცემთა ანალიზისა და კონსულტაციების შედეგად, გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა პროდუქტის უსაფრთხოების ბაზრის ზედამხედველობის პროცესში:

პრობლემა 1. ნორმების დარღვევის ადეკვატური ჯარიმების არარსებობა.

ადმინისტრაციული ჯარიმები ერთ-ერთია იმ რამდენიმე ინსტრუმენტიდან, რომელიც ადმინისტრაციულმა ორგანომ შეიძლება აირჩიოს მარეგულირებელი წესების დაცვის წახალისების, გაფრთხილებების, ადმინისტრაციული სანქციების (როგორიცაა

ავტორიზაციის შეჩერება ან გაუქმება) ან სისხლისსამართლებრივი ღვეზის დაწყების ნაცვლად. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს თუ რამდენად სერიოზულია დარღვევის რეალური ან პოტენციური ზემოქმედება და თავის მხრივ, მხარის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ალბათობა.⁴

რა არის ადმინისტრაციული სახდელი?

ადმინისტრაციული სახდელი არის ფულადი ჯარიმა, რომელიც შეიძლება დაეკისროს ფიზიკურ პირებს ან კომპანიებს, რომლებიც არ ასრულებენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. როგორც წესი, ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებულნი არიან აქტიურად იმუშაონ რეგულირებად მხარეებთან ნებაყოფლობითი შესაბამისობის მისაღწევად. როდესაც ეს შეუძლებელია, ადმინისტრაციული ორგანო იყენებს გადაწყვეტილების კონკრეტულ მექანიზმებს, რათა განსაზღვროს ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი მხარის შესაბამისობაში მოქცევისა და მომავალი შეუსაბამობის აღკვეთის მიზნით.

საგულისხმოა, რომ ბაზარზე ზედამხედველობის არსებული მექანიზმი, არ ითვალისწინებს ჯარიმებს ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსების ან ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, რომლის მიმართაც დარღვეული არის პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღნიშნული პროდუქტი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას. შესაბამისად, ასეთ დროს მომხმარებელი თითქმის სრულიად დაუცველია საფრთხის შემცველი პროდუქტების წინაშე.

საქართველოში პროდუქციის უსაფრთხოების დარღვევისთვის ჯარიმები შედარებით დაბალია და უმეტეს შემთხვევაში, ჯარიმების ოდენობა არ არის დარღვევის სიმძიმის პროპორციული. შესაბამისად, ჯარიმების არსებული განაკვეთები ეკონომიკური ოპერატორებისთვის არ წარმოადგენს შემაკავებელ ფაქტორს.

პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ განსაზღვრული ჯარიმა ყოფილა მხოლოდ 200-300 ლარი, მაშინ როდესაც თითოეული იმ პროდუქტის ღირებულება, რომლის მიმართაც დადგინდა აღნიშნული ჯარიმა, აღემატებოდა ჯარიმის თანხას.

საგულისხმოა, რომ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო არ არის აღჭურვილი უფლებამოსილებით, რომ თავად განახორციელოს საფრთხის შემცველი პროდუქტების ჩამორთმევა, რაც აჩენს იმის საფრთხეს, რომ ამგვარი პროდუქტი კვლავ მოხვდეს ბაზარზე, მომხმარებლის ხელში და გამოიწვიოს ფატალური შედეგებიც კი.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ბაზარზე ზედამხედველი ორგანოს სამართლებრივი შესაძლებლობები იმდენად ძლიერი იყოს, რომ შეეძლოს პროდუქტებიდან მომდინარე

⁴ „Administrative Penalties“, https://www2.gov.bc.ca/assets/gov/environment/research-monitoring-and-reporting/reporting/reporting-documents/environmental-enforcement-docs/administrative_penalty_facts_sheet.pdf

საფრთხეების პროპორციული ღონისძიებების გატარება. თავის მხრივ, ეკონომიკურმა ოპერატორებმა მთელი მიწოდების ჯაჭვის განმავლობაში უნდა იმოქმედონ პასუხისმგებლობით და მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების სრულად შესაბამისად, პროდუქტების ბაზარზე განთავსებისას ან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ვალდებულებები, რომლებიც შეესაბამება თითოეული ეკონომიკური ოპერატორის როლს მიწოდებისა და განაწილების პროცესში და მწარმოებელმა უნდა შეინარჩუნოს საბოლოო პასუხისმგებლობა პროდუქტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ზემოაღნიშნული პრობლემების ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ბაზარზე ზედამხედველობა შედარებით ახლად დანერგილი სფეროა საქართველოში. პრაქტიკულად ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებები ხორციელდება 2018 წლიდან და აქტიურ ფაზაში შევიდა 2020 წლიდან სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს შექმნის შემდეგ. კერძოდ, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ახორციელებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული შემდეგი არასასურსათო პროდუქტების ზედამხედველობას: *სამშენებლო პროდუქტები, მანქანა-დანადგარები, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები, ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობები, თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლები (საქვაბე დანადგარი), სანთებლები, შეცდომაში შემყვანი პროდუქტები, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს მომხმარებლის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას, სათამაშოები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელი ელექტრო-მოწყობილობები, რადიომოწყობილობები.*

აღსანიშნავია, რომ ბაზრის მონაწილეებისთვის რთული აღმოჩნდა არსებულ მოთხოვნებთან მორგება იმგვარად, რომ ნებაყოფლობით გაატარონ საჭირო ღონისძიებები, რათა მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტები იყოს უსაფრთხო და აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ სამომხმარებლო და ინდუსტრიული პროდუქტების დიდი ნაწილი არ მზადდება საქართველოში და მათი იმპორტირება ხდება ისეთი ქვეყნებიდან, რომელთაც არ აქვთ დანერგილი ხარისხის ინფრასტრუქტურის კომპონენტები. შესაბამისად, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უბრალოდ არ შესაბამება მოთხოვნებს და ნაცვლად იმისა, რომ ეკონომიკურმა ოპერატორებმა უზრუნველყონ შესაბამისობის შეფასების პროცედურების დანერგვა, ცდილობენ გვერდი აუარონ მოთხოვნებს, საქართველოს ბაზარზე განათავსონ დაბალი ღირებულების, შეუსაბამო, საფრთხის შემცველი პროდუქტები და დაბალი ჯარიმების პირობებში, მზად არიან აღნიშნული ჯარიმის გადახდისათვის.

შესაბამისად, ბაზარზე არაუსაფრთხო პროდუქტების არსებობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარჯს როგორც მომხმარებლებისთვის, მათი ჯანმრთელობისა და

ზოგადი უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო, ასევე, ეკონომიკური ოპერატორებისთვის, რადგან ეს უკანასკნელი განიცდიან თანაბარი პირობების ნაკლებობას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებულ „თაღლით ოპერატორებთან“ მიმართებით, რომლებიც არ იცავენ პროდუქტის უსაფრთხოების ძირითად წესებს.

პრობლემა 2. ზედამხედველი ორგანოს უფლებამოსილებების შეზღუდული ხასიათი, საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო სათანადო რესურსების, მათ შორის, ადამიანური რესურსების, ნაკლებობა.

მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც გამოვლინდა როგორც პრობლემა RIA-ს გუნდის მიერ ანალიზის პროცესში, არის იმ რესურსების სიმწირე, რომლებიც აუცილებელია სააგენტოს მიერ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის.

ყოველწლიურად სააგენტოს მიერ საზედამხედველო ობიექტების და პროდუქციის რაოდენობის ზრდა, კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ადამიანური რესურსების ნაკლებობის პრობლემას და სათანადო კვალიფიკაციის მქონე ინსპექტორების ყოლის საჭიროებას, რაც უმნიშვნელოვანესია ეფექტური და ეფექტიანი ზედამხედველი ორგანოს ფუნქციონირებისათვის.

დღეს, ბაზრის ზედამხედველობის სისტემა ფუნქციონირებს რესურსების მნიშვნელოვანი შეზღუდვის პირობებში, როგორცაა ბაზრის ზედამხედველობისა და აღსრულებისთვის შეზღუდული პერსონალი და ფინანსური რესურსები, როგორც ძირითადი ფაქტორი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ზედამხედველობის ამოცანების შესრულების დონეზე.

პრობლემა 3. ზედამხედველი ორგანოს სამსახურის მიზნების, მისი სოციალური სარგებლიანობისა და ფუნქციების შესახებ ცნობიერების ნაკლებობა და დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროება.

ნებისმიერი რეფორმის წარმატება, როგორც შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს, ასევე ძლიერი აღსრულების მექანიზმების არსებობის გარდა, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, განსაკუთრებით რეფორმის, მისი ძირითადი ასპექტებისა და მისი საბოლოო სარგებლის (საჯარო სიკეთე) შესახებ დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებაზე.

საერთაშორისო პრაქტიკის და საქართველოს კანონმდებლობის და არსებული პრაქტიკის შედარებითი ანალიზის პროცესში, ამ მიმართულებით გამოვლინდა რამდენიმე გამოწვევა. RIA-ს გუნდმა მიიჩნია, რომ ზედამხედველი ორგანოს მიზნების, სოციალური სარგებლისა და ფუნქციების, აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული კომუნიკაციისა და კონსულტაციების საჭიროება არის მნიშვნელოვანი საკითხი.


უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი რეფორმის აღსრულების და სანქცირების სისტემის გაძლიერების პარალელურად, მნიშვნელოვანია, უფრო დიდი აქცენტი გაკეთდეს დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებაზე, რასაც დარღვევების პრევენციისა და მინიმისაციის შედეგად, აქვს პირდაპირი გავლენა როგორც საზოგადოებაზე, ასევე, ეკონომიკურ სუბიექტებსა და სახელმწიფო ინსტრუქტებზე, რაც საბოლოო ჯამში ზრდის საჯარო სიკეთეს.

შეფასების მიზნებისთვის, RIA-ს გუნდმა აღნიშნული საკითხის ორი ძირითადი მიმართულება გამოყო: (1) ზედამხედველი ორგანოს პროაქტიული კომუნიკაცია ეკონომიკურ ოპერატორებთან და (2) ზედამხედველი ორგანოს თანამშრომლობა საზოგადოებასთან, სამსახურის სარგებლიანობის/საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გავრცელება და მათი ცნობიერების ამაღლება შემდგომი უკუკავშირის მიღების მიზნით.

2.1.4 რა არის პრობლემის მამოძრავებელი ფაქტორები?

გამოვლენილი პრობლემების გამომწვევი მიზეზები მრავალმხრივია: ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა აჩვენებს ზოგადი პრობლემის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორებს, სპეციფიკურ პრობლემებს და შედეგებს.

ცხრილი 2. პრობლემის ხე



გამოვლენილი პრობლემის გამომწვევი მიზეზები მრავალმხრივია, მათ შორის, ერთ-ერთია ინფორმაციის ასიმეტრიულობა. ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მყიდველებს ჰქონდეთ ინფორმაცია პროდუქტის ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ, რათა შეაფასონ მისი რეალური ღირებულება. მომხმარებელმა, რომელმაც არ იცის, რა გზით არის წარმოებული პროდუქტი და მისი კომპონენტები, ამასთან, არა აქვს შესაძლებლობა პროდუქტის შექმნისას შეამოწმოს მისი უსაფრთხოება, შეიძლება გააკეთოს არასწორი არჩევანი და შეიძინოს სახიფათო პროდუქტი, რაც ცხადია, იწვევს არაოპტიმალურ სოციალურ შედეგებს. შესაბამისად, მომხმარებლისათვის პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მწარმოებლის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მითითებით, რაც სათანადო ლაბორატორიული ტესტის საშუალებით უნდა დასტურდებოდეს.⁵

ცხადია, ბაზარზე სახიფათო პროდუქტების არსებობა განაპირობებს საბაზრო ჩავარდნას. კლასიკური ეკონომიკური დასაბუთებით, მწარმოებლის მიზანია მოგების მაქსიმიზაცია და შესაბამისად, მოცემული პროდუქტის საუკეთესო ფასად წარმოება. უსაფრთხოების რეგულაციების არარსებობის შემთხვევაში, მწარმოებელს აქვს შესაძლებლობა პროდუქტის ხარისხისა და უსაფრთხოების ნაცვლად, არჩევანი იაფ კომპონენტებსა და უსაფრთხოების მიზნით ნაკლები შემოწმების გზებზე გააკეთოს. სახიფათო პროდუქტის საბაზრო ფასი, როგორც წესი, მომხმარებლისთვის არ ასახავს პროდუქტის რეალურ ღირებულებას, როგორცაა სახიფათო პროდუქტთან დაკავშირებული დაზიანებების ხარჯები. აქედან გამომდინარე, ბაზარი არ ითვალისწინებს სახიფათო პროდუქტების უარყოფით გარე ფაქტორებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შემცირების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯების გაზრდის კუთხით. შესაბამისად, ასეთი საბაზრო შედეგი არ არის ოპტიმალური საზოგადოებისათვის. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი კომპანიისთვის, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა უსაფრთხოების რეგულაციები, მნიშვნელოვანია აწარმოოს მომხმარებლისათვის უსაფრთხო პროდუქტები, მათი რეპუტაციისა და მომხმარებელთა ნდობის შენარჩუნების მიზნით.

2.2 არსებული მარეგულირებელი ნორმები

2.2.1 საკანონმდებლო ჩარჩო

არასასურსათო პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ძირითად მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი [პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი](#) (შემდგომში - კოდექსი). კოდექსის მიზანია საქართველოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტი აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის,

⁵ Impact Assessment „On General Product Safety“, European Commission, 30.06.2021; https://commission.europa.eu/system/files/2021-06/impact_assessment.pdf

უსაფრთხოების, საკუთრებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს და ეს პროდუქტი დაშვებულ იქნას საქართველოს ბაზარზე სავაჭრო ბარიერების გარეშე, მინიმალური ადმინისტრაციული ტვირთით.

კოდექსი ითვალისწინებს ისეთი ტერმინის განმარტებებს, როგორცაა: უსაფრთხო პროდუქტი, საფრთხის შემცველი პროდუქტი, პროდუქტის გამოთხოვა, პროდუქტის ამოღება და ა.შ. ამასთან, კოდექსი აწესებს ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებას, რომ ბაზარზე მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტები განათავსონ და ვალდებულებას, რომ მიაწოდონ მომხმარებლებს შესაბამისი ინფორმაცია, რათა მათ შეძლონ შეაფასონ პროდუქტის თანდაყოლილი რისკები მისი გამოყენების ნორმალური ან გონივრულად პროგნოზირებადი პერიოდის განმავლობაში.

კოდექსის მიხედვით საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება დოკუმენტური შემოწმებით ან/და ტექნიკური შემოწმებით, თუ შემოწმებით გამოვლინდა შეუსაბამობა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს ამ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად განუსაზღვროს გონივრული ვადა, ხოლო თუ ეკონომიკური ოპერატორი აღნიშნულ ვადაში ვერ აღმოფხვრის შეუსაბამობას, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება შეუსაბამობის აღმოფხვრამდე. თუ პროდუქტი არ შეესაბამება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეიცავს საფრთხეს ან სერიოზულ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისთვის ან/და გარემოსთვის, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პროდუქტის ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვის ან შესაბამის შემთხვევებში განადგურების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ოპერატორი არ შეასრულებს სააგენტოს დადგენილებას, ან ხელს შეუშლის სააგენტოს ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურების განხორციელებაში, კოდექსი აწესებს სხვადასხვა მოცულობის ჯარიმებს. კერძოდ, ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ჯარიმები ეკონომიკური ოპერატორის მიერ სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, პროდუქტის ბაზრიდან ამოღების, პროდუქტის გამოთხოვის და განადგურების, პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულების დარღვევის თვალსაზრისით.

მაქსიმალური ოდენობა, რაც შესაძლოა დააკისროს სასამართლომ, არის 7000 ლარი ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების განადგურების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობისთვის, ხოლო პროდუქტის/პროდუქტების განადგურების შესახებ დადგენილების მიღება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, მათ შორის, ბირთვულ ნაერთებს, ან თუ პროდუქტი შეიცავს სხვაგვარ

საფრთხეს. კერძოდ, პროდუქტი გადამუშავების შემდეგ შესაძლოა ინარჩუნებდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

გარდა კოდექსისა, ბაზარზე ზედამხედველობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შერჩევის, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ (14.11.2018წ., N539). დადგენილება განსაზღვრავს როგორც ბაზარზე ზედამხედველობის ზოგად მიზნებსა და პრინციპებს, ასევე, კონკრეტულ პროცედურებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ბაზარზე პროაქტიული⁶ და რეაქტიული⁷ ზედამხედველობა, ინფორმაციის წარდგენა, ნიმუშის აღება, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, შემზღვეველი ღონისძიებების მიღება და ა.შ.

„ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესისა და ორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება (14.11.2018წ., N540) განსაზღვრავს პროცედურებს რისკის შეფასების და ანალიზის, საფრთხის კატეგორიების განსაზღვრის, საფუძვლიანი ეჭვის ან პროდუქტთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე ზედამხედველობის განხორციელებისათვის.

გარდა ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებისა, თითოეულ პროდუქტთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნები რეგულირდება ამ პროდუქტების მიმართ მთავრობის დადგენილებებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტებით. სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ზედამხედველობის სფეროში არსებული პროდუქტებისთვის, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით დამტკიცებულია შემდეგი ტექნიკური რეგლამენტები:

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილება „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

⁶ *შენიშვნა:* პროაქტიული ზედამხედველობა - „სააგენტო ბაზარზე პროაქტიულ ზედამხედველობას ახორციელებს ბაზარზე ზედამხედველობის გეგმის შესაბამისად, რომელიც მოიცავს ადამიანის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, საკუთრებასთან ან/და გარემოსთან დაკავშირებული რისკის შემცველ პროდუქტებს“.

⁷ *შენიშვნა:* რეაქტიული ზედამხედველობა - ბაზარზე რეაქტიული ზედამხედველობა ხორციელდება, როდესაც სააგენტოს, ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით გააჩნია ინფორმაცია, როდესაც „ა) ბაზარზე განთავსებული პროდუქტი არ შეესაბამება კოდექსითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ/შესაძლო საფრთხეს; ბ) ავარიის ან/და უბედური შემთხვევის შესახებ, რომელსაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან ფატალური შედეგი“.

- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილება „მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივნისის №151 დადგენილება „წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივნისის №150 დადგენილება „წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №83 დადგენილება „პოტენციურად ფეთქებადსაშიმ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დამცავი სისტემების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივნისის №149 დადგენილება „თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბუ დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის №148 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №635 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „ბაზარზე ბავშვების მოხმარებისთვის რეზისტენტული სანთებლების დაშვებისა და ახალი სახეობების სანთებლების აკრძალვის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №634 დადგენილება „შეცდომაში შემყვან პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს მომხმარებლის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას“ – ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №47 დადგენილება „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №84 დადგენილება „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №82 დადგენილება „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 1 მაისის N165 დადგენილება „ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელი ელექტრომოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 აპრილის N161 დადგენილება „რადიომოწყობილობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

2.2.2 პოლიტიკის დოკუმენტები

ასოცირების შესახებ შეთანხმება

ეფექტური ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის დანერგვა და განვითარება სრულ შესაბამისობაშია 2014 წელს საქართველოს, ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების III–A დანართით ნაკისრ ვალდებულებებთან და მიზნად ისახავს მასში გათვალისწინებული მიზნების შემდგომი ეფექტიანი შესრულების ხელშეწყობას. კერძოდ, ხელშეკრულების IV კარის, მესამე თავის, 47-ე მუხლის თანახმად, საქართველო ვალდებულია გაატაროს საჭირო ზომები ეფექტური ბაზარზე ზედამხედველობის დანერგვის უზრუნველსაყოფად და იღებს ვალდებულებას დაიცვას ევროკავშირის მხარის შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და მეთოდები.

სამთავრობო პროგრამა 2021-2024

საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციის კომპონენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მიზნით, ქვეყანა კიდევ უფრო გააქტიურებს ინტეგრაციის დღის წესრიგის ცალკეულ მიმართულებებს, რომლებიც ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკაშია მოცემული. უპირველეს ყოვლისა, აქტიურად გაგრძელდება ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით.“⁸

ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2024-2027

2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს „ბაზარზე განთავსებული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ზედამხედველობის უზრუნველყოფა ევროპის ბაზარზე არსებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვით“.⁹

⁸ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“; იხ. ბმული: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf

⁹ ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2024-2027 წლებისათვის; იხ. ბმული: <https://mof.ge/5653>

2.3 საერთაშორისო გამოცდილება

ევროპის შიდა ბაზრის ერთ-ერთი მთავარი მიზანია შექმნას და დაიცვას კონკურენტული ბიზნეს გარემო, ხელი შეუწყოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქონლისა და მომსახურების თავისუფლად გადაადგილებასა და ვაჭრობას. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული პროდუქტი აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

პროდუქციის ერთიან ბაზარზე განთავსებისთვის უმნიშვნელოვანესია შემდეგი ელემენტები:

- **სტანდარტები** - სტანდარტები განსაზღვრავს პროდუქტის ტექნიკურ ან ხარისხობრივ მოთხოვნებს, წარმოების პროცესს, სერვისებს ან სატესტო მეთოდებს. სტანდარტიზაცია არის ხერხი, რომლის მიხედვითაც საწარმო ქმნის პროდუქტს და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებასა და ფუნქციონალურ თავსებადობას;

- **შესაბამისობის შეფასება** - შესაბამისობის შეფასების პროცედურა ტარდება პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე განთავსებამდე. საჭიროა დამტკიცება იმისა, რომ პროდუქტი შეესაბამება ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და ასევე, არის ტესტირებული, შემოწმებული და სერტიფიცირებული;

- **აკრედიტაცია** - აკრედიტაციის მიზანია უზრუნველყოს, რომ შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს (ლაბორატორიებს, ინსპექტირების ან სერტიფიცირების ორგანოებს) ჰქონდეთ თავიანთი მოვალეობის შესრულების ტექნიკური შესაძლებლობა. რეგულირებად სექტორებსა და მოხალისეთა სფეროებში გამოყენებით, აკრედიტაცია ზრდის შესაბამისობის შეფასების ნდობის ხარისხს. ის აძლიერებს პროდუქტების, სერვისების, სისტემებისა და ორგანოების ურთიერთალიარებას ევროკავშირის ფარგლებში;

- **ბაზრის ზედამხედველობა** - საბაზრო ზედამხედველობა უზრუნველყოფს, რომ არასაკვებმა პროდუქტმა ევროკავშირის ბაზარზე არ შეუქმნას საფრთხე ევროპელ მომხმარებლებს. ასევე, უზრუნველყოფს სხვა საჯარო ინტერესის დაცვას, როგორცაა გარემო, უსაფრთხოება და სამართლიანობა სავაჭრო სფეროში. ბაზრის ზედამხედველობამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამო პროდუქტის მიმოქცევის გამოთხოვა/ამოღება ან/და მათი შესაბამისობაში მოყვანის სანქციები.

ევროკავშირის ქვეყნებში ბაზრის ზედამხედველობა მოიცავს ქმედებების სრულ სპექტრს, მათ შორის ბაზრის მონიტორინგს და კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში, მაკორექტირებელი ზომებისა და ჯარიმების დაწესებას. ის გულისხმობს ხელისუფლების მჭიდრო კონტაქტებს ეკონომიკურ ოპერატორებთან (მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან, დისტრიბუტორებთან, ონლაინ პლატფორმებთან, საცალო მაღაზიებთან), ასევე, მომხმარებლებთან და მომხმარებელთა ორგანიზაციებთან.

ევროკავშირში ბაზრის ზედამხედველობის ეროვნული ორგანოები პასუხისმგებელი არიან ბაზრის ზედამხედველობის განხორციელებაზე. ისინი ასევე პასუხისმგებელი არიან მიიღონ შესაბამისი ზომები საშიში პროდუქტის აღმოჩენის შემთხვევაში. ამ მიზნით, ისინი იღებენ ნიმუშებს შესამოწმებლად არა მხოლოდ მაღაზიებიდან, არამედ ონლაინ ბაზრიდანაც, რომელსაც ამოწმებენ სპეციალიზებულ ლაბორატორიებში.

ბაზრის ზედამხედველობის ორგანოები მჭიდროდ თანამშრომლობენ საბაჟოებთან, რაც ხელს უშლის არაუსაფრთხო ან შეუსაბამო პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე შესვლას და არის პირველი ფილტრი, რომელიც აკონტროლებს იმპორტირებულ საქონელს.¹⁰

ამდენად, ბაზრის ზედამხედველობის ეფექტიანი ინსტიტუტების არსებობა უზრუნველყოფს ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებას და მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევას ბაზარზე სახიფათო ან შეუსაბამო პროდუქტების რაოდენობის შემცირების გზით, ბაზრის ზედამხედველობის უკეთესი კოორდინაციითა და ეფექტურობის გაზრდით.

2.3.1 ევროპული დირექტივა

ზოგადი პროდუქტის უსაფრთხოების რეგულაცია (General Product Safety Regulation (GPSR) (EU N 2023/988) მოითხოვს, რომ ყველა სამომხმარებლო პროდუქტი, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე განთავსდება, უნდა იყოს უსაფრთხო, ვინაიდან ევროკავშირისთვის მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა პრიორიტეტია.

რეგულაციის მიხედვით, „უსაფრთხო პროდუქტი“ ნიშნავს „ნებისმიერ პროდუქტს, რომლის გამოყენებაც ნორმალურ ან გონივრულად მოსალოდნელ პირობებში, ვადის გათვალისწინებითა და საჭიროების შემთხვევაში, ექსპლუატაციაში შეყვანით/მონტაჟით არ წარმოადგენს რისკს, ან წარმოადგენს მხოლოდ მინიმალურ რისკს, რომელიც ითვლება მისაღებად და შეესაბამება პირთა უსაფრთხოების მაღალი დონის დაცვასა და უსაფრთხოებას. უსაფრთხოების განმარტება რეგულაციის მიხედვით ცალსახად არ ფარავს კიბერუსაფრთხოების რისკებს და ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უსაფრთხოების სხვა საკითხებს.

რეგულაცია გამოიყენება მთელ ევროკავშირსა და ასევე, ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებში: ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია. პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, GPSR მოიცავს შესაბამის დონის ძიებებს, როგორც პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე, ისე - შემდეგ. რეგულაციის მიერ დანერგილი წინასაბაზისო დონის ძიებები მოიცავს სტანდარტიზაციის პროცესს, ამასთან რეგულაცია

¹⁰ „Product safety and market surveillance“, European Commission; https://commission.europa.eu/business-economy-euro/product-safety-and-requirements/product-safety/product-safety-and-market-surveillance_en

ითვალისწინებს ბიზნესებისთვის, რომლებიც ბაზარზე ათავსებენ საფრთხის შემცველ პროდუქტს, სამართლებრივი პასუხისმგებლობების დაკისრებას. პროდუქტის ბაზარზე განთავსების შემდგომი ღონისძიებები კი გულისხმობს ბიზნესისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, მათ შორის მოვალეობას, რისკის შემცველი პროდუქტების ბაზრიდან გაწვევასთან დაკავშირებით, ასევე, წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობას განახორციელონ ბაზრის ზედამხედველობა. რეგულაცია ვრცელდება არასასურსათო სამომხმარებლო პროდუქტებზე, რომლებისთვისაც არ არსებობს ევროკავშირის კონკრეტული ჰარმონიზებული კანონმდებლობა.

2019 წლის ივნისში, ევროკავშირმა მიიღო რეგულაცია (EU) 2019/1020 ბაზარზე პროდუქციის ზედამხედველობისათვის. ახალი კანონი მიღებულ იქნა ბაზარზე არალეგალური და შეუსაბამო პროდუქციის მზარდი გამოყენების საპასუხოდ. ის აერთიანებს ბაზრის ზედამხედველობის საქმიანობის არსებულ ჩარჩოს, პასუხობს საერთაშორისო გამოწვევებს, ხელს უწყობს ბაზრის ზედამხედველობის ერთობლივ ქმედებებს წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებებს შორის, რაც მიზნად ისახავს მათ შორის ეფექტური და სწრაფი ინფორმაციის მიმოცვლას. უფრო მეტიც, რეგულაცია ითვალისწინებს შესაძლებლობას შეიქმნას შეფასების სისტემა ბაზრის ზედამხედველობის ეროვნული ორგანოებისთვის. რეგულაციის მიზანია ხელი შეუწყოს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას და თავიდან აიცილოს იმ პროდუქტების არსებობა, რომლებიც საფრთხეს უქმნის მომხმარებელთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ევროკავშირის ბაზარზე.

არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ დიდი რაოდენობით სახიფათო პროდუქტები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ევროკავშირის მომხმარებელთა უსაფრთხოებაზე, ბაზრიდან გაწვეულია. ბაზარზე სახიფათო პროდუქტის შემცირება პრაქტიკაში შესაძლებელია და სწორედ ესაა დირექტივის მიზანი.¹¹

რეგულაცია აწესებს მოთხოვნებს მწარმოებლების, იმპორტიორებისა და დისტრიბუტორებისთვის. მწარმოებლებს და იმპორტიორებს მოეთხოვებათ ბაზარზე მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტების განთავსება. დისტრიბუტორები ვალდებული არიან იმოქმედონ სათანადო სიფრთხილით იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც იციან ან უნდა იცოდნენ, რომ არ შეესაბამება მოთხოვნებს. რეგულაცია ადგენს არაჰარმონიზებული პროდუქტების ბაზრის ზედამხედველობის წესებს. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დანიშნოს პროდუქციის შესაბამისობის მონიტორინგის ორგანო. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ ამ კომპეტენტური ორგანოების ამოცანებს, უფლებამოსილებებსა და სამართალდარღვევისთვის სასჯელს. რეგულაცია განსაზღვრავს მინიმალურ უფლებამოსილებებს, რომლებიც ენიჭება ეროვნულ ხელისუფლებას. რეგულაცია მოითხოვს კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა

¹¹ <https://www.civic-consulting.de/reports/gpsd-final-report-part1-eval.pdf>, 83. 7-15

სათანადოდ გაითვალისწინონ სიფრთხილის ზომები იმ შემთხვევებში, როდესაც პროდუქტი საშიშია ან შეიძლება იყოს საშიში.¹²

რეგულაცია ცალსახად მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან ჯარიმებთან დაკავშირებით შესაბამისი წესების დაწესებას - „გათვალისწინებული ჯარიმები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და დამაბრკოლებელი.“¹³

2.3.2 ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია ევროკავშირის წევრის სახელმწიფოების საკანონმდებლო ჩარჩო ბაზრის შედამხედველობის სფეროში, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, როგორცაა, ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, გარემო.

თითოეულ ქვეყანაში განსხვავებულია ბაზრის შედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები, მათი მუშაობის სპეციფიკა, სამართალდარღვევათა სახეები, ჯარიმების სისტემა და პასუხისმგებლობის ფარგლები. აღნიშნული სააგენტოების მიზანია სამართლიან კონკურენციაზე დაფუძნებული ბაზრის ყველა მონაწილისთვის თანაბარი პირობების შექმნა და მისი დაცვის უზრუნველყოფა.

გერმანია

გერმანიაში, ბაზრის შედამხედველობის მიმართულებით, არაერთი ორგანო ფუნქციონირებს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ და უზრუნველყოფენ ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების დაცვას. შედამხედველო ორგანოებს შორის, აღსანიშნავია, ფედერალური ფინანსური შედამხედველობის ორგანო (BaFin), გაცვლის შედამხედველობის ორგანო (BAB), ვაჭრობის მეთვალყურეობის ოფისი, ასევე, მასალების კვლევისა და ტესტირების ფედერალური ინსტიტუტი (BAM), ქიმიკატების ფედერალური ოფისი (BfC), გერმანული ბაზრის შედამხედველობის ფორუმი (DMÜF), მომხმარებელთა დაცვისა და სურსათის უვნებლობის ფედერალური ოფისი (BVL) და სხვა.¹⁴

o საჯარიმო პოლიტიკა

გერმანიაში, ადმინისტრაციული სანქციების პოლიტიკა, 2011 წელს მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ბაზრის შედამხედველობის ორგანოები იღებენ „შესაბამის ზომებს“, როდესაც პროდუქტი არ აკმაყოფილებს ზოგად წინაპირობებს და ეს ზომები

¹² [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2021/698028/EPRS_BRI\(2021\)698028_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2021/698028/EPRS_BRI(2021)698028_EN.pdf) გვ. 1-5

¹³ [REGULATION \(EU\) 2019/ 1020 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL - of 20 June 2019 - on market surveillance and compliance of products and amending Directive 2004/ 42/ EC and Regulations \(EC\) No 765/ 2008 and \(EU\) No 305/ 2011 \(europa.eu\)](https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2019/1020/oj/consolidated), მუხლი 41

¹⁴ <https://www.baua.de/EN/Topics/Safe-use-of-chemicals-and-products/Product-safety/Market-surveillance/Competences.html>

მიმართულია მწარმოებლის, უფლებამოსილი წარმომადგენლის, იმპორტიორის ან დისტრიბუტორის მიმართ.

ზოგადად, გერმანიაში ჯარიმის ოდენობა შეიძლება იყოს 10,000 ევრომდე, ზოგიერთი სამართალდარღვევა კი შეიძლება დაჯარიმდეს 100,000 ევრომდე, რამდენადაც ისინი ექვემდებარებიან რეგულაციას და არა მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობას. აღსანიშნავია, რომ ზოგადი პროდუქტის უსაფრთხოების რეგულაცია (EU N 2023/988), ასევე, ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სანქციების დაწესებას. კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე ვადით ან ჯარიმას, იმ პირის მიმართ, რომელიც განმეორებით ჩაიდენს ქმედებას და ამ ქმედებით განზრახ უქმნის საფრთხეს მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მნიშვნელოვანი ღირებულების ქონებას. თუმცა გერმანიაში, ამ სახის სანქციები იშვიათია, რადგან უმეტეს შემთხვევაში, ბაზრის მონაწილეები ნებაყოფლობით ემორჩილებიან ნორმებს და ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს პრაქტიკაში, არ სჭირდება მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება. ძალიან იშვიათია სასამართლო პროცესები ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების მიერ განხორციელებულ ზომებთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ, ბაზრის ზედამხედველობის ორგანო, უმეტესწილად იმარჯვებს სასამართლოში, მისი გადაწყვეტილებების არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.¹⁵

პოლონეთი

პოლონეთში, ბაზარზე ზედამხედველობას ახორციელებს კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისის პრეზიდენტი (OCCP - Office of Competition and Consumer Protection) და სპეციალიზებული სააგენტოები, რომლებიც უფლებამოსილია შეამოწმონ პროდუქტები და ჩაატარონ ადმინისტრაციული წარმოება მათი მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევებში. OCCP ზედამხედველობს ვაჭრობას ეროვნულ დონეზე, ასევე, ბაზარზე ზედამხედველობას ახორციელებს შრომის ეროვნული ინსპექცია, ელექტრონული კომუნიკაციების ოფისი, გარემოს დაცვის ინსპექცია, სარკინიგზო ტრანსპორტის ინსპექცია, სამშენებლო კონტროლის ორგანო, სამთო სახელმწიფო ორგანო, საზღვაო სააგენტო, სამედიცინო პროდუქტების, სამედიცინო ხელსაწყოებისა და ბიოციდური პროდუქტების აღრიცხვის ოფისი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის ხარისხის ინსპექცია, ეროვნული სანიტარული ინსპექცია.¹⁶

o საჯარიმო პოლიტიკა

პოლონეთში პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ კანონის თანახმად, პროდუქტის უსაფრთხოების ვალდებულებების დარღვევისთვის არის ადმინისტრაციული ჯარიმები 100,000 პოლონურ ზლოტამდე (დაახლოებით 22,400

¹⁵ <https://ec.europa.eu/docsroom/documents/54757/attachments/1/translations/en/renditions/native>

¹⁶ <https://uokik.gov.pl/download.php?plik=15888>

ევრო)¹⁷. გარდა ამისა, OCCP-ს პრეზიდენტს შეუძლია დააწესოს ჯარიმა 100,000 პოლონურ ზლოტამდე ისეთი პროდუქტის ბაზარზე გამოტანისთვის, რომელიც არ შეესაბამება ძირითად მოთხოვნებს. ეს ეხება მხოლოდ გარკვეული ტიპის პროდუქტებს (მაგ., პირადი დამცავი მოწყობილობა ან სათამაშოები). არის მაგალითები, როდესაც კომპანიები დაჯარიმდნენ საფრთხის შემცველი პროდუქტების ბაზარზე განთავსების გამო. აღსანიშნავია, რომ OCCP-ის პრეზიდენტის მიერ დაწესებული ჯარიმები პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების დარღვევისთვის საშუალოდ წლის განმავლობაში არ აღემატებოდა 65,000 პოლონურ ზლოტს (14,600 ევრო).¹⁸

პროდუქციის ზოგიერთ კატეგორიაში (მაგ., მანქანები და აეროზოლური პროდუქტები), მწარმოებელი ან დისტრიბუტორი შეიძლება დაექვემდებაროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დამნაშავედ ცნობილ პირს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობას სასამართლო ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად ადგენს. თეორიულად, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა შეიძლება იყოს 1.08 მილიონი პოლონური ზლოტი (დაახლოებით 242,000 ევრო), თუმცა პრაქტიკაში არ ფიქსირდება სასამართლოს მიერ ასეთი მაღალი ჯარიმის დაწესების შემთხვევა აღნიშნული დებულებების დარღვევისთვის.¹⁹

პოლონეთში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისას მწარმოებელს ჯერ სთხოვენ ნებაყოფლობით უზრუნველყოს შესაბამის პროდუქტებზე ინფორმაციის მოწოდება და რისკის შემცველი პროდუქტის ნებაყოფლობით გაწვევა. სავაჭრო ინსპექტორმა შესაძლოა ადგილზე განახორციელოს ბაზარზე არსებული საფრთხის შემცველი პროდუქტის იდენტიფიცირება. ონლაინ ვაჭრობას რაც შეეხება, პროდუქტის უსაფრთხოების კონტროლი პრაქტიკაში ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფიზიკურად არსებობს საცავი, რომელიც სავაჭრო ინსპექტორს შეუძლია მოინახულოს.

მწარმოებლებისთვის ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრება 100,000 პოლონური ზლოტის ოდენობით გამოიყენება პრაქტიკაში, განსაკუთრებით განმეორებით დანაშაულთან მიმართებაში ან სახიფათო პროდუქტით გამოწვეული რისკის შემთხვევაში. განმეორებადი დანაშაულის ხასიათი, რისკის სიმძიმე და ბაზარზე არსებული სახიფათო პროდუქტების რაოდენობა არის მახასიათებლები, რაც განიხილება შეფასებისას და განსაზღვრავს ჯარიმის ოდენობას. უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს 2014 წლის 14 იანვრის II OSK 1879/12 განჩინება Legalis

¹⁷ 1000 პოლონური ზლოტი დაახლოებით უდრის 224 ევროს (30.08.2023);

<https://www.xe.com/currencyconverter/convert/?Amount=1000&From=PLN&To=EUR>

¹⁸ „1.5. Penalties for Breach of Product Safety Obligations“, <https://practiceguides.chambers.com/practice-guides/product-liability-safety-2023/poland>

¹⁹ „1.5. Penalties for Breach of Product Safety Obligations“, <https://practiceguides.chambers.com/practice-guides/product-liability-safety-2023/poland>

No951912 – ადასტურებს, რომ ბაზრიდან პროდუქციის გაწვევა ავალდებულებს მწარმოებლებს ამოიღონ მოცემული პროდუქტის ყველა ეგზემპლარი და აუკრძალონ მათ დისტრიბუტორებს ამ პროდუქტის მომხმარებლისთვის წარდგენა. ყოველწლიურად OCCC იღებს ბაზრის ზედამხედველობის გეგმებს, რომელზეც კონსულტაციები ტარდება სავაჭრო ინსპექტორატთან, საბაჟო ორგანოებთან და სხვა შესაბამის ეროვნულ და ადგილობრივი ხელისუფლებასთან.²⁰

სამეთვალყურეო ორგანოს შეუძლია დააკისროს ჯარიმა მწარმოებელს ან დისტრიბუტორს 100,000 პოლონურ ზლოტამდე ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის, რეესტრში რეგისტრირებული სახიფათო პროდუქტების ბაზარზე განთავსებისთვის და ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსებისთვის, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებს. ფინანსური ჯარიმა დაეკისრება ნებისმიერ პირს, რომელიც:

- ✓ ვერ ზღუდავს გარემოზე მავნე ზემოქმედების მქონე შესაფუთი ნივთიერებების გავლენას და რაოდენობას, იმგვარად და იმ რაოდენობით, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს (ჯარიმა 10 000-დან 500 000-მდე პოლონური ზლოტი);
- ✓ ბაზარზე ათავსებს შეფუთვას, რომელიც შექმნილია იმ ფორმით, რომელიც ხელს უშლის მის ხელახალ გამოყენებას და შემდგომ გადამუშავებას (ჯარიმა 10,000-დან 50,000 პოლონურ ზლოტამდე);
- ✓ ვერ ახორციელებს აუდიტს დადგენილ ვადაში (ჯარიმა 10,000-დან 500,000 მდე პოლონური ზლოტი);
- ✓ არ აწარმოებს რეესტრს, რომელიც შეიცავს მონაცემებს შეფუთვის მასის შესახებ, რომელშიც პროდუქციაა განთავსებული;
- ✓ ფუთავს ან ათავსებს ბაზარზე წინასწარ შეფუთულ საქონელს, რომელსაც აქვს „E“ ნიშანი, მაგრამ არ აწარმოებს შიდა კონტროლის სისტემას წინასწარ შეფუთული საქონლის რაოდენობაზე, ან ვერ ინახავს დოკუმენტაციას ამგვარ კონტროლთან დაკავშირებით, დაეკისრება ჯარიმა 1,000 პოლონურ ზლოტამდე;
- ✓ პასუხისმგებელია საწარმოო საქმიანობაზე ან შიდა კონტროლზე და არ ასრულებს მიღებულ შიდა კონტროლის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებებს ან ვერ ინახავს ამისთვის საჭირო ზუსტ დოკუმენტურ ჩანაწერს დაეკისრება ჯარიმა 1,000 პოლონურ ზლოტამდე.

საფრანგეთი

საფრანგეთში, მომხმარებლებისთვის განკუთვნილი პროდუქტების შემთხვევაში, ბაზარზე ზედამხედველობას ძირითადად ახორციელებენ გენერალური დირექტორატის, მომხმარებელთა საქმეებისა და თაღლითობის პრევენციის მიმართულებით მომუშავე

²⁰ Study for the preparation of an Implementation Report of the General Product Safety Directive, გვ.254

ოფიციალური პირები, ხოლო საბაჟო გენერალური დირექტორატის ოფიციალური პირები - ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოებიდან იმპორტირებული პროდუქტის შემთხვევაში. საფრანგეთის საბაჟო ორგანო, ასევე, არის ბაზრის ზედამხედველობის ორგანო. მოქმედი წესებიდან გამომდინარე და სადაც გათვალისწინებულია იმპორტის აკრძალვა, საბაჟო მოხელეებს შეუძლიათ ნიმუშების აღება, ლაბორატორიული ტესტირება და მიღებული შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება თუ რა რეაგირება მოახდინონ შესაბამის პროდუქტზე.

საფრანგეთში, ბაზარზე ზედამხედველობის პროცესში, ასევე მონაწილეობს სხვადასხვა დეპარტამენტი პროდუქტის უშუალოდ შემოწმების გზით ან ადგილზე მომსახურებით. მაგალითად, ხელსაწყოების გასაზომად - საწარმოთა გენერალური დირექტორატი (DGE), გაზის მოწყობილობებისთვის, წნევის ქვეშ მყოფი ჭურჭლებისთვის (წნევის მოწყობილობები, მარტივი წნევის ჭურჭელი, ტრანსპორტირებადი წნევის მოწყობილობა), ქიმიკატები, ასაფეთქებელი ნივთიერებები და ალჭურვილობა პოტენციურად ფეთქებად ატმოსფეროში გამოსაყენებლად - რისკის პრევენციის გენერალური დირექტორატი (DGPR), მანქანებისთვის - ავტომობილების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტი (SSMV), პროფესიული პერსონალური დაცვის მოწყობილობებისა და მანქანებისთვის - შრომის გენერალური დირექტორატი (DG Labour), რადიოაღჭურვილობისთვის - საფრანგეთის სინშირეების ეროვნული სააგენტო (ANFR) და სხვა.

o *საჯარიმო პოლიტიკა*

საფრანგეთში, ცალკეული სექტორებისთვის მოქმედი ჯარიმების განსაზღვრის პროცესი გრძელდება. ეს განსაკუთრებით ეხება შემდეგ დირექტივებს:

- დირექტივა 2009/125/EC, რომელიც ადგენს ჩარჩოს ეკოდიზაინის მოთხოვნების დადგენის მიზნით ენერგეტიკულ პროდუქტებისთვის;
- დირექტივა 2011/65/EU ელექტრო და ელექტრონულ ალჭურვილობაში გარკვეული საშიში ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის შესახებ;
- დირექტივა 2013/53/EU რეკრეაციული გემებისა და პერსონალური წყალსატევების შესახებ;
- დირექტივა 2014/53/EU წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ რადიოაპარატურის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შესახებ;
- რეგულაცია (EU) 2019/945 უპილოტო თვითმფრინავების სისტემების შესახებ.

საფრანგეთში სხვადასხვა ადმინისტრაციული ზომებია გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე არსებობს სამომხმარებლო პროდუქტები, რომლებიც საფრთხის შემცველია. ბაზრის ზედამხედველობის ორგანოების მიერ შესაძლო განსახორციელებელი ზომებია:

- მოსთხოვოს ბიზნესებს პროდუქტებზე კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების ნორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- მოსთხოვოს ბიზნესებს უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება პროდუქტების განაწილება და დისტრიბუცია;
- განახორციელოს ინსპექტირება და პროდუქტის ფიზიკური შემოწმება;
- საჭიროების შემთხვევაში დაბლოკოს ვებსაიტები;
- შეიძლება მოითხოვოს ბაზრიდან პროდუქციის გაწვევა ან სხვა ზომების მიღება, (როგორცაა შეზღუდვები პროდუქციის ბაზარზე განთავსებისთვის, პროდუქციის გატანა და ა.შ.);

ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული პროდუქციის შემოწმებისთვის მოქმედი ჯარიმების სისტემა დადგენილია საბაჟო კოდექსში.²¹ სახიფათო პროდუქტის ბაზარზე განთავსების შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ჯარიმები (მაქსიმუმ 375 000 ევრო) ან/და თავისუფლების აღკვეთა (მაქსიმუმ 3 წლით), რასაც პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი.²²

კვიპროსი

კვიპროსის კანონმდებლობის თანახმად, დანაშაულს სჩადის ადამიანი თუ ბაზარზე ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერ ისეთ პროდუქტს, რომელიც არ შეესაბამება კანონს ან/და დადგენილ რეგულაციებს; არ ასრულებს კანონით დადგენილ ვალდებულებებს; ბაზარზე ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერ პროდუქტს ევროკავშირის ღირეტივის მოთხოვნების ან/და მარკირების გარეშე; არ აწვდის კომპეტენტურ ორგანოს დადგენილ ვადაში შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას პროდუქტთან დაკავშირებით ან ინფორმაციას პროდუქტის ადგილმდებარეობისა და რაოდენობის შესახებ, ან რაიმე ფორმით აფერხებს ამ პროცედურებს, ზედამხედველო ორგანოს აწოდებს ყალბ ინფორმაციას/დოკუმენტაციას; განზრახ ხელს უშლის საბაჟო მოხელეს ან კომპეტენტური ორგანოს მიერ უფლებამოსილ პირს კანონის შესაბამისად მოქმედებას.

o საჯარიმო პოლიტიკა

ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსების ნორმების დარღვევის გამო, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია დააკისროს 50,000 ევრომდე ჯარიმა ნებისმიერ პირს, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს. ზემოაღნიშნული დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, კი ჯარიმა ორმაგდება და 100,000 ევროს შეადგენს. ამასთან, თუ დარღვევა გრძელდება, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია, ყოველ დღეზე დააკისროს ჯარიმა 500 ევრომდე, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე.

²¹ <https://ec.europa.eu/docsroom/documents/54757/attachments/1/translations/en/renditions/native>, გვ. 108

²² https://commission.europa.eu/system/files/2021-07/final_report-gpsd-part2-country_reports.pdf, გვ 115-123

ჯარიმა გამოითვლება დარღვევის ხასიათის, სიმძიმისა და ხანგრძლივობის მიხედვით. პირს ჯარიმა ეკისრება დარღვევის დამდგენი კომპეტენტური ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

თუ პირის მიერ, კანონის საფუძველზე ზედამხედველი ორგანოს მიერ დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა არ გადაიხდება, კომპეტენტურ ორგანოს აქვს კანონიერი უფლებამოსილება დააკისროს მოქალაქეს რესპუბლიკის წინაშე სამოქალაქო დავალიანება.

ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ან/და ხარჯების ანაზღაურების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება იერარქიული თანმიმდევრობით მინისტრთან მიმართვას 30 კალენდარული დღის ვადაში დაინტერესებული პირის მიერ გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან.

იერარქიული მიმართვით წარმოებისას მინისტრს შეუძლია დადგენილ ვადაში მოითხოვოს მხარეების მიერ მტკიცებულების წარდგენა, რომლის მიერ გადაწყვეტილება მიიღება 90 კალენდარული დღის ვადაში. საჩივრის განხილვის შემდეგ მინისტრს შეუძლია ძალაში დატოვოს სადავო გადაწყვეტილება; ან გააუქმოს სადავო გადაწყვეტილება; ან შეცვალოს სადავო გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში მინისტრს შეუძლია სადავო გადაწყვეტილების შეცვლა ახალი გადაწყვეტილებით.

პირს, რომელიც არ არის კმაყოფილი მინისტრის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით, შეუძლია მიმართოს ადმინისტრაციულ სასამართლოს 75 კალენდარული დღის განმავლობაში.

ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, პირი, რომელიც ბაზარზე ხელმისაწვდომს ხდის პროდუქტს, რომელიც წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს პირთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის, არღვევს კომპეტენტური ორგანოს მიერ კანონმდებლობით ფარგლებში გაცემულ შეტყობინებას და ჩადის დანაშაულს, დაეკისრება თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით ან ჯარიმა 100,00 ევრომდე, ან ორივე, პირველი ნასამართლობისთვის; ხოლო თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით ან ჯარიმა 150,000 ევრომდე, ან ორივე, მეორე ან შემდგომი ნასამართლობისთვის.²³

კომპეტენტური ორგანო ძირითადად ბიზნესს სთხოვს ინფორმაციის მიწოდებას პროდუქტისა და მიწოდების ჯაჭვის შესახებ. ის ასევე ახორციელებს ადგილზე ინსპექტირებას და ფიზიკურ შემოწმებას და იძენს პროდუქციის ნიმუშებს. კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს კომპეტენტურ ორგანოს მიმართოს სასამართლოს

²³ <https://ec.europa.eu/docsroom/documents/54757/attachments/1/translations/en/renditions/native> გვ 58-65

პროდუქციის კონფისკაციის მოთხოვნით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა; თუმცა ეს მიდგომა, პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება. სანქციები არის მაქსიმუმ ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ან/და ჯარიმა მაქსიმუმ 8,816 ევროს ოდენობით. კანონი აწესებს სისხლისსამართლებრივ სანქციებს კანონის შესაბამისად გამოცემული დებულების ან მინისტრის ბრძანების დარღვევისთვის, როდესაც დებულება ან ბრძანება აწესებს კონკრეტულ ვალდებულებებს ან აკრძალვებს პროდუქტის ბაზარზე მიმოქცევასთან ან შესრულებასთან დაკავშირებით.

არის დამატებითი სისხლის სამართლის სანქციები, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას კომპეტენტური ორგანოს მიერ საქმიანობის შეჩერების შესახებ შეტყობინების შეუსრულებლობას, ყალბი ინფორმაციის მიწოდებისა და კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილი მოხელის ან საბაჟო ოფიცრის შეფერხებისთვის, როდესაც კანონის დაცვით მოქმედებს ოფიცერი. გარდა სისხლისსამართლებრივი სანქციებისა, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სანქციებიც (ადმინისტრაციული ჯარიმების სახით). უფრო კონკრეტულად, ისინი შეიძლება დაეკისროს მწარმოებელს ან დისტრიბუტორს, როდესაც ისინი ვერ უზრუნველყოფენ კომპეტენტური ორგანოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების ან ინფორმაციის მიწოდებას კონკრეტულ პროდუქტთან დაკავშირებით, ან როდესაც ისინი აფერხებენ მათ ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდებით. სანქციები, ასევე, შეიძლება დაწესდეს ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, რომელიც განზრახ ხელს უშლის კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილ მოხელეს ან საბაჟო ოფიცერს, რომელიც მოქმედებს კანონის დებულებების შესაბამისად. ადმინისტრაციული ჯარიმა, რომელიც შეიძლება დაწესდეს, არის მაქსიმუმ 3,400 ევრო. ადმინისტრაციული ჯარიმები 2015-2018 წლებში დაწესდა ბავშვთა ტანსაცმელზე, სანთებლებზე და ლაზერულ სანათებზე, კერძოდ, დაკისრებული ჯარიმები იყო 200 ევრო (საქმე No2016/11), 500 ევრო (საქმე No1A/2015), 1,000 ევრო (საქმე No. 2017/1), 1 000 ევრო (საქმე No. 2016/09), 3,000 ევრო (საქმე No. 2016/15) და 3,000 ევრო (საქმე No.2018/5) და სხვა.

ვინაიდან GPSR არ აღწერს გაწვევის პროცესს და არ არის შესაბამისი კოდექსი ან სხვა სახელმძღვანელო პრინციპები, კვიპროსშიც, ხელისუფლება ძირითადად ეყრდნობა მწარმოებლის მიერ ნებაყოფლობით გაწვევას.

ხორვატია

ხორვატიაში ბაზრის ზედამხედველობა პროდუქციის ცალკეულ სექტორებში ორგანიზებულია ეროვნულ და ნაციონალურ დონეზე. მას ახორციელებენ სამინისტროებსა და ცენტრალურ ადმინისტრაციაში შექმნილი სხვადასხვა ინსპექტირების ორგანოები. კანონით გათვალისწინებულია მათი უფლებამოსილებები კომპეტენციის სფეროს მიხედვით.

ბაზრის ზედამხედველობა უპირატესად ექვემდებარება ბაზრის ინსპექციის კომპეტენციას. ბაზრის ინსპექცია უფლებამოსილია განახორციელოს ხორვატიაში იმპორტირებული პროდუქციის უწყვეტი ზედამხედველობა. თუ მეთვალყურეობა ცხადყოფს, რომ პროდუქტი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მომხმარებელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ბაზრის ინსპექცია უფლებამოსილია მიიღოს ზომები პროდუქტის ბაზარზე განთავსების აკრძალვის მიზნით. უფრო კონკრეტულად, თუ საბაჟო ადმინისტრაცია გადაწყვეტს პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე თავისუფალ მიმოქცევაში გამავლობის შეჩერებას, პროდუქტის მახასიათებლების შემოწმების საფუძველზე, აცნობებს ბაზრის შესაბამის ზედამხედველობის ორგანოს. ბაზრის ზედამხედველობის ორგანო ახორციელებს შემოწმებას სამი სამუშაო დღის ვადაში და მისი შედეგებიდან გამომდინარე, იღებს შესაბამის ზომებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს პროდუქტის ბაზარზე განთავსების აკრძალვას სერიოზული რისკის ან შეუსაბამობის შემთხვევაში, ან ალტერნატიულად, თუ აღმოაჩენს, რომ პროდუქტი არ წარმოადგენს რისკს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან გარემოსთვის და შეესაბამება შესაბამის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, საბაჟო ადმინისტრაცია პროდუქტს თავისუფალ მიმოქცევაში უშვებს.

ბაზრის ინსპექტირების განყოფილება ახორციელებს ინსპექტირებას და სხვა ღონისძიებებს მომხმარებელთა დაცვის სფეროში. ის პასუხისმგებელია ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების შემოწმებაზე, ბაზარზე განთავსებული პროდუქციისთვის საჭირო დოკუმენტებსა და მარკირებაზე.

ბაზრის ინსპექტირების განყოფილება შედგება მომხმარებლის ეკონომიკური ინტერესების დაცვის სამსახურისა და უსაფრთხო პროდუქტის სერვისისგან.

სხვა საინსპექციო ორგანოები (სანიტარული ინსპექცია, ვეტერინარული ინსპექცია, სასოფლო-სამეურნეო ინსპექცია, ნადირობის ინსპექცია, ტყის ინსპექტირება და ა.შ.) ასევე, მონაწილეობენ ბაზრის ზედამხედველობაში მათი კომპეტენციის მიხედვით კონკრეტულ სექტორებში, როგორცაა:

- ჯანდაცვის სამინისტრო - სამედიცინო პროდუქტები და სხვ.;
- ხორვატიის ქსელური მრეწველობის მარეგულირებელი ორგანო (HAKOM) - რადიო და სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა;
- საზღვაო, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - საზღვაო აღჭურვილობა, რეკრეაციული ხომალდი და საბაგრო გზის უსაფრთხოება;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - პიროტექნიკა, სამოქალაქო დანიშნულების ასაფეთქებელი ნივთიერებები, აღჭურვილობა და დამცავი სისტემები;
- მეტროლოგიის სახელმწიფო სამსახური - საზომი ხელსაწყოები, არაავტომატური ასაწონი ხელსაწყოები, წინასწარ შეფუთული პროდუქტები და საზომი ერთეულები;

- სოფლის მეურნეობის სამინისტრო - მინერალური სასუქების სექტორი.

ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, ბაზარზე განთავსებული პროდუქტი, უსაფრთხოების ნორმების გარდა, ასევე, უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ ზოგად მოთხოვნებს, როგორცაა მწარმოებლის სახელის და საკონტაქტო ინფორმაციის პროდუქტზე ან მისი შეფუთვაზე მითითება, შტრიხკოდის ან სხვა მანქანით წასაკითხი იდენტიფიკაციის გამოყენება პროდუქტზე ან მის შეფუთვაზე და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხის შემცველი სამომხმარებლო პროდუქტები, ხორვატიის ბაზრის ზედამხედველობის ორგანოები თანხმდებიან, რომ მათ შეუძლიათ მოითხოვონ ბიზნესებისგან შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება პროდუქტებზე და მიწოდების ჯაჭვის შესახებ. ასევე, მათ შეუძლიათ განახორციელონ ადგილზე ინსპექტირება და პროდუქტის ფიზიკური შემოწმებები, მოითხოვონ ბიზნესისგან პროდუქციის გაწვევა და სხვა ღონისძიებები.

- საჯარიმო პოლიტიკა

კანონმდებლობით განსაზღვრულია ფულადი ჯარიმა 50,000 – 250,000 ხორვატული კუნა (დაახლოებით 6,700-დან 33,500 ევრომდე) ოდენობით იურიდიული პირისთვის თუ ის ათავსებს სახიფათო პროდუქტებს ბაზარზე, კერძოდ ახორციელებს ისეთი პროდუქტის წარმოებას, იმპორტს, ექსპორტს, რომელიც შეიცავს საშიშ ნივთიერებებს, სათანადო ინფორმაციას არ აწვდის მომხმარებლებს, არ იღებს შესაბამის ქმედებებს საფრთხის თავიდან აცილების მიზნით და არ თანამშრომლობს კომპეტენტურ ორგანოსთან, არ მოქმედებს კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

ლიეტუვა

ლიეტუვას ბაზრის ზედამხედველობის ორგანოები უზრუნველყოფენ, რომ ბაზარზე განთავსებული პროდუქცია შესაბამისობაში იყოს GPSR-ით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებთან. შესაბამისობის შემთხვევაში კი, განსაზღვრულია მკაცრი საჯარიმო პოლიტიკა. ზედამხედველი ორგანოს უფლებამოსილია ნორმების დამრღვევი ეკონომიკური სუბიექტის მიმართ გამოიყენოს ჯარიმა, გასცეს გაფრთხილება, მოითხოვის საზოგადოებრივი შრომის განხორციელება.

პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ კანონის თანახმად, ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებმა, ასევე, შეიძლება მოითხოვონ პროდუქტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება; განახორციელონ ინსპექტირება გაფრთხილების გარეშე; შეიძინონ პროდუქტის ნიმუშები; განახორციელონ ვებგვერდების დაბლოკვა; მოითხოვონ პროდუქტის გაწვევა.

პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ კანონი ითვალისწინებს ჯარიმას 150-დან 2,500 ევრომდე მწარმოებელზე, იმპორტიორზე, უფლებამოსილ წარმომადგენელზე ან

დისტრიბუტორზე, რომელიც ათავსებს სახიფათო პროდუქტებს ბაზარზე, ან სერვისის მიწოდებელს, რომელსაც აქვს ან აწვდის ბაზრისთვის საშიშ სერვისებს.

მწარმოებელს, იმპორტიორს, უფლებამოსილ წარმომადგენელს ან დისტრიბუტორს, რომელიც ათავსებს სახიფათო პროდუქტებს ბაზარზე, ან სერვისის პროვაიდერს, რომელსაც აქვს ან აწვდის ბაზრისთვის საშიშ სერვისებს, ეკისრება ჯარიმა 2,500 ევროდან 6,500 ევრომდე, თუ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო ორგანო ან სხვა ბაზრის ზედამხედველობის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას აკრძალოს სახიფათო პროდუქტების მიწოდება ან სახიფათო სერვისების მიწოდება ბაზარზე.

ჯარიმა 2,500 ევროდან 15,000 ევრომდე ეკისრება პირს ან პირებს, რომლებიც ბაზარზე განათავსებენ პროდუქტს, რომლებიც მომხმარებელთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანი აღმოჩნდა. ჯარიმა 6,500 ევროდან 25,000 ევრომდე ეკისრება პირს, თუ ის განათავსებს ისეთ სახიფათო პროდუქტებს ბაზარზე, რომელთაც მოჰყვა მომხმარებლის სიკვდილი.

პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ცუდი შედეგების დადგომა აუცილებელი არაა. საკმარისია იმის დადგენა, რომ სახიფათო პროდუქტი ბაზარზე იყო განთავსებული და სუბიექტი არ მოქმედებდა ბაზრის ზედამხედველობის ორგანოების ბრძანებების შესაბამისად. თუ გამოვლენილია შესაბამისი შედეგებიც (მომხმარებლის ჯანმრთელობის დაზიანება, გარდაცვლება მომხმარებელი), ეს უფრო მკაცრ სანქციას გამოიწვევს.

2.4 პრობლემის მონაცემთა ანალიზი: არსებული ტენდენციები

საქართველოს ორგანული კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ და საქართველოს მთავრობის დადგენილებებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების თანახმად, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ახორციელებს ისეთი პროდუქციის ზედამხედველობას, როგორცაა სამშენებლო პროდუქტები, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები, თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, ლაქ-საღებავები, სათამაშოები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ელექტრომოწყობილობები, რადიომოწყობილობები და სხვა.


კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა აღნიშნული პროდუქციის ძირითადი ჯგუფების ექსპორტ-იმპორტის, ადგილობრივი წარმოებისა და ადგილობრივი ექსპორტის მაჩვენებლები.

2.3.1 საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

✓ ლაქ-საღებავები


ლაქ-საღებავების იმპორტმა 2022 წელს 23,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა თურქეთი, რომელზეც მთლიანი იმპორტის 55% მოდის (12,8 მლნ აშშ დოლარი), ხოლო იმპორტის 24% (5,6 მლნ. აშშ დოლარი) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე - საბერძნეთზე, გერმანიაზე, პოლონეთსა და იტალიაზე მოდის. ჯამში, 2022 წელს, ევროპის 22 ქვეყნიდან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 6,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 1. ლაქ-საღებავების იმპორტი



ლაქ-საღებავების ექსპორტმა 2022 წელს 1,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის ადგილობრივი ექსპორტი 0,9 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო რეექსპორტი 1,2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანაა სომხეთი, რომელზეც ადგილობრივი ექსპორტის 65%, ხოლო რეექსპორტის 98.7% მოდის.


დიაგრამა 2. ლაქ-საღებავების ექსპორტი



✓ სათამაშოები

სათამაშოების იმპორტმა 2022 წელს 35,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა ჩინეთი, რომელზეც მთლიანი იმპორტის 57% მოდის (20,1 მლნ აშშ დოლარი). უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყნებს შორისაა ჰონ-კონგი (10%) და თურქეთი (7%), ხოლო მთლიანი იმპორტის 20% (7,1 მლნ. აშშ დოლარი) ევროპის 26 სახელმწიფოზე მოდის.


დიაგრამა 3. სათამაშოების იმპორტი



სათამაშოების ექსპორტმა 2022 წელს 517,2 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის ადგილობრივი ექსპორტი 306,3 ათას აშშ დოლარს, ხოლო რეექსპორტი 210,9 ათას აშშ დოლარს გაუტოლდა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანაა სომხეთი, რომელზეც ადგილობრივი ექსპორტის 64%, ხოლო რეექსპორტის 63.5% არაბთა გაერთიანებულ საამიროებზე მოდის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წლის 7 თვეში, სათამაშოების ექსპორტმა მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც ძირითადად ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივმა ექსპორტმა 713,7 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2022 წლის წლიურ მაჩვენებელთან შედარებით 133%-იანი ზრდაა. ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და გერმანიაში.



დიაგრამა 4. სათამაშოების ექსპორტი



✓ **სამშენებლო მასალები**

სამშენებლო მასალების იმპორტმა 2022 წელს 226,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო 5 წლის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნული პროდუქციის რეექსპორტი კი მხოლოდ 2.6 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა თურქეთი, რომელზეც მთლიანი იმპორტის 37% მოდის (83,4 მლნ აშშ დოლარი). უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყნებს შორისაა, ასევე, აზერბაიჯანი, რუსეთი და ირანი, ხოლო ევროპის 29 სახელმწიფოდან სამშენებლო მასალების იმპორტმა მთლიანი იმპორტის 5.2% შეადგინა, რაც ნომინალში 11.7 მლნ. აშშ დოლარის ეკვივალენტურია.



დიაგრამა 5. სამშენებლო მასალების იმპორტი



სამშენებლო მასალების ექსპორტმა 2022 წელს 29,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის ადგილობრივი ექსპორტი 26,9 მლნ. აშშ დოლარს (მთლიანი ექსპორტის 91.1%), ხოლო რეექსპორტი 2,6 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანაა სომხეთი, რომელზეც ადგილობრივი ექსპორტის 76% მოდის.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში, ევროპის ქვეყნებში სამშენებლო მასალების ადგილობრივი ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2022 წელს ადგილობრივმა ექსპორტმა ევროპის 15 ქვეყანაში 2,2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, როდესაც 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 35.9 ათას აშშ დოლარს უტოლდებოდა. ხაზგასასმელია, რომ ადგილობრივი ექსპორტის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ბულგარეთში ნახშირბადის ფოლადის წნელების ექსპორტით.

დიაგრამა 6. სამშენებლო მასალების ექსპორტი




✓ მანქანა-დანადგარები

2022 წელს, მანქანა-დანადგარების იმპორტმა 177,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნებია თურქეთი (29%) და ჩინეთი (25%), რომელზეც მთლიანი იმპორტის 54.5% მოდის. მსხვილ იმპორტიორთა ათეულშია, ასევე, იტალია (13%) და გერმანია (12%). ჯამში, ევროპის 35 ქვეყნიდან იმპორტირებული მანქანა-დანადგარების ღირებულებამ 64,8 მლნ. აშშ დოლარი (36.5%) შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციაა ლიფტები და სკიპური საწვევლები (11.7%), სითხეების ან ფხვნილების გაფრქვევის მექანიკური მოწყობილობები (11.2%), ინდივიდუალური ფუნქციების მქონე მანქანები და მექანიკური მოწყობილობები (6.3%), საფხვიერებლები, კულტივატორები, სამარგლები, თოხები (4.1%) და სხვა.



დიაგრამა 7. მანქანა-დანადგარების იმპორტი



2022 წელს, მანქანა-დანადგარების ექსპორტმა 19,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის ადგილობრივი ექსპორტის წილი მცირეა და ნომინალში 5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ადგილობრივი ექსპორტის 40% სომხეთზე მოდის, 18% - თურქეთზე და 9-9% - პანამასა და ირანზე. ევროპის 20 ქვეყანაში ადგილობრივი ექსპორტის ჯამურმა ღირებულებამ კი მხოლოდ 121.8 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

პროდუქციის მიხედვით, ადგილობრივი ექსპორტის 26% სამშენებლო და საზოგადოებრივი სამუშაოებისთვის განკუთვნილ მოწყობილობებზე მოდის, 15% - კომპურა ამწეებზე, 11% - საბურღ და გვირაბგამყვან მანქანებზე, 5% - ამწე მექანიზმებზე, რომელიც განკუთვნილია საგზაო ავტოსატრანსპორტო საშუალებებში დასამონტაჟებლად და სხვა.



დიაგრამა 8. მანქანა-დანადგარების ექსპორტი



✓ პერსონალური დაცვის საშუალებები


პერსონალური დაცვის საშუალებების იმპორტი ზრდის დადებითი დინამიკით ხასიათდება. 2022 წელს, აღნიშნული პროდუქციის იმპორტმა 158,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით თითქმის გაორმაგებულია. პერსონალური დაცვის საშუალებების ყველაზე მსხვილი იმპორტიორია თურქეთი, ჩინეთი და ჰონ-კონგი, ხოლო ევროპის 29 ქვეყნიდან პერსონალური დაცვის საშუალებების იმპორტმა 42,9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი იმპორტის 27%-ს შეადგენს.

დიაგრამა 9. პერსონალური დაცვის საშუალებების იმპორტი



2022 წელს, პერსონალური დაცვის საშუალებების ექსპორტმა 34,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის ადგილობრივი ექსპორტი 27,7 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. ადგილობრივი ექსპორტის 34% პოლონეთზე მოდის, 23% - აზერბაიჯანზე, ხოლო 9% - გერმანიაზე. 2022 წელს, პერსონალური დაცვის საშუალებების ადგილობრივი ექსპორტი ევროპის 24 ქვეყანაში განხორციელდა და 20.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო წლების რეკორდული მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ 2018-2021 წლებში, ევროპის ქვეყნებში პერსონალური დაცვის საშუალებების ადგილობრივი ექსპორტის ჯამურმა მოცულობამ 9,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 10. პერსონალური დაცვის საშუალებების ექსპორტი





✓ **აირზე მომუშავეები ხელსაწყოები**

2022 წელს, აირზე მომუშავე ხელსაწყოების იმპორტმა 68,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო რეექსპორტმა - 13 მლნ. აშშ დოლარი. აღნიშნული პროდუქციის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა თურქეთი, რომელზეც ბაზრის წილის ნახევარზე მეტი მოდის და 2022 წლისთვის 53%-ს შეადგენს, მეორე უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა იტალია 16%-ით, მას მოსდევს უკრაინა - 8%-ით და ჩინეთი - 6%-ით.

2022 წელს, უმსხვილეს საიმპორტო პროდუქციას შორისაა ელექტროქურები, სახარში ელექტროქვაბები, გრილები, რომელზეც მთლიანი იმპორტის 33.9% მოდის, ასევე, მაღალი წილი უკავია ცენტრალური გათბობის ქვაბების იმპორტს - 33.7%-ით და 11.4% გასათბობ მოწყობილობებს.



2018 წლიდან, 2023 წლის ივლისის პერიოდის ჩათვლით, აირზე მომუშავე ხელსაწყოების იმპორტმა ჯამში 333 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 11. აირზე მომუშავე ხელსაწყოების იმპორტი



2022 წელს, აირზე მომუშავე ხელსაწყოების ექსპორტი 14,5 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც ძირითადად რეექსპორტის მაღალი წილით (89.6%) არის განპირობებული. რაც შეეხება ადგილობრივ ექსპორტს, აღნიშნული პროდუქციის ყველაზე მაღალი წილი სომხეთსა (70%) და აზერბაიჯანზე (19%) მოდის.


დიაგრამა 12. აირზე მომუშავე ხელსაწყოების ექსპორტი



✓ **LVD აპარატურა**

2022 წელს, LVD პროდუქციის (ელექტრული მანქანები და მოწყობილობები, ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა, სატელევიზიო გამოსახულებისა და ბგერის ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურა) იმპორტმა 582,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო რეექსპორტმა მთლიანი იმპორტის მხოლოდ - 10.5%. უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნებია თურქეთი (30%) და ჩინეთი (24%), რომელზეც LVD პროდუქციის მთლიანი იმპორტის 54% მოდის. აღნიშნულ პერიოდში, ევროპის 36 ქვეყნიდან LVD პროდუქციის იმპორტმა 156,3 მილიონი აშშ დოლარი და მთიანი იმპორტის 26.8% შეადგინა. ევროპის ქვეყნებიდან უმსხვილესი იმპორტიორია იტალია, ნიდერლანდები, გერმანია და პოლონეთი.

დიაგრამა 13. LVD პროდუქციის იმპორტი




2022 წელს, LVD პროდუქციის ექსპორტმა 84,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, სადაც 72.9% რეექსპორტი იყო. რეექსპორტის ყველაზე მაღალი წილი სომხეთზე მოვიდა და ნომინალში 20.8 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

რაც შეეხება ადგილობრივ ექსპორტს, ამ თვალსაზრისითაც სომხეთი ლიდრობს და 2022 წელს, LVD პროდუქციის ექსპორტმა 7,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მეორე მსხვილი საექსპორტო ქვეყანაა აზერბაიჯანი, სადაც ადგილობრივი ექსპორტის მოცულობა 4,2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს და ჯამში, სომხეთსა და აზერბაიჯანზე, ადგილობრივი ექსპორტის 53% მოდის. ამასთან, 2022 წელს, ევროპის 28 ქვეყანაში განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტის ღირებულებამ 3,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 2,7-ჯერ აღემატება.

საექსპორტო პროდუქციას შორის ყველაზე მაღალი წილი ხმის, გამოსახულების ან სხვა მონაცემების მიღების მოწყობილობებზე, არაინერციული ელექტრულ წყალსათბობებზე, ვიდრე თამაშების კონსოლებსა და მანქანებზე მოდის.

დიაგრამა 14. LVD პროდუქციის ექსპორტი



2.3.2 საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები



მნიშვნელოვანია შევაჯამოთ ზემოაღნიშნული 7 ჯგუფის პროდუქციის ექსპორტი-იმპორტის მაჩვენებლები, რათა განვსაზღვროთ ზედამხედველობას დაქვემდებარებული ბაზრის მოცულობა.

✓ იმპორტი


2022 წელს, ლაქ-საღებავების, სათამაშოების, სამშენებლო მასალების, მანქანა-დანადგარების, პირადი დაცვის საშუალებების, აირზე მომუშავე დანადგარების და LVD აპარატურის იმპორტმა **1,3 მილიარდი აშშ დოლარი** შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში რეექსპორტმა 101 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი იმპორტის დაახლოებით 8%-ს შეადგენს.

უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა თურქეთი, რომლის წილი 7 ჯგუფის პროდუქციის მთლიან იმპორტში 32%-ს შეადგენს, მეორე ადგილზეა ჩინეთი 19%-ით, ხოლო იტალია 6%-ით მესამე მსხვილი იმპორტიორი ქვეყანაა.

დიაგრამა 15. 2018-2023 წლებში, 7 ჯგუფის პროდუქციის იმპორტი



დიაგრამა 16. იმპორტი პროდუქციის ჯგუფების მიხედვით



უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის ჯგუფია LVD პროდუქცია, რომლის წილი მთლიანი იმპორტის 46%-ს შეადგენს, რაც ნომინალში 583 მლნ. აშშ დოლარს აღემატება, მეორე უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციაა სამშენებლო მასალები, რომლის იმპორტმა 2022 წელს ნომინალში 226 მლნ. აშშ დოლარი (18%) შეადგინა.


✓ ექსპორტი

2022 წელს, ლაქ-საღებავების, სათამაშოების, სამშენებლო მასალების, მანქან-დანადგარების, პირადი დაცვის საშუალებების, აირზე მომუშავე დანადგარების და LVD აპარატურის ექსპორტმა 186 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა, მათ შორის, **ადგილობრივმა ექსპორტმა 86,1 მილიონი აშშ დოლარი**, ხოლო რეექსპორტმა 100,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2022 წელს, უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანაა სომხეთი, რომელზეც ექსპორტის 39% მოდის, ხოლო მეორე პოზიციას იკავებს აზერბაიჯანი 12%-ით. აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან ექსპორტი განხორციელდა მსოფლიოს 75 ქვეყანაში, ხოლო ევროპის 30 ქვეყანაში ექსპორტის მოცულობამ 37,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციას განეკუთვნება LVD, სამშენებლო მასალები და მანქანა-დანადგარები.

დიაგრამა 17. 2018-2023 წლებში, 7 ჯგუფის პროდუქციის ექსპორტი



2.3.3 იმპორტიორი და მწარმოებელი ეკონომიკური სუბიექტები

საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ბაზარზე ზედამხედველობას დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია და ცხადია, მზარდია იმპორტიორთა და დისტრიბუტორთა რაოდენობა. ამასთან, მზარდი მოთხოვნის ფონზე, ყოველწლიურად იზრდება ადგილობრივ მწარმოებელთა რაოდენობაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაზარზე ზედამხედველობას დაქვემდებარებული 7 ჯგუფის პროდუქციის იმპორტმა 2022 წელს 1,3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი იმპორტის 9.4%-ს შეადგენს, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 86,1 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 2.3%-ია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022-2023 წლის (7 თვე) პერიოდში, საქართველოში ბაზარზე ზედამხედველობას დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტიორთა და მწარმოებელთა რაოდენობა პროდუქციის 7 ჯგუფის მიხედვით.

ცხრილი 3. იმპორტიორთა და მწარმოებელთა რაოდენობა

პროდუქციის 7 ჯგუფი	იმპორტიორი		ადგილობრივი მწარმოებელი
	იმპორტიორი	ჯამური შემოტანები	
ლაქ-საღებავები	59		10
სათამაშოები	18		6
სამშენებლო მასალები	907	20,000	16
მანქანა-დანადგარები	2697	20,000	
პერსონალური დაცვის საშუალებები	16		2
აირზე მომუშავე აპარატურა	19		5
LVD	17		3

კვლევის მიზნებისთვის, ცხრილში მოცემული პროდუქციის ჯგუფების მიხედვით, შეირჩა და გაანალიზებული იქნა გარკვეული რაოდენობის ეკონომიკური ოპერატორების ფინანსური მაჩვენებლები, როგორცაა წლიური ბრუნვა, საოპერაციო მოგება და წმინდა მოგება. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი ფინანსური მაჩვენებლები 2021 წლის საანგარიშო პერიოდს მოიცავს.²⁴

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მოცემული შეფასებები ეფუძნება კომპანიების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის, კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია ანგარიშგების ვებ-პორტალზე.²⁵

თავის მხრივ, კვლევის მიზნებისთვის, საწარმოთა ზომის (მსხვილი, საშუალო და მცირე) კლასიფიკაცია განხორციელდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების [მეთოდოლოგიის](#)“ შესაბამისად.

²⁴ კომპანიების 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2024 წლის პირველ კვარტალში.

²⁵ შენიშვნა: reportal.ge - საჯარო საინფორმაციო რესურსი, რომელიც საქართველოში არსებული სუბიექტების ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებს მოიცავს.

საწარმოთა ზომის კლასიფიკაცია

მსხვილი საწარმო - დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს; საშუალო საწარმო - დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 50-დან 250 კაცამდე, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა - 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ ლარამდე; მცირე საწარმო - დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს.

✓ ლაქ-საღებავები

საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, შესწავლილი იქნა 34 იმპორტიორი კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები. 2021 წლის მონაცემებით, ლაქ-საღებავების იმპორტიორთა შორის, 7 მსხვილი კომპანიაა, 8 - საშუალო ზომის, ხოლო 19 მცირე ზომის კომპანიაა. აღნიშნული კომპანიების წლიურმა ბრუნვამ ჯამში, 1,604.8 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა მოგებამ 338.5 მლნ. ლარი.

ასევე, გაანალიზდა ადგილობრივი მწარმოებელი 10 კომპანიის წლიური ფინანსური მაჩვენებლები, სადაც 1 კომპანია მსხვილი ზომის საწარმოა, 1 კომპანიაა საშუალო ზომის საწარმო, რომლებიც ასევე, ლაქ-საღებავების იმპორტიორები არიან, ხოლო 8 კომპანია მცირე ზომის საწარმოს მიეკუთვნება. ადგილობრივი მწარმოებლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 1 კომპანიის შემთხვევაში, ხოლო 7 კომპანიის ბრუნვა არ არის საჯარო²⁶, შესაბამისად, კეთდება ზოგადი დაშვება მცირე ზომის საწარმოთა ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

ცხრილი 4. ლაქ-საღებავების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)

		ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობა	წლიური ბრუნვა (ჯამური)	მთლიანი მოგება (ჯამური)	წმინდა მოგება (ჯამური)
მსხვილი	იმპორტიორი	7 (1) ²⁷	1,273.1 (288.6)	222.4 (62.0)	98.2 (50.2)
	მწარმოებელი				
საშუალო	იმპორტიორი	8 (1)	227.1 (31.9)	78.1 (14.3)	48.8 (10.2)
	მწარმოებელი				
მცირე	იმპორტიორი	19	104.6	38.0	18.2
	მწარმოებელი	8	< 8.0	< 4.0	< 2.0

²⁶ შენიშვნა: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, IV კატეგორიის საწარმოს მიეკუთვნება სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება; შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება; საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება. ამასთან, IV კატეგორიის საწარმოს ანგარიშგება არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

²⁷ შენიშვნა: ფრჩხილში მოცემული ინფორმაცია გულისხმობს, რომ მწარმოებელი, ამავდროულად წარმოადგენს იმპორტიორ კომპანიას.

✓ **სათამაშოები**

საქართველოს ბაზარზე სათამაშოების მიმწოდებელი კომპანიები ძირითადად საშუალო და მცირე ზომის ბიზნეს სუბიექტები არიან. კერძოდ, 10 კომპანიის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების თანახმად, 4 კომპანია საშუალო ზომის საწარმოა, ხოლო 6 - მცირე ზომის. აღნიშნულ პერიოდში, კომპანიების ბრუნვამ 161.3 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა მოგებამ - 64.6 მლნ. ლარი. რაც შეეხება ადგილობრივ მწარმოებლებს, 1 კომპანიის ფინანსური მაჩვენებლებით, კომპანიის შემოსავალმა 313.9 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა წლის ბოლოს კომპანიის წმინდა მოგება უარყოფითი იყო.

ცხრილი 5. სათამაშოების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)

		ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობა	წლიური ბრუნვა (ჯამური)	მთლიანი მოგება (ჯამური)	წმინდა მოგება (ჯამური)
მსხვილი	იმპორტიორი	n/a			
	მწარმოებელი	n/a			
საშუალო	იმპორტიორი	4	122.9	48.6	10.6
	მწარმოებელი	n/a			
მცირე	იმპორტიორი	6	38.4	16.0	5.3
	მწარმოებელი	1	0.31	0.13	-0.14

✓ **სამშენებლო მასალები**

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა სამშენებლო მასალების იმპორტიორი და მწარმოებელი 52 კომპანიის 2021 წლის ფინანსური ანგარიშები, მათ შორის, 37 იმპორტიორის და 15 ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიის.

საგულისხმოა, რომ მშენებლობა ეკონომიკის ერთ-ერთი მსხვილი სექტორია, რომლის წილმა, 2022 წელს, მშპ-ში 8% და ნომინალში 5 მლრდ. ლარი შეადგინა. 2021 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი 7.5%-ს და 3,9 მლრდ. ლარს შეადგენდა. ამასთან, 2021 წელს ბიზნეს სექტორში მშენებლობის ბრუნვამ 8,2 მლრდ. ლარი (5.5%), ხოლო 2022 წლის 4 კვარტლის მონაცემებით 10,8 მლრდ. ლარი (6%) შეადგინა.

2021 წლის ფინანსური მაჩვენებლების თანახმად, 37 იმპორტიორი კომპანიის ბრუნვამ 2,5 მილიარდი ლარი შეადგინა, მათ შორის 12 მსხვილი საწარმოა, 11 - საშუალო, ხოლო 14 მცირე ზომის კომპანიაა. რაც შეეხება ადგილობრივ მწარმოებელ კომპანიებს, 6 მსხვილი

კომპანიის, 6 საშუალო ზომის, ხოლო 4 მცირე ზომის²⁸ კომპანიის ბრუნვამ ჯამში, 1,616.4 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა მოგებამ 421.7 მლნ. ლარი.

ცხრილი 6. სამშენებლო მასალების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)

		ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობა	წლიური ბრუნვა (ჯამური)	მთლიანი მოგება (ჯამური)	წმინდა მოგება (ჯამური)
მსხვილი	იმპორტიორი	12	2,115.5	891.4	514.3
	მწარმოებელი	6	1,399.2	374.1	249.3
საშუალო	იმპორტიორი	11	298.5	71.0	34.5
	მწარმოებელი	6	191.6	38.4	14.6
მცირე	იმპორტიორი	14	106.1	24.5	13.0
	მწარმოებელი	4	25.6	9.3	(2.4)

აღნიშნული ფინანსური მაჩვენებლების თანახმად, მწარმოებელ კომპანიებს შორის, 2021 წელს, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ უმსხვილესი კომპანიაა, რომლის წლიური ბრუნვა 415 მლნ. ლარს აღემატება, მთლიანი მოგება - 129 მლნ. ლარს, ხოლო წმინდა მოგება კი - 93 მლნ ლარს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ცემენტის, ბეტონისა და კლინკერის წარმოება და რეალიზაცია საქართველოში.

შპს ჰაიდელბერგცემენტის ქართული კომპანიები ცემენტს აწარმოებენ ევროპული სტანდარტის EN197-1-ის მოთხოვნების მიხედვით, პარალელურად ლაბორატორიებში ცემენტის კონტროლი ხორციელდება ევროპული სტანდარტის EN196-ის სხვადასხვა ნაწილის მიხედვით (EN196-1; EN196-2; EN196-3; EN196-6; EN196-7 და ა.შ.), რომლებიც ითვალისწინებენ ცემენტის ფიზიკო-მექანიკური, ქიმიური და სხვა საჭირო პარამეტრების დაგდენას. შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას რუსთავის ცემენტის ქარხნის საგამოცდო ლაბორატორია ფლობს ეროვნულ აკრედიტაციას და აკრედიტაციის სფეროში, გამოცდებში ჩადებული აქვს ევროპული სტანდარტების მიხედვით ცემენტის შემოწმების მეთოდები. ასევე, ბეტონის მიმართულებით კომპანიას ფონიჭალაში და ბათუმში აქვს აკრედიტირებული ლაბორატორიები, რომლებიც ბეტონისა და ბეტონის შემადგენელი მასალების ნიმუშების აღებას და ხარისხის გამოცდას ახდენს ევროპული სტანდარტების (EN) მიხედვით.²⁹

✓ **მანქანა-დანადგარები**

2022-2023 წლებში, მანქანა-დანადგარები იმპორტირებული იქნა 2,697 ეკონომიკური ოპერატორის მიერ. მათ შორის, 1000-ზე მეტი ჯამური შემოტანა განახორციელა 2-მა

²⁸ შენიშვნა: სამშენებლო მასალების მწარმოებელი 1 კომპანიის წლიური ბრუნვა 2 მლნ. ლარზე ნაკლებია, რაც არ არის ასახული ჯამურ ფინანსურ მაჩვენებლებში, თუმცა კონსულტაციების ნაწილში მოცემულია აღნიშნული კომპანიის პოზიცია.

²⁹ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგება; იხ. ბმული: <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/40844>

ეკონომიკურმა ოპერატორმა, 100-დან 500-მდე - 24-მა, ხოლო 100-ზე ნაკლები - 2,671 ეკონომიკურმა ოპერატორმა.

RIA-ს გუნდის მიერ მოხდა მანქანა-დანადგარების შემომტანი მსხვილი და საშუალო ეკონომიკური ოპერატორების წლიური ბრუნვის შესწავლა, ხოლო მცირე ზომის საწარმოები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

2021 წლის ფინანსური მაჩვენებლებით, 40 იმპორტიორი კომპანიის წლიურმა ბურნვამ დაახლოებით 900.0 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა მოგებამ - 203.0 მლნ. ლარი. შესწავლილ იმპორტიორ კომპანიებს შორის 4 მსხვილი საწარმოა, 6 - საშუალო ზომის, ხოლო 30 მცირე ზომის კომპანიაა.

რაც შეეხება მანქანა-დანადგარების ადგილობრივ წარმოებას, ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

ცხრილი 7. მანქანა-დანადგარების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)

		ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობა	წლიური ბრუნვა (ჯამური)	მთლიანი მოგება (ჯამური)	წმინდა მოგება (ჯამური)
მსხვილი	იმპორტიორი	4	634.5	130.0	42.9
	მწარმოებელი	n/a			
საშუალო	იმპორტიორი	6	196.4	49.2	27.8
	მწარმოებელი	n/a			
მცირე	იმპორტიორი	30	70.0	24.0	10.0
	მწარმოებელი	n/a			

✓ **პერსონალური დაცვის საშუალებები**

შესწავლილი იქნა პერსონალური დაცვის საშუალებების 8 იმპორტიორი კომპანიის 2021 წლის ფინანსური მაჩვენებლები, მათ შორის, 1 მსხვილი კომპანიაა, 2 - საშუალო ზომის, ხოლო 5 მცირე ზომის კომპანიაა.³⁰ აღნიშნული კომპანიების წლიურმა ბრუნვამ ჯამში, 169.3 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა მოგებამ - 50.4 მლნ. ლარი.

ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიები მე-4 კატეგორიის საწარმოებს წარმოადგენენ და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგებები არ არის საჯარო.

ცხრილი 8. პერსონალური დაცვის საშუალებების იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)

³⁰ შენიშვნა: პერსონალური დაცვის საშუალებების იმპორტიორი რამდენიმე კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

		ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობა	წლიური ბრუნვა (ჯამური)	მთლიანი მოგება (ჯამური)	წმინდა მოგება (ჯამური)
მსხვილი	იმპორტიორი	1	71.5	20.6	1.6
	მწარმოებელი	n/a			
საშუალო	იმპორტიორი	2	72.3	20.9	12.6
	მწარმოებელი	n/a			
მცირე	იმპორტიორი	5	25.5	8.8	6.0
	მწარმოებელი	n/a			

✓ აირზე მომუშავე ხელსაწყოები

შესწავლილი იქნა 15 აირზე მომუშავე ხელსაწყოების იმპორტიორი/მწარმოებელი კომპანია, მათ შორის, 4 მსხვილი კომპანიაა, 9 - საშუალო ზომის, ხოლო 2 მცირე ზომისაა. აირზე მომუშავე ხელსაწყოების იმპორტს ახორციელებენ, როგორც გათბობა-გაგრილების სისტემის, ისე მსხვილი საოჯახო ტექნიკის იმპორტიორი კომპანიები. შესაბამისად, აღნიშნული კომპანიების წლიური ბრუნვა მნიშვნელოვნად მაღალია. კერძოდ, 2021 წელს, კომპანიების წლიურმა ბრუნვამ ჯამში, 1, 260.5 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა მოგებამ - 281.9 მლნ. ლარი. რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას, შესწავლილი იქნა 4 კომპანია, რომელიც ახორციელებს აირზე მომუშავე ხელსაწყოების წარმოებას, ამასთან, აღნიშნული კომპანიები იმავდროულად წარმოადგენენ იმპორტიორ კომპანიებს.

ცხრილი 9. აირზე მომუშავე აპარატურის იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)

		ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობა	წლიური ბრუნვა (ჯამური)	მთლიანი მოგება (ჯამური)	წმინდა მოგება (ჯამური)
მსხვილი	იმპორტიორი	4	956.8	208.1	76.2
	მწარმოებელი	n/a			
საშუალო	იმპორტიორი	9 (1)	283.2 (12.8)	68.4 (2.3)	30.6 (2.0)
	მწარმოებელი				
მცირე	იმპორტიორი	2	20.5	5.4	4.2
	მწარმოებელი				

აღნიშნულ კატეგორიაში შედიან უმსხვილესი იმპორტიორი კომპანიები, რადგანაც მათი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის სამომხმარებლო ტექნიკის იმპორტთან. კერძოდ, კომპანიების სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებული პროდუქცია

შესაძლებელია დაიყოს რამდენიმე ჯგუფად, როგორცაა: მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, წვრილის საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სამომხმარებლო ტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა, მობილური ტექნიკა და აქსესუარები.

ელექტრო ტექნიკის დიდ ნაწილს ახასიათებს მათი გამოყენების შედარებით ხანგრძლივი პერიოდი (როგორც წესი 5-დან 10 წლამდე, მობილური ტელეფონების და კომპიუტერული ტექნიკის გარდა). ამავდროულად, ბოლო წლებში დაფიქსირდა აღნიშნული პროდუქციით უფრო ხანმოკლე დროით სარგებლობის ტენდენცია, რაც განპირობებულია ფასების შემცირებით და ახალი, ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული ან უკეთესი დიზაინის მქონე ტექნიკის შექმნის სურვილით. შესაბამისად, ბოლო წლებში გაიზარდა ელექტრო პროდუქციის გამოცვლის ტენდენცია მანამ, სანამ ისინი გამოვიდოდნენ მწყობრიდან.³¹

✓ **LVD დანადგარები**

2021 წელს, ელექტრული მანქანების და მოწყობილობების, ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურის, სატელევიზიო გამოსახულებისა და ბგერის ჩამწერი აპარატურის (LVD) იმპორტიორი (მათი ნაწილი ზემოთ განხილულ ჯგუფებში შედიან) 18 კომპანიის წლიურმა ბრუნვამ 1,679.8 მლნ. ლარი შეადგინა, მთლიანმა მოგებამ - 364.7 ლარი, ხოლო წმინდა მოგებამ - 163.2. აღნიშნული კომპანიებიდან 6 მსხვილი ზომის საწარმოა, 9 - საშუალო ზომის, ხოლო 3 მცირე. კვლევის მიზნებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები.

ცხრილი 10. LVD აპარატურის იმპორტიორთა და მწარმოებელთა ფინანსური მაჩვენებლები (მლნ. ლარი)


		ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობა	წლიური ბრუნვა (ჯამური)	მთლიანი მოგება (ჯამური)	წმინდა მოგება (ჯამური)
მსხვილი	იმპორტიორი	6	1,325.7	266.1	106.4
	მწარმოებელი	n/a			
საშუალო	იმპორტიორი	9	329.0	92.3	52.1
	მწარმოებელი	n/a			
მცირე	იმპორტიორი	3	25.1	6.3	4.8
	მწარმოებელი	n/a			

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ჯგუფში შედიან ის უმსხვილესი იმპორტიორი კომპანიები, რომლებიც, ასევე, ზემოთ განხილულ სხვადასხვა ჯგუფის კატეგორიაში არიან მოხსენიებულნი.

³¹ სს „ელიტ ელექტრონიქსის“ 2021 წლის წლიური ფინანსური ანგარიში.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2022 წელს, ბაზარზე ზედამხედველობას დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის მოცულობამ 1,271.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წელს 1,017.2 მლნ. აშშ დოლარს (დაახლოებით 3,276.3 მლნ. ლარს) შეადგენდა. ამასთან, კვლევის ფარგლებში RIA-ს გუნდის მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული პროდუქციის იმპორტიორი 119 კომპანიის 2021 წლის ფინანსური მაჩვენებლები, რომლის თანახმად, კომპანიების ბრუნვა 5,139.8 მლნ. ლარს გაუტოლდა, რაც მთლიანი ბიზნეს სექტორის ბრუნვის 3.4%-ს შეადგენს. კომპანიების მთლიანმა მოგებამ კი, აღნიშნულ პერიოდში 1,509.5 მლნ. ლარი შეადგინა.

დიაგრამა 18. 2021 წელს, იმპორტიორი კომპანიების ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით (მლნ. ლარი)



ექსპორტ-იმპორტის, ადგილობრივი წარმოების და საწარმოთა ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბაზარზე ზედამხედველობას დაქვემდებარებული პროდუქციის როგორც იმპორტიორთა და მწარმოებელთა, ასევე, პროდუქციის ნუსხა ფართოა და მისი წილი ეკონომიკის მთლიან ბრუნვაში საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, მაღალია რისკი, რომ ბაზარზე უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობა არ იქნეს სრულად დაცული, რაც თავის მხრივ, ბაზარზე ზედამხედველობის შეზღუდული რესურსებიდანაც შესაძლოა გამომდინარეობდეს.

2.5 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია³² – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. 2017 წლის 6 ივლისს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციით დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი³³.

2030 წლის დღის წესრიგი ეფუძნება 5 ძირითად პრინციპს, რომელიც არის სახელმძღვანელო ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.

- ✓ **უნივერსალურობა:** მდგრადი განვითარების მიზნები ერთნაირად ეხება დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს;
- ✓ **ინტეგრირებული მიდგომა:** მდგრადი განვითარების (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი) სამი განზომილების დარეგულირება განზომილებებს შორის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთობების გათვალისწინებით;
- ✓ **პასუხისმგებლობის განაწილება:** ყველა მოთამაშემ – მთავრობებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ, კერძო სექტორმა, სამეცნიერო წრეებმა – საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით უნდა გაითავისოს პასუხისმგებლობა მიზნების შესრულებაზე;
- ✓ **არავინ დარჩეს პროცესის მიღმა:** 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებისას ყურადღება უნდა დაეთმოს ნაკლებად პრივილეგირებულ, მარგინალიზებულ ჯგუფებს;
- ✓ **ანგარიშვალდებულება/მონიტორინგი და შეფასება:** განხორციელების მიმდინარეობა უნდა იყოს შეფასებადი და შესაძლებელი უნდა იყოს პროცესის განსწავლა, რათა შემუშავებული პოლიტიკა ეფექტური იყოს.

მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ძირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

³² United Nations - Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development;
<https://undocs.org/A/RES/70/1>

³³ United Nations - Work of the Statistical Commission pertaining to the 2030 Agenda for Sustainable Development;
<https://undocs.org/A/RES/71/313>

2015 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა მაღალ პოლიტიკურ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების **17-ივე მიზანი** და **93 ამოცანა** განისაზღვრა ეროვნულ პრიორიტეტად და საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის [ეროვნული დოკუმენტი](#).

2.5.1 დასახული მიზნების კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტში მე-9 მიზანი: „მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა“ ითვალისწინებს მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნას, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობას, რაც დადებითად აისახება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. აღნიშნული, თავის მხრივ, მდგრადი განვითარების ეკონომიკური ზრდის მიზნის N8.2 ამოცანის შესრულებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული ითვალისწინებს სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, სრულ დასაქმებას და ღირსეულ სამუშაო პირობებს ყველასთვის. ეს უკანასკნელი კი სწორედ, 2030 წლისთვის ტექნოლოგიების განახლებისა და ინოვაციების მეშვეობით ეკონომიკური პროდუქტიულობის უფრო მაღალი დონის მიღწევას ისახავს მიზნად.

ცხრილი 11. მდგრადი განვითარების ეროვნული ამოცანები

მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის
მიღწეული შედეგი
8.1. 2030 წლისთვის ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება ეროვნული გარემოებების შესაბამისად.
8.2. 2030 წლისთვის ეკონომიკური პროდუქტიულობის უფრო მაღალი დონეების მიღწევა დივერსიფიცირების, ტექნოლოგიების განახლებისა და ინოვაციების მეშვეობით, მათ შორის მაღალი დამატებითი ღირებულებისა და იმ სექტორებზე ფოკუსირების მეშვეობით, რომლებიც მოითხოვს ინტენსიურ შრომას.
მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

9.2. ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და 2030 წლისთვის დასაქმებასა და მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის წილის მნიშვნელოვანი ზრდა ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით.

9.3. მცირე და საშუალო ზომის სამრეწველო და სხვა მეწარმეობისთვის ფინანსურ მომსახურებებზე წვდომის გაზრდა და მათი ინტეგრირება საწარმოო ჯაჭვებსა და ბაზრებში.

9.5. სამეცნიერო კვლევების გაძლიერება, სამრეწველო სექტორების ტექნოლოგიური შესაძლებლობების განახლება, მათ შორის 2030 წლისთვის ინოვაციების წახალისება და ყოველ 1 მილიონ ადამიანზე კვლევებისა და განვითარების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის, აგრეთვე საჯარო და კერძო კვლევებისა და განვითარების დანახარჯების მნიშვნელოვნად გაზრდა.

9.ბ. ადგილობრივი ტექნოლოგიის განვითარების, კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა, ხელშემწყობი პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფის ჩათვლით. მათ შორის, სამრეწველო დივერსიფიცირების და ფართო მოხმარების საქონლისთვის ღირებულების დამატების მეშვეობით.

3. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები მიმდინარეობდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების მთელი პროცესის განმავლობაში. რეგულირების ზეგავლენის შეფასებისას დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების მიზანი იყო შესასწავლი პრობლემის არსისა და სიმწვავის განსაზღვრა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, რეგულირების მიზნების განსაზღვრა, ალტერნატიული ვარიანტების მიმართ დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულების გარკვევა და მათი ინფორმირება დაგეგმილი/მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

RIA-ს გუნდმა კონსულტაციები და მონაცემთა შეგროვება დაიწყო შეფასების საწყის ეტაპზე, რათა მიეღო ინფორმაცია სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების შესახებ, რომლებზეც რეგულაცია პოტენციურად მოახდენდა გავლენას და შეეგროვებინა მონაცემები ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასებისთვის.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა ხელი შეუწყო პრობლემის უკეთესად გაგებასა და ევროპულ დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის შეფასებას. აგრეთვე, იმ სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტში უკეთესად გარკვევას, რომლის საფუძველზეც RIA-ს გუნდმა მოამზადა რეკომენდაციები.

კონსულტაციებისა და შეფასების მიზნებისთვის, მოხდა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და დაჯგუფება გავლენისა და ინტერესის კრიტერიუმების მიხედვით, როგორც ეს მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 12. დაინტერესებულ მხარეთა ინტერესის/ზეგავლენის რუკა

ზეგავლენა / ინტერესი	დაბალი ზეგავლენა	მაღალი ზეგავლენა
მაღალი ინტერესი	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი მწარმოებლები; - იმპორტიორები; - პროდუქციის საბითუმო და საცალო რეალიზატორები; - საქართველოს ბიზნეს ასოციაცია; - მწარმოებელთა ასოციაცია. 	<ul style="list-style-type: none"> - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო; - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
დაბალი ინტერესი	<ul style="list-style-type: none"> - მომხმარებელთა ასოციაცია; - მომხმარებლები. 	<ul style="list-style-type: none"> - საქართველოს პარლამენტი.

RIA-ს გუნდმა ჩაატარა შეხვედრები ზემოაღნიშნულ დაინტერესებულ მხარეებთან, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემაჯამებელ ცხრილში.

კონსულტაციების პროცესში ბიზნესის მხრიდან გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. კონსულტაციების პროცესში მონაწილეობდა საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG), რომელმაც გაგვიზიარა ასოციაციის წევრი კომპანიების პოზიციები.

1. მარეგულირებელი ნორმების დაცვა

ბიზნესის მიერ ხაზი გაესვა კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვის მნიშვნელობას და ბიზნესის როლს მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. „თუ მოხდება კანონმდებლობის დაცვის კონტროლი, ეს ცალსახად შეუწყობს ხელს, რომ მიღწეულ იქნას მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონე. ხელის შემშლელი ძირითადი ფაქტორი არის სექტორში მოქმედი მწარმოებლების ნაკლები ინფორმირებულობა და შესაბამისად, მათი ნაკლები ჩართულობა, ურომლისოდაც შეუძლებელია შესაბამისი მოთხოვნების ეფექტური დაცვა“ (შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“).

„უმნიშვნელოვანესია მეტი კონტროლი პროდუქციის ხარისხზე და ფალსიფიცირებული პროდუქტის აღმოფხვრა. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იქნას შიგთავსში არსებული ნედლეულის და რეცეპტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ნორმებთან. ამასთან, ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა მეტი ბერკეტის ამოქმედება, რადგან მოქმედი კონტროლი არ არის ეფექტური და ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული პროდუქტით. ჩვენი თვალსაზრისით, საჯარიმო პოლიტიკის უცვლელად დატოვების შემთხვევაში კი შედეგი იქნება სავალალო, ვინაიდან ხარისხიანი პროდუქცია რჩება კონკურენტუნარო, რაც იმოქმედებს მომხმარებლის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე“ (შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“).

„არსებული კანონმდებლობა და მარეგულირებელი მექანიზმები აკმაყოფილებენ იმ დონეს, რომ ქართულ ბაზარზე არ მოხვდეს საფრთხის შემცველი პროდუქცია. სასურველია გამკაცრდეს იმ პროდუქტების გამოვლენის პროცედურები, რომლებიც აზიანებენ მომხმარებლის უსაფრთხოებას. ბაზრის მეტი კონტროლი, განსაკუთრებით იმპორტის პროცესში, საშუალებას მისცემს კანონმორჩილ ქართულ ორგანიზაციებს ნაკლებად სარისკოდ მიიჩნიონ პროდუქტის უსაფრთხოებისთვის გაწეული ხარჯები“ - განაცხადა ელექტრო კაბელების მწარმოებელი კომპანიის შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ წარმომადგენელმა. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ ბაზრის ზედამხედველობის სისტემის ეფექტიანობის ზრდა აუცილებლად შეუწყობს ხელს ადგილობრივი წარმოების განვითარებას.

საყოფაცხოვრებო ტექნიკის სფეროში მოქმედმა კომპანიებმა აღნიშნეს, რომ „მარეგულირებელი კანონმდებლობა, მათ შორის ბოლო პერიოდში მიღებული,

ვფიქრობთ, რომ საკმარისად უზრუნველყოფს მომხმარებლის დაცვას სახიფათო პროდუქტებისაგან. ბოლო პერიოდამდე გამოწვევად რჩებოდა აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები. თუმცა, მარეგულირებელი კანონმდებლობის შემოღების შემდეგ, საკითხი მეტ-ნაკლებად დარეგულირდა. **ვფიქრობთ, გამოწვევად რჩება თვითონ კანონის აღსრულება შედარებით „წვრილი“ იმპორტიორებისათვის, ან ერთჯერადად შემომტანებისათვის, რომლებიც ბაზრობების მეშვეობით ცდილობენ შემდეგ ამ პროდუქციის რეალიზებას. რაც შეეხება ბაზრის ზედამხედველობის სისტემის ეფექტიანობას, ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე მსხვილი იმპორტიორებისა და ქსელური კომპანიებისთვის, სადაც ზედამხედველობის სისტემის გამართული მუშაობა ისედაც მარტივი მისაღწევია, ზედამხედველობის სისტემა ეფექტურად გამოიყურება, თუმცა ბაზრობები ისევ საჭიროებს მეტ ყურადღებას საკმარისი ეფექტურობის მისაღწევად“ (სს „ელიტ ელექტრონიკსი“).**

„სახიფათო პროდუქტების შემცირებით მომხმარებლის დაცვის მაღალი დონე მიიღწევა მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფით, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს კანონის ნორმათა მეტ სიზუსტეს, კონკრეტიკას და განჭვრეტადობას, რათა ბიზნესი წინასწარ, პროდუქციის დაკვეთამდე გონივრული დროით ადრე, ნათლად და გარკვევით იყოს ინფორმირებული ბაზარზე პროდუქტის განთავსებისთვის დაწესებული უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნების თაობაზე. მომხმარებლის დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს სწორედ აღნიშნული წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში არსებული ბაზრის ზედამხედველობის სისტემის ეფექტურობისთვის, გარდა იმისა, რომ თავად მარეგულირებელი კანონმდებლობა ნათლად და გარკვევით უნდა უდგენდეს მოვაჭრე სუბიექტებს ბაზარზე პროდუქტის განთავსებისთვის უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნებს, **ზედამხედველობის ორგანომ თანაბარ პირობებში უნდა ჩააყენოს ყველა პროდუქციის ბაზარზე განმათავსებელი კომპანია და თანაბრად (ერთგვაროვნად) უნდა მოსთხოვოს მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულება/დაცვა“ (მპს „ომეგა“ (სავაჭრო ნიშნით „მეგატექნიკა“).**

კონსულტაციების პროცესში მნიშვნელოვანი იყო სათამაშოების იმპორტიორი კომპანიების მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

მპს „ანვოლ კავკასიაში“ და მპს „პეპელაში“ აცხადებენ, რომ მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევა და საშიში პროდუქტების შემცირება მოიცავს მარეგულირებელი ზომების, ინდუსტრიის სტანდარტების, მომხმარებელთა განათლებისა და აღსრულების ერთობლიობას. ამდენად, არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს იგი.

სათამაშოების იმპორტიორ კომპანიაში - „მინისო ჯორჯია“ აღნიშნეს, რომ მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვა სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან ხარისხის მუდმივი კონტროლი ხდება მომწოდებლის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს და 100-ზე მეტ ქვეყანაში ყიდის თავის პროდუქციას. **„გამკაცრება ალბათ საჭირო იქნება, რომ ქვეყანაში აღარ შემოდის დაბალი ხარისხის და საფრთხის შემცველი პროდუქცია, რომელიც სამწუხაროდ მრავლად არის ბაზრობებზე და ძნელია მის ნორმებთან შესაბამისობაზე საუბარი.** ამდენად, უმნიშვნელოვანესია საზოგადოების (ყველა მონაწილე რეგოლის) ცნობიერების ამაღლება და შედარებით ლოიალური ჯარიმების დაწესება. ამასთან მათი შეფასებით, არსებული კანონმდებლობა აკმაყოფილებს, რომ მიღწეული იქნას მომხმარებლის დაცვის მაღალი დონე სახიფათო პროდუქტების შემცირებით“.

„მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მისაღწევად და სახიფათო პროდუქტების შესამცირებლად, აუცილებელია სისტემატიურად განხილვა საკანონმდებლო ქმედებების, მარეგულირებელი აქტების, საზოგადოების ინფორმირებულობის კამპანიებისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის კომბინაციით. მუდმივი მონიტორინგი და განვითარებადი რისკებისა და ტექნოლოგიებისადმი ადაპტაცია, ასევე, გადაწყვეტია ამ მიმდინარე ძალისხმევაში.

მიგვაჩნია, რომ დღეის მდგომარეობით შესაბამისი მაკონტროლებელი უწყებები მართლა შრომობენ და ასრულებენ მათზე დაკისრებულ **პასუხისმგებლობას, თუმცა ვერ ხდება ყველა ობიექტის შემოწმება, ხოლო ხშირია ერთი და იგივე ობიექტის რამდენჯერმე შემოწმება და არასამართლიანად დოკუმენტაციის გამოთხოვა.** ამდენად, აუცილებელია არსებობდეს ერთიანი სტანდარტი, რომელსაც დაიცავს, პირობითად, იმპორტიორი და იგი მოსთხოვს მწარმოებელს დეტალურად ყველა საჭირო ინფორმაციას, ეს შესაძლოა იყოს ნებისმიერი კონკრეტული დოკუმენტაცია, მათ შორის, გამოცემის/შედგენის ვადებიც“. - აცხადებენ კომპანია „პეპელაში“ და მპს „ანვოლ კავკასიაში“.

„არსებული კანონმდებლობა და მარეგულირებელი მექანიზმები ხელს უწყობს დავიცვათ მომხმარებლები. ჩვენს შემთხვევაში, პროდუქციასთან შეხება აქვთ ბავშვებს, რომელთა მშობლებისთვის აუცილებელია, ჰქონდეთ ინფორმაცია პროდუქციის გამოყენების შესახებ. კერძოდ, აუცილებელია, რომ მშობელს ან პირს, რომელიც ყიდულობს პროდუქციას ბავშვისთვის, ჰქონდეს ინფორმაცია შესაბამისი ასაკის შესახებ, თუ რომელ წლამდე, ან რამდენი წლის შემდეგ შეუძლია ბავშვს ამა თუ იმ პროდუქტით თამაში, ან მისი გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ უსაფრთხოების მითითებები პროდუქციაზე დატანილი იყოს თვალსაჩინოდ. რაც შეეხება სახიფათო პროდუქტების შემცირებას, ეს უზრუნველყოფს მომხმარებლის, ადამიანების უსაფრთხოებას. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოხდება წარმოებული და იმპორტირებული პროდუქციის მუდმივი მონიტორინგი და ჩატარდება ტესტები, პროდუქციის უსაფრთხოების დასადასტურებლად (მპს „საბა 007“).

„არსებული კანონმდებლობა და მარეგულირებელი მექანიზმები აკმაყოფილებს მომხმარებლის დაცვას მავნე პროდუქტებისგან. ძირითადი ფაქტორი, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს სახიფათო პროდუქტების შემცირებას, არის **ლაბორატორიული კვლევების ხელმისაწვდომობის გაზრდა მწარმოებლებისა და იმპორტიორებისათვის**. რაც შეეხება ბაზრის ზედამხედველობის სისტემას, არის ეფექტური და დიდი წვლილი შეაქვს ბაზრის დაცვაში მავნე პროდუქტებისგან, ასევე, მისასაღებელი იქნება ახალი რეგულაციების შემოღება, რაც მეტად დაიცავს მომხმარებელს მავნე პროდუქტების ზეგავლენისგან“ (მპს „გამა“).

„გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ვფიქრობთ, სანქცია უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმის ადეკვატური. არსებული რეგულაცია არ არის საკმარისი მექანიზმი ბიზნეს სუბიექტების, განსაკუთრებით კი მსხვილი მწარმოებლების და იმპორტიორების მხრიდან, კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევების შესამცირებლად. ვფიქრობთ, **მომხმარებლის პრეტენზიაზე მყისიერი რეაგირება და სათანადო სანქცია მომხმარებლთა ინტერესების დაცვას მაღალ დონეზე აიყვანს** (მპს „თერმოინდუსტრია“).

„მარეგულირებადი მექანიზმები რომ მიღწეული იქნას, **საჭიროა ზედამხედველობის სააგენტოების გამართული მუშაობა და ამავე დროს, საჯარიმო სანქციების ამოქმედება**, რათა უფრო ხშირად და აქტიურად გაკონტროლდეს პროდუქციის ხარისხი, რასაც უზრუნველყოფს ბიზნესში არსებული ხარისხის აკრედიტირებული ლაბორატორიები“ (მპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფ“).

მპს „კაპაროლ ჯორჯია“-ში აღნიშნეს, რომ „**ევროპული წარმომავლობის პროდუქცია სრულად აკმაყოფილებს ნორმებს, რისკი არ არსებობს და ამ მხრივ, ზედმეტი ძალისხმევა არ უნდა იხარჯებოდეს იმპორტიორისა თუ სახელმწიფოს მხრიდან**. რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას, თუ ადგილობრივ კომპანიას შეთანხმებული აქვს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და არის გარემოს დაცვის სამინისტროს სკოუპის ქვეშ, ასეთი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია სახიფათო არ იქნება და მასზეც, ანალოგიურად დამატებითი რეგულაციების გავრცელება საჭირო აღარ უნდა იყოს“. კომპანიის შეფასებით, ბაზრის ზედამხედველობის სისტემა არ არის ეფექტური, რადგან კონტროლის მექანიზმების დუბლირება ხდება და იფანტება რესურსები, რომელთა კონცენტრირებაც რისკის მატარებელ სეგმენტებზე სუსტდება ან ვეღარ ხერხდება.

2. ბიზნესისთვის შესაბამისობის ხარჯების ტვირთი

ბიზნესის მარეგულირებელი ხარჯები, როგორც წესი მოიცავს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო რეგულაციების დაცვასთან, მათ შორის პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებთან. ეს ხარჯები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ინდუსტრიის, სპეციფიკური რეგულაციებისა და წარმოებული პროდუქციის სირთულის

მიხედვით. პროდუქტის უსაფრთხოების შესაბამისობასთან დაკავშირებული ძირითადი მარეგულირებელი ხარჯები მოიცავს: ტესტირებას, სერტიფიცირებას, ხარისხის კონტროლსა და უზრუნველყოფას, დოკუმენტაციის წარმოებას, ეტიკეტირების დაორგანიზება/ბეჭდვა/დაკვრას, ტრენინგებისა და განათლების უზრუნველყოფას თანამშრომლობისთვის, იურიდიული და საკონსულტაციო გადასახადებს, პროდუქტის პასუხისმგებლობის დაზღვევას და სხვა. განაცხადეს შპს „ანვოლ კავკასიაში“ და შპს „პეპელაში“.

კომპანიებმა, პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული შესაბამისობის ხარჯების შეფასებისას აღნიშნეს, რომ „კეთილსინდისიერი მწარმოებლის მიერ **ტექნიკური და ხარისხობრივი ნორმების ზედმიწევნით დაცვის შემთხვევაში, სხვა არაპირდაპირი ხარჯი მინიმალურია** და შესაბამისად, არ ახდენს გავლენას პროდუქციის თვითღირებულებაზე“ (შპს „ჰაილელბერგცემენტ ჯორჯია“).

კომპანიების ნაწილი აღნიშნავს, რომ თავის მხრივ, პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობა დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ხარჯებთან, რადგან წარმოებული პროდუქტი კონტროლირდება სტანდარტების მიხედვით, რათა არ მოხდეს დეფექტური პროდუქციის ჩაშვება ბაზარზე და მომხმარებლისთვის მიწოდება. თუმცა ცხადია, ნორმების დარღვევის შემთხვევაში, გაცილებით მაღალია ის ხარჯი, რის გაღებაც კომპანიას უწევს პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

კომპანია „ელიტ ელექტრონიქსში“ აღნიშნეს, რომ „საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე განთავსებული პროდუქცია თითქმის სრულად არის იმპორტირებული. შესაბამისად, დღემდე არ იყო სრულფასოვნად რეგულირებული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული აღნიშვნებისა და ინსტრუქციების მიწოდება ქართულ ენაზე. თუმცა, უცხო ენაზე (უმეტესად ინგლისურ და რუსულ ენებზე) აუცილებლად მიეწოდებოდა მომხმარებელს პროდუქციასთან ერთად. ცალკეულ შემთხვევებში, ჩვენი კომპანიაც უზრუნველყოფდა ინსტრუქციის ქართული თარგმანის თანხლებას, მაგალითად ტელევიზორების შემთხვევაში. **ქართულ ენაზე ინსტრუქციების და აღნიშვნების დატანა ნამდვილად იქნება ხარჯებთან დაკავშირებული.** ძნელია მწარმოებლების ნაცვლად ზუსტ ციფრებზე საუბარი, ვინაიდან განსხვავებულია ბრენდებისა და შესაბამისად, ტექნიკის კატეგორიების მიხედვით მწარმოებელთა დამოკიდებულება და მათი დანახარჯები, ასევე, განსხვავებულია რეალიზაციის მოცულობები კატეგორიების მიხედვით. საშუალოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალ რეგულაციებთან ადაპტირება (როგორც ინსტრუქციები, ასევე მიკვლევადობა) **მთლიანობაში გამოიწვევს ხარჯის გაზრდას თვითღირებულებასთან მიმართებაში უხეშად 10-დან 15%-მდე.** თუმცა ეს არაა სრულად ის პრობლემა, რაც ამ რეგულაციების შემოღებას უკავშირდება. დიდი და ცნობილი ბრენდები როგორცაა BOSCH, SAMSUNG, GORENJE და სხვები ფირობენ, რომ ამ რეგულაციით შესაძლოა **შეზღუდონ ასორტიმენტი**, ვინაიდან ხარჯი შესაძლოა იმდენად შეუსაბამოდ გაიზარდოს, მათთვის საინტერესო არ იქნება სრულ ასორტიმენტზე მოახდინონ რეგულაციებთან ადაპტირება.

ამიტომ შესაძლოა საქართველოს ბაზრისთვის მხოლოდ მოდელების ლიმიტირებული რაოდენობისთვის გასწიონ ხარჯი და მოიყვანონ ისინი რეგულაციებთან შესაბამისობაში. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასორტიმენტის შემცირება უახლოეს მომავალში, რეგულაციების ამოქმედებასთან ერთად აბსოლუტურად რეალურია“.

კომპანია „კაპაროლ ჯორჯია“-ში აცხადებენ, რომ პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხარჯები კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს ყოველი მწარმოებლის მხრიდან და უკავშირდება ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვის და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციის მიღწევის უზრუნველყოფის ხარჯებს. „რაც შეეხება ბოლო პერიოდში მიღებული რეგულაციით გამოწვეულ ხარჯს, რაც ლაქ-საღებავებზე სტიკერების დაკვრას გულისხმობს წარწერით, რომ პროდუქტში ტყვიის შემცველობა არ აღემატება 90 ppm-ს, ჩვენს შემთხვევაში **გაუმართლებელი და არაეფექტური ხარჯია, რადგან პირიქით ჩვენი მომხმარებლების დაბნევას იწვევს, ჩვენს საღებავებში ტყვიის შემცველობა საერთოდ არ არის, გაუგებარია რატომ უნდა იყოს პროდუქტზე დატანილი ინფორმაცია ისეთ ნივთიერებაზე, რომელიც საერთოდ არ არის ამ პროდუქტში? სხვა ძრავალი, შესაძლოა უფრო მავნე, ნივთიერებაა ბუნებაში ტყვიის გარდა, რომლებიც, ასევე, არ არის ჩვენს წარმოებულ პროდუქტში და მათი აღნიშვნა რატომ არ არის სავალდებულო?“**

მპს „ანვოლ კავკასია“, მპს „პეპელა“, მპს „ბიბლუსი“-ს წარმომადგენლების შეფასებით მარეგულირებელი ხარჯების გავლენა პროდუქტის ფასზე შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს და ეს დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ინდუსტრია, მოქმედი სპეციფიკური რეგულაციები და ბაზრის კონკურენტუნარიანობა. „ზოგიერთ შემთხვევაში, მარეგულირებელთან შესაბამისობის ხარჯები შეიძლება იყოს პროდუქტის მთლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით მაღალრეგულირებადი ინდუსტრიებისთვის. ამასთან, აუცილებელია, რომ სამთავრობო უწყებები ეცადონ დაამყარონ ბალანსი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მარეგულირებელი ტვირთის მინიმიზაციას შორის, რათა მიაღწიონ რეგულირების ეფექტურობას. ამდენად, უმნიშვნელოვანესია, რომ **დადგინდეს ერთიანი სტანდარტი პირველადი ვალის მიცემასთან დაკავშირებით**, იმისთვის რომ კომპანიებმა სრულყოფილად მოაგროვონ მოთხოვნილი დოკუმენტაცია“.

„კომპანიის მხრიდან ძალიან დიდი რესურსი გადის იმისთვის, რომ თითოეული პროდუქტი შესაბამებოდეს კანონმდებლობას. კონკრეტული თანამშრომელი სათითაოდ ამოწმებს ლეკლარაციებს, ტესტ რეპორტებს, ლაბორატორიასთან ამოწმებენ აღნიშნულს და რეალურად რამდენიმე დღეს მთლიანად კარგავენ ამაში. ასევე, აუცილებელია რომ დადგინდეს ერთიანი სტანდარტი დოკუმენტის გამოცემის ვადასთან დაკავშირებით. აუცილებელია, რომ სანამ პროდუქტი უშუალოდ განთავსდება მაღაზიაში, მანამდე იყოს გამოცემული ყველა დოკუმენტი და არ უნდა ჰქონდეს გავლენა იმ ფაქტს, რომ დოკუმენტი პროდუქტის გამოგზავნის შემდგომ არის გამოცემული. ვინაიდან, მთავარია კონკრეტული

პროდუქციის ხარისხი და არა გამოცემის თარიღი. ასევე, სრული დოკუმენტაციით და ტესტ რეპორტით ნებისმიერი პროდუქტი, მათ შორის სათამაშო ბევრად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მის გარეშე. **თითო ტესტ რეპორტი საშუალოდ 1500-2000 დოლარი ღირს, რაც ძალიან გვიძვირებს დამკვეთებს პროდუქციის ღირებულებას**“ (მპს „ანვოლ კავკასია“, მპს „ჰეპელა“).

„საქართველოში არ არსებობს შემმოწმებელი ორგანო, ვისაც მივმართავთ და ვთხოვთ დოკუმენტის სისწორის შემოწმებას, ჰაერზე გვიწვეს ნდობა მომწოდებლების ან ჩვენი ძალებით გარკვევა, რაც დამატებით კიდევ დროსთან არის დაკავშირებული. ამასთან, არ არსებობს საქართველოში ლიცენზირებული ლაბორატორია და ვფიქრობ, აღნიშნული მიმართულების განვითარებისთვის უმთავრესია მისი არსებობა ქვეყანაში“ - განაცხადეს კომპანია „ანვოლ კავკასიაში“.

„ბიზნესისთვის მარეგულირებელი ხარჯები მოიცავს მწარმოებლისგან პროდუქციის შექმნისას თავად მწარმოებლის მიერ პროდუქციაზე თანდართული დოკუმენტაციის (ხარისხის სერთიფიკატი და სხვა) მოპოვებაში გადახდილ თანხებს, აგრეთვე იმ თანხებს, რასაც საქართველოს ბაზარზე პროდუქციის განთავსებამდე განმათავსებელი კომპანია გაიღებს ყველა სავალდებულო მოთხოვნის შესასრულებლად (მომხმარებლის ინფორმირება/ინსტრუქტაჟი, პროდუქციის ეტიკეტირება, პროდუქციაზე თანდართული დოკუმენტაციის თარგმნა და ა.შ.). პროდუქციის ფასში მისი წილის (თუნდაც მიახლოებითი) განმსაზღვრელი არის თავად პროდუქცია, შეკვთის ოდენობა, ანუ კონკრეტულად რა პროდუქტს და რა ოდენობით ვყიდულობთ მწარმოებლისგან, ასევე, პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნის სტანდარტიზაციისა თუ შესაბამისობის შეფასების სფეროში არსებული კანონმდებლობა და ტარიფები“ (მპს „ომეგა“).

„პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისობაში მოსაყვანად, საჭიროა არაერთი ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, ხარისხიანი ნედლეულის გამოყენება, რომელიც გაცილებით მეტი ღირებულებისაა და ასევე, კვალიფიციური კადრები. ეს ყველაფერი ერთობლიობაში ქმნის პროდუქტს, რომელიც **აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს, მისი წილი პროდუქტის ფასში არის დაახლოებით 20-25%** (მპს „გამა“).

კომპანია „საბა 007“-ში აღნიშნავენ, რომ შესაბამისობის ნორმების დაცვა ბიზნესისთვის, ცხადია, ხარჯებს საკმაოდ ზრდის. მაგალითისთვის, იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება, რომელიც არის დატესტილი და რომელსაც აქვს ამის დამადასტურებელი საბუთი, იზრდება დაახლოებით 30%-დან 40%-მდე. „**ასეთ შემთხვევაში, ვისურვებდით, გაგაჩნდეს ქვეყანაში ტესტირების ლაბორატორია, რათა შეგვეძლოს პროდუქტის ნიმუშის შემოტანა, მისი დატესტვა ლაბორატორიაში და მხოლოდ ამის შემდეგ დიდი შეკვთის გაკეთება, რადგან ყოფილა შემთხვევები, როდესაც უსაფრთხოების დამადასტურებელი საბუთების ქონის მიუხედავად, ბაზრის ზედამხედველობის მოთხოვნით, მოგვინდა პროდუქტის გამოთხოვა. ასეთი სიტუაციიდან გამოსავალს ვხედავ მხოლოდ მაშინ, თუ გვექნება საქართველოში ლაბორატორია ნიმუშების შესამოწმებლად.**

ასეთ შემთხვევაში მოხდება ჩვენი, როგორც იმპორტიორების, არარაციონალური ხარჯების შემცირება“.

3. პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების დაცვა

სამშენებლო ინდუსტრიის წარმომადგენლები, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მნიშვნელობაზე. „უსაფრთხოების ნორმების დაცვა უმნიშვნელოვანესი და ამოსავალი წერტილია როგორც ბიზნესისათვის, ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, რადგან უსაფრთხო გარემოში, უსაფრთხო პროდუქციით ნაწარმოები და აშენებული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაცია, ადგილობრივი და ევროპული ნორმების სრული დაცვით არის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი. აღნიშნულ გარემოში კი, ქვეყნის სტაბილურ და მდგრად განვითარებას ბევრად უფრო მაღალი ტემპებით შეგვიძლია მივაღწიოთ (განსაკუთრებით ისეთ სუბსურად აქტიურ ზონაში, როგორც საქართველო). ამასთან, გასათვალისწინებელია **სამართლიანი კონკურენციის ფაქტორი, რათა კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი მწარმოებლები თავს გრძნობდნენ დაცულად, ჰქონდეთ მოტივაცია გააგრძელონ ოპერირება ბაზარზე და მოახდინონ ინვესტირება საწარმო - ტექნოლოგიური ნაწილის დახვეწა - განვითარებაში**“ (შპს „ჰაილელბერგცემენტ ჯორჯია“).

„კანონით გათვალისწინებული პროდუქციის უსაფრთხოების ზომები, რა თქმა უნდა, აახლოებს ჩვენი მწარმოებლებისთვის ევროპულ და სხვა რეგიონების ბაზარს. იგივე სტანდარტები, რაც ევროპაშია, აუცილებლად აამაღლებს ჩვენი პროდუქციის ხარისხს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი ორგანიზაციის მიერ შესრულებული ყველა მოთხოვნის თანახმად წარმოებული პროდუქცია, რომელსაც, თავის მხრივ, შედარებით მაღალი აქვს თვითღირებულება, **ბაზარზე აწყდება ისეთ კონკურენტებს, რომლებიც ამ მოთხოვნებს არ იცავენ და პროდუქციაც შედარებით დაბალი თვითღირებულების გამოსდით**, რაც ცხადია, აძნელებს ჩვენი პროდუქციის გაყიდვას. ჩვენი თხოვნაა **ბაზარზე ყველა მონაწილის ერთ სისტემაში მოყვანა. პრობლემაა არა კანონის ავკარგიანობა, არამედ - მისი ეფექტურად აღსრულება**“ (შპს „ელვარე“).

„პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებს გაცილებით დიდი სარგებელი მოაქვს როგორც ბიზნესისთვის, ისე სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისათვის - ბიზნესისთვის კონკურენტუნარიანობა, მეტი წარმადობა, სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისათვის ხარისხიანი პროდუქტის მიწოდება, რაც დიდ გავლენას მოახდენს მომხმარებლის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე“ (შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“).

„წარმოების პროცესის ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვა, გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაცია, ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა და ა. შ. ავტომატურად უზრუნველყოფს უსაფრთხო პროდუქტის წარმოებას. საწარმოების პროდუქტები, სადაც არ არის დანერგილი მსგავსი სიტემები, **აუცილებლად უნდა მოწმდებოდეს შესაბამის**

ლაბორატორიაში უსაფრთხოების თვალსაზრისით და აუცილებლად უნდა მოექცეს რეგულაციების ქვეშ, რათა ხარისხის მოთხოვნებმა აიძულოს მწარმოებელი გაუმჯობესოს და დახვეწოს წარმოების სისტემა. ეს კი გამოიწვევს კონკურენტუნარიანობის ზრდას, ხარისხის გაუმჯობესების მოტივაციას, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის, სახელმწიფოსთვის, რომელსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რისკების კუპირებისთვის ხარჯები შეუმცირდება და საზოგადოებისთვის, დადებითი ეფექტის მქონე იქნება“ (მპს „კაპაროლ ჯორჯია“).

პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების სათანადო დაცვა განაპირობებს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შემცირებას, რაც საზოგადოებისა და შესაბამისად, სახელმწიფოს მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. რაც შეეხება ბიზნესს, ჩვენი აზრით, მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულება განაპირობებს იმ კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და შემოსავლების ზრდას, რომლებიც კეთილსინდისიერად იცავენ საკანონმდებლო მოთხოვნებს და მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც **მარეგულირებელი/მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოები კანონის აღსრულებისას ერთგვაროვან და არადისკრიმინაციულ მიდგომას იყენებენ** (ყველა მოვაჭრის მიმართ სავალდებულო მოთხოვნების თანაბრად წარდგენა) (მპს „ომეგა“).

„ბიზნესისთვის უსაფრთხოების ნორმების დაცვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას გაცილებით ნაკლები ძალისხმევა სჭირდება და პირდაპირპროპორციულია ბიზნესის განვითარებასთან. ამასთან, პირდაპირ კავშირშია საზოგადოებისა და სახელმწიფოს სარგებელთან, რაც ამცირებს საოჯახო მუერნობებისა და სახელმწიფოს მიერ გაწეულ დანახარჯებს“ (მპს „გამა“).

„ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ასევე, გარემოზე ზრუნვა უნდა იყოს თითოეული მოქალაქის და ბიზნეს სუბიექტის პრიორიტეტი. პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების მოქმედება და დაცვა ბიზნეს გარემოში უსაფრთხოების სტანდარტს და მომხმარებელში პროდუქტისადმი სანდოობას ქმნის“ (მპს „თერმოინდუსტრია“).

4. ხარჯებისა და სარგებლის ურთიერთკავშირი

კომპანიები აღნიშნავენ, რომ ზოგადი სარგებელი, მომხმარებლის ნდობის გარდა, პირველ რიგში, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ამასთან, კომერციული რეპუტაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარკვეულ ბაზრებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ სუბიექტს აქვთ ინტერესი შეინარჩუნოს მუდმივი ურთიერთობა მომხმარებლებთან და ამით შეიძინოს და შეინარჩუნოს „გუდვილი“. შედეგად, ხარჯები, რომლებსაც საჯაროობა აწესებს, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მაღალი იყოს, ვიდრე სხვა სანქციები.

„ბიზნესის შესაბამისობის ხარჯები სარგებლის პირდაპირპროპორციულია, რამდენადაც პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობისთვის და

ადგილობრივი/ევროპული სტანდარტების სრული დაცვით ნაწარმოები პროდუქციის და მასალების მისაღებად გაწეული ხარჯი, პირდაპირ ზრდის მომხმარებლის ნდობას. შესაბამისად, სწორედ ეს არის ის მიზანი, რომლის გარშემოც უნდა გაერთიანდეს ყველა სათანადო კეთილსინდისიერი ბიზნეს ოპერატორი. ამასთან, **მომხმარებლის ადგილობრივი პროდუქციისადმი მაღალი ნდობა საგრძნობლად შეუწყობდა ხელს იმპორტ-ექსპორტის ბალანსის დადებითი მიმართულებით განვითარებას**“ (შპს „ჰაილელბერგცემენტ ჯორჯია“).

„მომხმარებლის ნდობის მოპოვება სწორედ ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქტის წარმოების გზითაა შესაძლებელი. ჩვენს საღებავში, **ტყვიის შემცველობა ნულის ტოლია და გვიწევს წარწერის დატანა, რომ მასში ტყვიის შემცველობა არ აღემატება 90 ppm-ს, ეს კი მომხმარებელს აბნევს და აფიქრებინებს, რომ რაღაც რაოდენობის ტყვიის შემცველობა მასში ყოფილა, მაშინ როდესაც საერთოდ არ არის. მსგავსი მაგალითები ახალი რეგულაციის შემდეგ მომხმარებელთა მხრიდან არაერთი გვექონდა** (შპს „კაპაროლ ჯორჯია“).

„მომხმარებლის ნდობა პროდუქციასთან მიმართებით, პირდაპირ კავშირშია მის უსაფრთხოებასთან. თუმცა, არის შემთხვევები (მყიდველის დაბალ მსყიდველუნარიანობის გამო) არ ექცევა ყურადღება ამ საკითხს მყიდველის მიერ. გარდა კონტროლისა, **სასურველია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფრო მეტად ცნობადი იყოს თავისი საქმიანობით არა მხოლოდ ეკონომიკურ სუბიექტებში, არამედ მომხმარებლებში, რათა გაზარდოს მომხმარებლის როგორც მოთხოვნა პროდუქციის მიმართ, ასევე, მისი ინფორმირებულობა საკუთარი დაცულობის აუცილებლობის შესახებ.** ამიტომ შეიძლება ითქვას ამ ეტაპზე ბიზნესის მიერ გაწეული ხარჯები პროდუქციის უსაფრთხოებაში სრულად და ეფექტურად ვერ აისახება სარგებელში“ (შპს „ელვარე“).

„ბიზნესი ვალდებულია დააკმაყოფილოს ბაზარზე არსებული მოთხოვნები, თუნდაც ეს სცდებოდეს სარგებლის პროპორციულობას. მომხმარებლის ნდობა დამოკიდებულია მწარმოებლის მიერ ხარისხის კონტროლზე, ხშირად ხარისხი ფასზე მაღალია“ (შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“).

კომპანია „ელიტ ელექტრონიქსის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ, როდესაც მომხმარებელი მხოლოდ ინგლისურ ან სხვა ევროპულ ენაზე ხელავდა ინსტრუქციას, თვლიდა რომ პროდუქცია შექმნილი იყო ევროპისათვის, ე.ი. ევროპული სტანდარტებით და იჩენდა ნდობას მის მიმართ. „როგორც კი ბაზარზე გამოჩნდა პროდუქცია რუსულ ან აზიურ ენებზე ინსტრუქციებით, მომხმარებელმა ჩათვალა, რომ ეს გაცილებით დაბალი სტანდარტით იყო შექმნილი და ნაკლებად ენდობოდა ასეთ პროდუქტს. სამწუხაროდ, ანალოგიური **სკვატიციზმით უყურებდნენ, ცალკეულ შემთხვევაში, ქართულ ენაზე გაკეთებულ წარწერებსაც.** უკვე წლებია ჩვენ მომხმარებელთან ვმუშაობთ ამ საკითხზე და ნდობის ამაღლებაზე, ამიტომაც

დავამკვიდრეთ, მაგალითად სტატუსი, რომ სს „ელიტ ელექტრონიკსი“ წარმოადგენს ამა თუ იმ ბრენდის „ოფიციალურ პარტნიორს“, ან „ოფიციალურ რესელერს“. ამ ნაბიჯებით მეტნაკლებად გავზარდეთ მომხმარებლის ნდობა ქსელში არსებული პროდუქციის მიმართ, რითაც ვფიქრობთ, რომ მეტ-ნაკლებად შევაძლებთ მომხმარებელი, რომ არ დააფრთხოს ქართული ინსტრუქციებით მიწოდებულმა პროდუქტმა“.

„ზოგადად, მომხმარებლის ნდობა მეწარმისთვის შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი კომპონენტია, თუმცა, ბიზნესის შესაბამისობის არსებული ხარჯების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, არ არის მისი პროპორციული და მნიშვნელოვნად აღემატება მას“ (მპს „ომეგა“).

„პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების დაცვა პირდაპირ კავშირშია ხარისხიანი და უსაფრთხო მასალის წარმოებასთან. აღნიშნული ზრდის ნდობას ბიზნესს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის“ (მპს „თი ეს გრუპი“).

კომპანია „თერმოინდუსტრიაში“ აღნიშნავენ, რომ კომპანია 10 წელზე მეტია რაც საქართველოს ბაზარზეა და დაარსების დღიდან მათი პრიორიტეტია მომხმარებლის ინტერესი და მათთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება. „ბიზნესის ნორმებთან შესაბამისობის გარეშე ვერ შევინარჩუნებთ მომხმარებლის ნდობას. **ეს ხარჯი, შესაძლოა იყოს ცვალებადი დროის განმავლობაში და მაღალი, თუმცა აუცილებელი“.**

„ჩვენი ბიზნესისთვის, უსაფრთხოების ნორმების დაცვა ყოველთვის მნიშვნელოვანია. უსაფრთხო პროდუქციის შემოტანით ხარჯები ძალიან იზრდება. ასევე იზრდება ფასი, რომელსაც მომხმარებელი იხდის. პროდუქციის გაყიდვა ასეთ სიტუაციაში საკმაოდ რთული ხდება, რადგან საქართველოს მოსახლეობის ბიუჯეტისთვის ძალიან რთულია გაზრდილი თანხის გადახდა. ეს სიტუაცია კეთილსინდისიერი ბიზნესების მოტივაციის ჩამხშობია. ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, რომ გარე ბაზრობები და ბიზნესები, რომლებიც გადასახადებს არ იხდიან, სარგებლობენ ჩვენი გაზრდილი ფასებით და უზრდებათ შემოსავალი იმის ხარჯზე, რომ ყიდიან იგივე პროდუქციას ნაკლებ ფასში, რადგან მათთვის არ მოუთხოვიათ შესაბამისობის ტესტირებები. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ამას შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ კეთილსინდისიერი ბიზნესები შეჩერდეს, და ბაზრის ხარისხმა დაიკლოს, ხოლო ქვეყნის ბიუჯეტში ნაკლები თანხა შევიდეს. ამიტომ აუცილებელია, რომ პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით შემოწმებული იქნას უკლებლივ ყველა ბიზნეს სუბიექტი, იმპორტიორი თუ მეწარმეობელი, გამონაკლისის გარეშე (მპს „საბა 007“).

5. არსებულ საჯარიმო პოლიტიკა

კომპანია „ელიტ ელექტრონიკსში“ აღნიშნეს, რომ „საჯარიმო სანქციების გამოყენების განხილვისას სასამართლოს უნდა დარჩეს დისკრეციული უფლებამოსილება არ გაავრცელოს საჯარიმო სანქცია. კონკრეტული ქეისის ფაქტობრივი გარემოებებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება, საჭიროების შემთხვევაში კი შემოიფარგლოს გაფრთხილებით“.

„ბაზრის ზედამხედველობის დადგენილ სისტემას ეფექტურობის მაღალი ნიშნულის მისაღწევად სჭირდება მეტი რესურსი და მაქსიმალური მონიტორინგი, შესაბამისი ფოკუს ჯგუფის მაქსიმალური ინფორმირებულობა და აქედან გამომდინარე, ყველა ბიზნეს ოპერატორის საბოლოო შეთანხმება მუშაობის ერთიან სქემაზე, რაც ითვალისწინებს საქმიანობის სფეროში არსებული ევროპული და შიდა სტანდარტების მიხედვით პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფას და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების ზუსტ დაცვას. მეტი ეფექტურობისთვის სასურველია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო მწარმოებლებთან ატარებდეს კვარტალურ ან თუნდაც წლიურ გაფართოებულ შეხვედრებს, სადაც მოხდება მათი სრულყოფილი ინფორმირება არსებულ რეგულაციებთან დაკავშირებით“ (მპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“).

„ვფიქრობთ, რომ არა ჯარიმის ზომა, არამედ ფაქტიური და ეფექტური კონტროლია უფრო მეტი სარგებელის მომტანია პროდუქტის უსაფრთხოების გაზრდის თავლსაზრისით, რადგან კომპანიისთვის რეპუტაციული ზიანი უფრო მგრძნობიარე იქნება, ვიდრე ფულადი ჯარიმა“ (მპს „კაპაროლ ჯორჯია“).

„ვინაიდან საქართველოში წარმოებული პროდუქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ეკონომიკისთვის როგორც დასაქმების, ასევე, სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების თავლსაზრისით, მიგვაჩნია, რომ საჯარიმო პოლიტიკა უშუალოდ ქვეყანაში წარმოების პროცესისთვის შედარებით მოქნილი უნდა იყოს იმპორტიორებთან შედარებით. წარმოება თავისთავად რთული პროცესია და ახალფუნდამენტული საწარმოსთვის შესაძლოა გარკვეული შეცდომები უნებლიე ხასიათის იყოს. ამიტომ, ის კი არ უნდა დაისაჯოს პირველივე შემთხვევაში, არამედ მიეცეს გაფრთხილება და გამოსწორების მიმართულება, მიეცეს საშუალება ეტაპობრივად გამოასწოროს პროდუქცია (რა თქმა უნდა საწარმოს შესაძლებლობების გათვალისწინებით). რაც შეეხება იმპორტიორს, ის უკვე იცნობს ან უნდა იცნობდეს დასრულებულ პროდუქციას და შესაბამისად, კანონის სიმკაცრით უნდა აგებდეს პასუხს მისი ჩვენს ბაზარზე გავრცელებისთვის. ეს უფრო წარმატებულს გახდის ადგილობრივ წარმოებას და წახალისებს კიდევ, შეცდომების მიუხედავად, განვითარებისკენ (მპს „ელვარე“).

„უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ უკვე არსებული საკმაოდ სოლიდური ფულადი თუ არაფულადი სანქციების არსებობის პირობებში, საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრება არ და ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე უსაფრთხო პროდუქციის განთავსებას, რაც თავის მხრივ, მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების განმაპირობებელია. ეს მიზანი და ასევე, მეწარმე სუბექტის კონკურენტუნარიანობა მიღწევადი იქნება კანონმდებლობის სრულყოფით (კანონის ნორმათა დახვეწა, მოთხოვნათა მეტი კონკრეტიკა, ლაკონურობა, სიზუსტე და განჭვრეტადობა) მარეგულირებელ/მაკონტროლებელ ორგანოთა მხრიდან კანონის აღსრულებისას ერთგვაროვანი და არადისკრიმინაციული მიდგომით. ამ კონტექსტში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მარეგულირებელმა/მაკონტროლებელმა სახელმწიფო

ორგანობმა (სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო და სხვა) უზრუნველყონ კვალიფიციური კადრებითა და მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხების სწორი და ეფექტური დაგეგმვა-წარმართვით ბიზნესის დროული ინფორმირება მარეგულირებელი კანონმდებლობის მნიშვნელოვან საკითხებზე და ასევე, მათთან ინტენსიურ რეჟიმში თანამშრომლობა“ (მპს „ომეგა“).

კომპანია „ომეგას“ წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ „მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხებისა თუ მასში სამომავლოდ განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით **ბიზნესსა და მარეგულირებელ/მაკონტროლებელ უწყებებს შორის თანამშრომლობა მეტად უნდა გადრმაზდეს, უნდა გაუმჯობესდეს ხსენებულ უწყებათა კვალიფიციურ საჯარო მოხელეებთან (შესაბამის სპეციალისტებთან/თანამდებობის პირებთან) ბიზნესის კომუნიკაციის ხარისხი, ოპერატიულობა და ინტენსივობა.** ბიზნესი უზრუნველყოფილი უნდა იყოს დროული, ზუსტი და კვალიფიციური ინფორმაციით მარეგულირებელი კანონმდებლობის ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით“.

სათამაშობის იმპორტიორი კომპანია „ანვოლ კავკასიის“ წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათი აზრით, საჯარიმო პოლიტიკის ზრდა უარყოფითად აისახება მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებზე, „ვინაიდან პირდაპირ მაპროვოცირებელი იქნება მათთვის მოიძიონ დამატებითი საშუალება აირიდონ აუცილებელი დონისძიებები და რეალიზაცია მოახდინონ კონტრაფაქციული საქონლის³⁴. ამდენად, პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ **მოხდეს თანაბარი ზედამხედველობა და თანამშრომლური დამოკიდებულება ყველა ბიზნეს სუბიექტის მიმართ.** მისცეს საშუალება ბიზნესს შეისწავლოს პრაქტიკიდან არსებული რეგულაციები და მიეთითოს კონკრეტულად განსახორციელებელი დონისძიებები. შეიძლება ყველა ბიზნეს სუბიექტისთვის არ არის აღქმადი დღევანდელი არსებული კანონმდებლობა ამ მიმართულებით“.

სამშენებლო მასალების მწარმოებელ კომპანია „თი ეს გრუპში“ აღნიშნავენ, რომ „**მხოლოდ ჯარიმების გაზრდა ვერ შეცვლის არსებულ მდგომარეობას. აუცილებელია მეტი კონტროლი, რაც რეალურად იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კონკურენციაზე, მომხმარებლის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე**“.

კომპანია „საბა 007“-ში გაგვიზიარეს ხედვა ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსთვის ტესტ რეპორტების გადაგზავნის საკითხზე. „**უნდა არსებობდეს საკონტაქტო ვებსაიტი, მისამართი, სადაც ელექტრონულად შევძლებთ ტესტ რეპორტების გადაგზავნას.** ამის შემდეგ უნდა მოხდეს წარმოდგენილი რეპორტების ბაზრის ზედამხედველობის სისტემის

³⁴ ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან და აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს.

მიერ დასტური ან უარყოფა. შემდგომში შეგვეძლება იმპორტიორებს გავაკეთოთ შეკვეთა და თავიდან ავაცილოთ არასაჭირო ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯერ პროდუქციის შემოტანით და შემდგომში მათი ბაზრიდან ამოღებით“.

კომპანია „ჯორჯიან ბილდინგ გროუფში“, რომელიც სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანიაა, აცხადებენ, რომ „საჯარიმო პოლიტიკის და ზედამხედველობის სისტემის უცვლელად დატოვების შემთხვევაში, არსებული სიტუაცია დარჩება ისეთივე სავალალო, როგორც არის დღეს, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება მომხმარებლის უსაფრთხოებაზე“.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ძირითადი მიგნებები

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ძირითადი მიგნებების მოკლე შინაარსი შეჯამებულია ცხრილში.

ცხრილი 13. კონსულტაციების შედეგები

დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის მეთოდი	პასუხების მოკლე შინაარსი	კომენტარი
სახელმწიფო უწყება			
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შიდა კონსულტაცია	სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია ეფექტიანი საზედამხედველო სისტემის ჩამოყალიბება, მათ შორის, ადეკვატური საჯარიმო პოლიტიკის განსაზღვრით	გათვალისწინებულია
კერძო სექტორი			
სამშენებლო მასალების მწარმოებელი /იმპორტიორი კომპანიები	წერილობითი	მიზანშეწონილად მიაჩნიათ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილებების შეუსრულებლობაზე დაწესებული საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრება და შესაბამისად, როგორც ადგილობრივი, ასევე, ევროპული სტანდარტების და ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების მაქსიმალური დაცვა, მისი მკაცრი მონიტორინგის პირობებში, იმ დათქმით, რომ რეგულაცია თანაბრად გავრცელდება სფეროს ყველა ოპერატორზე.	გათვალისწინებულია

<p>საყოფაცხოვრებო ტექნიკის, აირზე მომუშავე აპარატურის იმპორტიორი კომპანიები</p>	<p>წერილობითი</p>	<p>კომპანიების შეფასებით, საჯარიმო პოლიტიკა მკაცრია, თუმცა თვლიან, რომ მთავარია ზედამხედველობის ორგანომ თანაბარ პირობებში ჩააყენოს ყველა პროდუქციის ბაზარზე განმათავსებელი კომპანია და თანაბრად მოსთხოვოს მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულება და დაცვა</p>	<p>ძირითადი ასპექტები გათვალისწინებულია</p>
<p>სათამაშოების მწარმოებელი და იმპორტიორი კომპანიები</p>	<p>წერილობითი</p>	<p>საჯარიმო პოლიტიკის უცვლელად დატოვება უარყოფითად აისახება კონკურენციაზე, მომხმარებელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.</p> <p>მნიშვნელოვანია რომ რეგულაცია, გამონაკლისების გარეშე, თანაბრად ვრცელდებოდეს ყველა ბიზნეს ოპერატორზე.</p> <p>მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში აღარ შემოდის დაბალი ხარისხის და საფრთხის შემცველი პროდუქცია, რომელიც, მათი შეფასებით მრავლად არის ბაზრობებზე და არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს.</p> <p>კომპანიები აღნიშნავენ, რომ უმნიშვნელოვანესია დადგინდეს ერთიანი სტანდარტი პირველადი ვადის მიცემასთან დაკავშირებით, იმისთვის რომ კომპანიებმა სრულყოფილად მოაგროვონ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.</p> <p>აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ტესტირების ლაბორატორია, რათა კომპანიებს შეეძლოთ პროდუქტის ნიმუშის შემოტანა, მისი დატესტვა ლაბორატორიაში და მხოლოდ ამის შემდეგ, დიდი შეკვეთის გაკეთება.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>

<p>ელექტროკაბელების იმპორტიორი და მწარმოებელი კომპანიები</p>	<p>წერილობითი</p>	<p>ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ცნობადობის ამაღლება არა მხოლოდ ეკონომიკურ სუბიექტებში, არამედ მომხმარებლებში, რათა გაზარდოს მომხმარებლის როგორც მოთხოვნა პროდუქციის მიმართ, ასევე, მისი ინფორმირებულობა საკუთარი დაცულობის აუცილებლობის შესახებ.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>ლაქ-საღებავების იმპორტიორი კომპანიები</p>	<p>წერილობითი</p>	<p>ევროპული წარმომავლობის პროდუქცია სრულად აკმაყოფილებს ნორმებს, რისკი არ არსებობს და ამ მხრივ, ზედმეტი ძალისხმევა არ უნდა იხარჯებოდეს იმპორტიორისა თუ სახელმწიფოს მხრიდან.</p>	<p>ძირითადი ასპექტები გათვალისწინებულია</p>

4. მიზნები

დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, საჯარო და კერძო სექტორის, ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე, განისაზღვრა ზოგადი და კონკრეტული მიზნები.

4.1 ზოგადი მიზნები

ბაზარზე შედამხედველობის ეფექტიანი სისტემის განვითარების ზოგადი მიზანია უზრუნველყოს მომხმარებლის დაცვა საფრთხის შემცველი, შეუსაბამო პროდუქტების მავნე ზეგავლენისგან და ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება.

ეს ორი ძირითადი მიზანი ურთიერთდაკავშირებულია, რადგან იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური ოპერატორების მიერ, ვისზეც ვრცელდება უსაფრთხოების მოთხოვნები, დაცულია შესაბამისი ნორმები, ის უზრუნველყოფს მომხმარებლების ჯანმრთელობასა და მათ დაცვას, ასევე, თანაბარ პირობებს ქვეყნის ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური ოპერატორისთვის.

4.2 კონკრეტული და ოპერაციული მიზნები

კონკრეტული მიზნების მიღწევა ხელს შეუწყობს ზოგადი მიზნის მიღწევას. ყველა კონკრეტული მიზანი ეხება ბაზარზე საფრთხის შემცველი და შეუსაბამო პროდუქტების განთავსების შემცირება/აღმოფხვრას, კერძოდ როგორცაა:

- საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისი ბაზარზე შედამხედველობის ეფექტური სისტემის განვითარება;
- ბაზარზე შედამხედველობის ორგანოს ინსტიტუციონალური განვითარება შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვის გზით;
- ბაზარზე შედამხედველობის სფეროში პრევენციული მექანიზმების გაუმჯობესება და დარღვევის პროპორციული ჯარიმების დანერგვა;
- ზოგადი უსაფრთხოების და მოთხოვნებთან შესაბამისი პროდუქტების ბაზარზე განთავსების ხელშეწყობა და შეუსაბამობების აღკვეთა/პრევენცია.

ცხრილი 14. კონკრეტული მიზნები და ინდიკატორები

კონკრეტული მიზნები	ინდიკატორები	პასუხისმგებლობა	ვადები
საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისი ბაზარზე შედამხედველობის	შესულია შესაბამისი ცვლილებები	საქართველოს პარლამენტი,	პირველივე წელი

ეფექტური სისტემის განვითარება	საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი პირობებისა და მექანიზმების შექმნის მიზნით	საქართველოს მთავრობა	
ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ინსტიტუციონალური განვითარება შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვის გზით	გადამზადებულია ყველა შესაბამისი თანამშრომელი	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	განმეორებითი (მაქსიმუმ სამ წელიწადში ერთხელ)
	გაძლიერებულია საზედამხედველო ფუნქციები		პირველივე წელი
ნორმების დარღვევის ადეკვატური ჯარიმების დანერგვა	დანერგილია ნორმების დარღვევის ადეკვატური ჯარიმები, რომელსაც პრევენციული ხასიათი აქვს	საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა	პირველივე წელი
ზოგადი უსაფრთხოების და მოთხოვნებთან შესაბამისი პროდუქტების ბაზარზე განთავსების ხელშეწყობა და შეუსაბამობების აღკვეთა/პრევენცია	განხორციელებული ინსპექციების რაოდენობის მინიმუმ 10%-იანი ზრდა ყოველწლიურად (საბაზისო - 2022 წელი)	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	ყოველწლიურად
	ზოგადი უსაფრთხოების ნორმების დარღვევების წილი შემცირებულია ჩატარებული ინსპექტირების რაოდენობაში (საბაზისო - 2022 წელი)		ყოველწლიურად

5. პოლიტიკის ალტერნატივები

პრობლემის ანალიზისა და მიზნების განსაზღვრის შემდეგ, განხილული იქნა პოლიტიკის რამდენიმე ალტერნატივა და შედეგად, სამუშაო ჯგუფის მიერ, შერჩეული იქნა პოლიტიკის ორი ალტერნატივა. ქვემოთ დეტალურად არის განხილული საბაზისო სცენარი და შემოთავაზებული პოლიტიკის ალტერნატივები.

ალტერნატივა 0: საბაზისო სცენარი

საბაზისო ვარიანტის მიხედვით, დამატებითი ღონისძიებები არ იქნება გატარებული. შესაბამისად, ინტერვენციისგან თავის შეკავების შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა პრობლემის მოწესრიგება, უფრო მეტად მოსალოდნელია პრობლემის გამწვავება, მისი მასშტაბის გაზრდა, რადგან როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საწყის ეტაპზე, ეკონომიკური ოპერატორები უფრო მეტად სიფრთხილით ეკიდებოდნენ მოთხოვნების დარღვევას, 2018 წლიდან 2022 წლამდე ეკონომიკური ოპერატორების მხრიდან სააგენტოს დადგენილების დარღვევის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა 2022 წლის აპრილიდან 2023 წლის აპრილამდე, ერთი წლის განმავლობაში მსგავსი 20 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. შესაბამისად, ალბათობა იმისა, რომ მდგომარეობა გაუარესდება, საკმაოდ მაღალია.

ფაქტორები, რომლებიც უბიძგებს ეკონომიკურ ოპერატორებს რომ აირჩიონ მოთხოვნების უგულვებელყოფის გზა მრავალია. პირველ რიგში აღნიშნული განპირობებულია დანახარჯებით. ისეთი პროდუქტი, რომელთა შესაბამისობაც დადასტურებულია შესაბამისი შესაბამისობის შეფასების სათანადო პროცედურებით, როგორც წესი, შედარებით ძვირია. მომხმარებელიც არჩევანს, პირველ რიგში, სწორედ ფასით აკეთებს, შესაბამისად, ეკონომიკური ოპერატორებიც ცდილობენ მოთხოვნის დაკმაყოფილებას ყველაზე იაფფასიანი პროდუქტით, რომლებიც, როგორც წესი მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. ამასთან, საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი არის თურქეთი და ჩინეთი, რომლებზეც მთლიანი იმპორტის 51% მოდის, კერძოდ, თურქეთზე - 32%, ხოლო ჩინეთზე - 19%. ცხადია აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ამ ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქცია არ აკმაყოფილებს საქართველოში დაწესებულ სტანდარტებს, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც პროდუქცია შეუსაბამოა უსაფრთხოების ნორმებთან.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა, რომ ბიზნესის და სამომხმარებლო კულტურის განვითარებასთან ერთად, უფრო გააქტიურდეს მომხმარებლის ჩართულობა პროდუქტების უსაფრთხოების საკითხებში და მათი მოთხოვნები დამოკიდებული გახდეს უფრო მეტად უსაფრთხოებაზე, ვიდრე პროდუქტის ფასზე. აღნიშნული თავისთავად გამოიწვევს ბიზნესის მხრიდან მომხმარებელთა მოთხოვნაზე მორგების საჭიროებას. თუმცა, მოკლევადიან პერიოდში აღნიშნული

ნაკლებად მოსალოდნელია. დღეისათვის მომხმარებელი ჯერ კიდევ ორიენტირებულია პროდუქტის ფასზე და სხვა რაიმე სტიმულის არსებობის გარეშე, ეკონომიკური ოპერატორები ცდილობენ მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმის გათვალისწინებას, შესაბამისად მოკლევადიან პერიოდში არსებული ტენდენციები გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ უარყოფითი შედეგების დადგომის ალბათობა ცხადია, რაც აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებით სერიოზულს და გადაუდებელს ხდის.

აღნიშნული საკითხის დარეგულირების ერთ-ერთი გზა იყო თითოეულ პროდუქტზე იმპორტის წინასწარი შეტყობინების ვალდებულების შემოღება, რაც წარმატებით განხორციელდა რამდენიმე სამშენებლო პროდუქტის მიმართ. აღნიშნული გულისხმობდა იმპორტიორის ვალდებულებას ყოველი პროდუქტის იმპორტისას, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, სააგენტოსა და სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის წარედგინა იმპორტის წინასწარი შეტყობინება, პროდუქტის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტებითურთ. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ადრეულ ეტაპზე გამოვლენილიყო შეუსაბამო პროდუქტები, სანამ ისინი მოხვდებოდნენ საქართველოს ბაზარზე, თუმცა, აღნიშნული მიდგომა მოითხოვდა უზარმაზარ ადამიანურ რესურსს ზედამხედველი ორგანოს მხრიდან და დიდი ტვირთი იყო ეკონომიკური ოპერატორებისთვის, რადგან იმპორტის წინასწარი შეტყობინების განხილვა გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ევროპული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, უარი ითქვა აღნიშნული მიდგომის გამოყენებაზე და მიღებულ იქნა სხვა ალტერნატივის შემუშავების გადაწყვეტილება, რომელიც უფრო ახლოს იქნებოდა ევროკავშირის ბაზარზე ზედამხედველობის პრინციპებთან.

არსებული მდგომარეობის უცვლელად დატოვების შემთხვევაში, ეკონომიკური სუბიექტები აღნიშნავენ, რომ „თუკი არსებული საჯარიმო პოლიტიკა დარჩება უცვლელი, ეს ყველაფერი შექმნის ე.წ. „სასათბურე პირობებს“, რომ ყველანაირი სტანდარტის უგულებელყოფით წარმოებული პროდუქცია კვლავ მოხვდეს ღია ბაზარზე. ამჟამად დაწესებული უმნიშვნელო ჯარიმებით არანაირი დაბრკოლება არ შექმნება არაკეთილსინდისიერ მწარმოებლებს და ეს ყველაფერი უარყოფით გავლენას მოახდენს როგორც კონკურენციაზე, ასევე, მომხმარებელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. ჩვენი აზრით, საჯარიმო პოლიტიკა უფრო გასამკაცრებელია და როგორც პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება, ასევე, ბაზრიდან ამოღება, გამოთხოვა და განადგურება საჭიროებს უფრო აქტიურ მონიტორინგს, მეტ სიმკაცრეს და რეგლამენტის პუნქტების ზუსტ დაცვას“ (შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“).

ალტერნატივა 1: ბაზარზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება და ადმინისტრაციული ჯარიმების გაზრდა

მოსალოდნელია, რომ საკანონმდებლო გარემოს ცვლილება იქნება ის სტიმული რაც დაეხმარება, როგორც მომხმარებლებს, ასევე, ეკონომიკურ ოპერატორებს სათანადოდ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები. სათანადო ნორმატიული ბაზის არსებობის პირობებში ეკონომიკურ ოპერატორებს გაუჩნდებათ სამართლიანი მოლოდინები კანონმდებლობის აღსრულების მიმართ. ამასთან, რადგან ძირითადი ნორმატიული საკითხები, მათ შორის სანქციებთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, შესაბამისად, აუცილებელია გარკვეული სახის საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

შემოთავაზებული ალტერნატივის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის სანქციები. ალტერნატივის მიხედვით შემოთავაზებულია როგორც არსებული ჯარიმების ოდენობის გაზრდა, ასევე, ახალი სანქციების დაწესება პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევისათვის.

არსებული სანქციები იზრდება შემდეგი ქმედებების შემთხვევაში:

- ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის **რეალიზაციის შეჩერების** შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა;
- ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის **ამოღების** შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა;
- ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის **გამოთხოვის** შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა;
- ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის **განადგურების** შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა.

პოლიტიკის ალტერნატივა ითვალისწინებს ახალი სანქციების დაწესებას შემდეგი სახის ნორმების დარღვევისთვის, როდესაც:

- პროდუქტი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და **საფრთხეს არ უქმნის** ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს;
- პროდუქტი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და **შეიცავს საფრთხეს;**
- პროდუქტი არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და **შეიცავს სერიოზულ საფრთხეს;**
- პროდუქტი არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და **შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს;**
- ეკონომიკური ოპერატორი არღვევს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსთვის **ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას;**

შემოთავაზებული ალტერნატივის მიხედვით, შემზღველი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ მიღებული დადგენილების შეუსრულებლობისთვის დაწესებული ჯარიმები იზრდება. ასევე, მკაცრდება პასუხისმგებლობა სააგენტოს დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში. (იხ. დანართი N1).

ამასთან, ვინაიდან შემოთავაზებული ალტერნატივა ითვალისწინებს ჯარიმების დიაპაზონს, სასამართლოს ექნება შესაძლებლობა გამოიყენოს როგორც ყველაზე დაბალი საჯარიმო თანხა, ასევე, ყველაზე მაღალი ჯარიმა, დარღვევის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული ჯარიმების თანხა შესაბამისობაშია როგორც საქართველოში კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მსგავსი დარღვევებისთვის არსებულ ჯარიმებთან.

პოლიტიკის პირველი ალტერნატივა, არსებული ჯარიმების გაზრდის გარდა, ასევე, ითვალისწინებს სანქციებს კონკრეტული დარღვევებისთვის. კერძოდ, როდესაც: პროდუქტი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს; პროდუქტი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შეიცავს საფრთხეს; პროდუქტი არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეიცავს სერიოზულ საფრთხეს; პროდუქტი არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს; ეკონომიკური ოპერატორი არღვევს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნული სანქციები, ასევე, კლასიფიცირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირების მიხედვით. კერძოდ, სანქცია უფრო მკაცრი იქნება პროდუქტის მწარმოებლის და პროდუქტის იმპორტიორის მიმართ, რადგან ისინი არიან პირები, რომელთა მიერ ხდება პროდუქტის პირველადი განთავსება საქართველოს ბაზარზე და ეკისრებათ ყველაზე მაღალი პასუხისმგებლობა პროდუქტის სათანადო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. აღნიშნული პრინციპი შესაბამისობაშია როგორც ბაზარზე ზედამხედველობის ზოგად პრინციპებთან, ასევე, ევროკავშირის საუკეთესო მიდგომასთან. ამასთან, აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა ორმაგდება.

აღნიშნული პოლიტიკის მიზანია იმოქმედოს ძირითადად ისეთ ეკონომიკურ ოპერატორებზე, რომლებმაც იციან, რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტი არ შეესაბამება მოთხოვნებს და კვლავ ახდენენ

პროდუქტის ბაზარზე განთავსებას, მიწოდებას და რეალიზაციას. ასეთ შემთხვევაში მსგავსი ჯარიმა სტიმული იქნება საცალო გამყიდველებისათვის, რომ არ შეიძინონ და არ განახორციელონ მსგავსი პროდუქტის რეალიზაცია, რაც თავისთავად შეამცირებს შესაბამის პროდუქტს ბაზარზე და გაზრდის შესაბამისობის მაჩვენებელს.

აღნიშნული პოლიტიკის ალტერნატივის განხორციელება, გამოიწვევს ცვლილებებს შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში, კერძოდ ცვლილებები განხორციელდება შემდეგ ნორმატიულ აქტებში:

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის №539 დადგენილება „ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილებში აუცილებელია გაიწეროს დამატებით ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურებთან დაკავშირებული დეტალური წესები, როგორცაა მაგ. რა შემთხვევაში მოხდება შემოწმების ოქმის შევსება, რა ინფორმაცია მიეთითება შემოწმების ოქმებში დამატებით, რა შემთხვევაში ჩატარდება და ვინ დაესწრება ზეპირ განხილვას და ა.შ.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №1-1/625 ბრძანება „სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმისა და ადრიცხვანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ - რადგან სააგენტო იქნება უფლებამოსილი ორგანო გარკვეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები განიხილოს თავად, აუცილებელია შესაბამისი ნორმების ასახვა აღნიშნულ წესში.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №1-1/624 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ - რადგან სააგენტო იქნება უფლებამოსილი ორგანო გარკვეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები განიხილოს თავად, აუცილებელია დებულებაში დაემატოს შესაბამისი უფლებამოსილებები.

ალტერნატივა 2. ბაზარზე ზედამხედველი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება

მეორე ალტერნატივად განხილული იქნა არამარეგულირებელი მიდგომა, რომლის ფარგლებში პირველი ალტერნატივის ანალოგიურად, მეორე ალტერნატივაც ითვალისწინებს ბაზარზე ზედამხედველი ორგანოს ინსტიტუციურ გაძლიერებას, ხოლო ნორმების დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმები უცვლელად რჩება.

აღნიშნული გულისხმობს, რომ ბაზარზე ზედამხედველმა სააგენტომ, არსებული და მისთვის მინიჭებული ფუნქციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს ბაზრის ეფექტიანი ზედამხედველობა. ცხადია, RIA-ს გუნდის მიერ გაანალიზებული მონაცემები, ცხადყოფს,

რომ სააგენტოს მიერ აღნიშნული მიზნის მიღწევა და დასახული ამოცანების შესრულება დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების გარეშე, თითქმის შეუძლებელი იქნება.

ამდენად, მეორე ალტერნატივა ითვალისწინებს, რომ არსებული მარეგულირებელი ნორმების, ამ ნორმების დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციების და გაზრდილი საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში, ეკონომიკური სუბიექტები უზრუნველყოფენ ბაზარზე განთავსებული პროდუქტების შესაბამისობის მაქსიმალურ დაცვას მომხმარებელთა ნდობისა და სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

5.1 ალტერნატივების უპირატესობები და რისკები

პირველი ალტერნატივა დაკავშირებულია შემდეგ უპირატესობებთან საბაზისო სცენართან შედარებით:

- იქმნება ბაზარზე ეფექტიანი ზედამხედველობის და აღსრულების მექანიზმები;
- ხდება მავნე ზეგავლენის მქონე პროდუქტის ბაზარზე განთავსების პრაქტიკის შემთხვევების პრევენცია;
- იზრდება კონკურენცია და ბაზრის ეფექტიანობა;
- მცირდება მომხმარებლის დანახარჯები, რაც დაკავშირებულია გაურკვევლობასთან, ინფორმაციის ასიმეტრიულობასთან.

პირველი ალტერნატივა დაკავშირებულია შემდეგ რისკებთან და ხარჯებთან საბაზისო სცენართან შედარებით:

- იზრდება ადმინისტრაციული ხარჯები სახელმწიფოსთვის.

მეორე ალტერნატივა დაკავშირებულია შემდეგ უპირატესობებთან საბაზისო სცენართან და პირველ ალტერნატივასთან შედარებით:

- იქმნება ბაზარზე ეფექტიანი ზედამხედველობის და აღსრულების მექანიზმები, თუმცა, პირველ ალტერნატივასთან შედარებით, ზედამხედველობის მასშტაბი და ეკონომიკური სუბიექტების მოცვა გაცილებით დიდია.

მეორე ალტერნატივა დაკავშირებულია შემდეგ რისკებთან და ხარჯებთან საბაზისო სცენართან და პირველ ალტერნატივასთან შედარებით:

- იზრდება ადმინისტრაციული ხარჯები სახელმწიფოსთვის და პირველ ალტერნატივასთან შედარებით, აღნიშნული ხარჯების ზრდა გაცილებით მაღალია;

- არსებობს რისკი, რომ ბაზრის უფექტიანობა არათუ გაიზარდოს, არამედ პირიქით, შემცირდეს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა.

6. ზეგავლენის შეფასება

კვლევის ამ ნაწილში მოცემულია პოლიტიკის ვარიანტების შესაძლო ზეგავლენის შეფასება, კერძოდ, თითოეული ალტერნატივა, საბაზისო სცენართან მიმართებით, გაანალიზდა ეფექტიანობის, ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე ზეგავლენის თვალსაზრისით. რაოდენობრივი კვლევის ნაწილში შეფასდა პოლიტიკის ალტერნატივების ზეგავლენა (სარგებელი და ხარჯები) ეკონომიკურ სუბიექტებზე, მომხმარებლებზე, ზედამხედველი ორგანოს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და პოტენციურ საბიუჯეტო შემოსავლებზე. კერძოდ, RIA-ს გუნდმა შეისწავლა პოლიტიკის შემოთავაზებული ალტერნატიული ვარიანტების რაოდენობრივი ზეგავლენა საჯარო ფინანსებზე. რაოდენობრივი ანალიზი ახდენს მთავრობის ადმინისტრაციული ხარჯების და სარგებლის პროგნოზირებას, რადგან მთავრობას, როგორც ძირითად დაინტერესებულ მხარეს, აკისრია პოლიტიკის ამ ალტერნატიული ვარიანტების იმპლემენტაციის ვალდებულება. თვისებრივი ანალიზის ნაწილში გაანალიზდა პოლიტიკის ალტერნატივების ეფექტიანობა, ასევე, პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენები ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებზე, შეფასდა პოლიტიკის ალტერნატივების განხორციელების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სარგებლის ზუსტი შეფასება, მარეგულირებელი ნორმების შემოღების შემთხვევაში, რთულია, მაგრამ სარგებლის განსაზღვრის მიზნით, შეიძლება სასარგებლო იყოს გარკვეული წარმოდგენის შექმნა არსებული ჯარიმების ხარჯების შესაძლო სიდიდის შესახებ.

ამდენად, კვლევის ფარგლებში გაკეთდა დაშვებები, რომელიც, უყრდნობა როგორც კონსულტაციების პროცესში მიღებულ მოსაზრებებს, ასევე, სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს 3-წლიან გამოცდილებას და ამ მიმართულებით არსებულ ზოგად ტენდენციებს.

6.1 ხარჯ-სარგებლის ანალიზი

წინამდებარე ანალიზში გამოყენებული მეთოდოლოგია განკუთვნილია პოლიტიკის ინტერვენციის ხარჯების და სარგებლის შესაფასებლად და გვაწვდის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პრაქტიკულ ინფორმაციას.

პოლიტიკის ინტერვენციის ხარჯების კონტექსტში, შეფასებულია ჯარიმების ოდენობის გაზრდის შემთხვევაში, რეგულაციების აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ხარჯი, მათ შორის, ბიზნესის შესაბამისობის ხარჯები, საზედამხედველო და ადმინისტრაციულ ხარჯები და ა.შ.

6.1.1 ბაზრის ზედამხედველი ორგანოს ხარჯები

ბაზრის ზედამხედველი ორგანოს **ხარჯების** შეფასება, რომელიც დაკავშირებულია ზედამხედველობის საქმიანობასთან, ეფუძნება შემდეგ კატეგორიებს:

- პერსონალის (ზედამხედველი ინსპექტორები) რაოდენობა სრულ განაკვეთზე, რომელიც სჭირდება საზედამხედველო ორგანოს ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების მიზნით;
- ახალი ინსპექტორებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, როგორცაა კომპიუტერები, საკანცელარიო ნივთები და ა.შ. ხარჯი;
- სპეციალური აღჭურვილობის შესყიდვის ფასი, როდესაც ასეთი აღჭურვილობა აუცილებელია სპეციფიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- ოპერაციული ხარჯი, მონიტორინგის პროცესში ჩართული ინსპექტორების ტრანსპორტისა და კომუნიკაციის ხარჯის ჩათვლით;
- ინსპექტორების მიერ ადგილზე ინსპექტირებისთვის საჭირო მანქანის შეძენის ხარჯი და აღნიშნული მანქანის მომსახურების ღირებულება;
- ინსპექტორების ტრენინგების ხარჯი;
- საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების ხარჯი.

ძირითადი დაშვებები:

- დროის ჰორიზონტი: 10 წელი, 2024-2033 წლების პერიოდი;
- ინფლაციის მაჩვენებელი: სებ-ის მიზნობრივი მაჩვენებელი 3%;
- დისკონტირების განაკვეთი: დროის სხვადასხვა მომენტში დანახარჯების დისკონტირებისათვის გამოყენებული იქნება რეალური დისკონტირების განაკვეთი. ნომინალური დისკონტირების განაკვეთად შეირჩა 10-წლიანი სახელმწიფო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი - 8.14%, 2023 წლის აგვისტოს თვისთვის (ნომინალი – ლარი). ვინაიდან ყველა ადმინისტრაციული ხარჯი მოცემულია რეალურ გამოხატულებაში, რეალური დისკონტირების განაკვეთი საჭიროა წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად. რეალური დისკონტირების განაკვეთი – 4.99% მიღებულია ინფლაციის მაჩვენებლის გათვალისწინებით (3%).³⁵

ამდენად რეალური დისკონტირების განაკვეთი შეადგენს **4.99%-ს**, ინფლაციის დონის გათვალისწინებით.

ვინაიდან, დანახარჯები და სარგებელი შეიძლება წარმოიშვას დროის სხვადასხვა მომენტში პოლიტიკის ცვლილების შესაბამისად, დანახარჯებისა და სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულება - NPV გამოითვლება და დარდება საბაზისო სცენარს.

³⁵ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი „საპროცენტო განაკვეთები ფულად და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე“, იხ. ბმული: www.nbg.gov.ge

6.1.2 ალტერნატივების რაოდენობრივი შეგავლენა

ზედამხედველი ორგანო

მთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს. სააგენტოს მიერ, შემოთავაზებული პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული მიმართულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, გამოიკვეთა დამატებითი ადამიანური რესურსების საჭიროება, რაც ცხადია, ადმინისტრაციულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პირველი ალტერნატივის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად აღსრულების მიზნით საჭირო იქნება 12 ახალი თანამშრომელი სრულ სამუშაო განაკვეთზე. შესაბამისად, ამ მიმართულებით შეფასდა აღნიშნულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კვალიფიკაციის, ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფის და სხვადასხვა სახის ხარჯი. ასევე, კეთდება დაშვება, რომ მე-3 და მე-7 წელს, სამსახურის ეფექტიანობის ზრდის მიზნით საჭირო გახდება დამატებითი 4-4 ახალი ინსპექტორის აყვანა, რაც შესაბამისად, დამატებითი ადმინისტრაციული ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ამასთან, მომდევნო წლებში ხარჯების გარკვეული კატეგორია უცვლელია, ნაწილი ხარჯები აღარ წარმოიშობა, ხოლო ხარჯების ნაწილი, ფასის ცვლილების შედეგად, შესაძლოა გაიზარდოს, თუმცა ფასების ზრდის ალბათობა შეფასებაში არ იქნა გათვალისწინებული.

პირველი ალტერნატივის ფარგლებში, კეთდება დაშვება, რომ TWINNING-ის 2-წლიანი პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რაც გამოიწვევს ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვას. *შენიშვნა: აღნიშნული არ არის გათვალისწინებული ქვემოთ მოცემული მთლიანი ხარჯ-სარგებლის ანალიზში.*

ამასთან, პირველი ალტერნატივა, ასევე ითვალისწინებს ეკონომიკური ოპერატორებისთვის საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების განხორციელებას და სააგენტოსთვის შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფის საჭიროებას.

ამდენად, პირველი ალტერნატივის **წმინდა მიმდინარე სარგებელი (NPB)** 10 წლიან პერიოდში **655.9 ათას ლარს** გაუტოლდება. აღნიშნული სარგებელი მოიცავს სააგენტოში დასაქმებულთა მიერ საშემოსავლო გადასახადიდან მიღებულ სარგებელს.

პირველი ალტერნატივის **წმიდა მიმდინარე ხარჯი (NPC)**, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციულ ხარჯებს მოიცავს, აღნიშნულ პერიოდში **4,336.1 ათას ლარს** გაუტოლდება. ხარჯების ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოიცავს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯებს, ტრენინგებს, საოფისე და ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელებისთვის

საჭირო სხვა ხარჯებს (სააგენტოს ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. დანართი N3).

შედეგად, პირველი ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) უარყოფითია (სარგებელს გამოკლებული დანახარჯი) და სულ **3,680.2 ათას ლარს შეადგენს**.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია პირველი ალტერნატივის ხარჯ-სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულება.

ცხრილი 15. პირველი ალტერნატივის წმინდა ხარჯ-სარგებელი (ათასი ლარი)

	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	სულ
სარგებელი (NPB)	59.1	56.3	71.5	68.1	64.9	61.8	73.6	70.1	66.8	63.6	655.9
ხარჯი (NPC)	457.7	351.6	496.3	432.8	412.2	392.6	506.7	449.8	428.4	408.1	4,336.1
ხარჯ-სარგებელი (NPV)	(398.6)	(295.3)	(424.7)	(364.6)	(347.3)	(330.8)	(433.2)	(379.7)	(361.7)	(344.5)	(3,680.2)

6.1.3 მეორე ალტერნატივის რაოდენობრივი ზეგავლენა

მეორე ალტერნატივის შემთხვევაშიც, სააგენტოს მიერ შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საჭირო იქნება დამატებითი ადამიანური რესურსები. თუმცა, პირველი ალტერნატივისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად მეტი ინსპექტორის საჭიროება გამოიკვეთა, რათა გაიზარდოს ბაზარზე ზედამხედველობის მასშტაბი, ინსპექტირებების რაოდენობა და გაუმჯობესდეს სააგენტოს მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად აღსრულება. ცხადია, ყოველივე მნიშვნელოვნად ადმინისტრაციულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მეორე ალტერნატივის შემთხვევაში, პირველ ეტაპზე საჭირო იქნება 20 ახალი თანამშრომელი სრულ სამუშაო განაკვეთზე, ხოლო მე-3 და მე-7 წელს - 10 და 5 ახალი თანამშრომელი, შესაბამისად. პირველი ალტერნატივის ანალოგიურად, მეორე ალტერნატივაც ითვალისწინებს TWINNING-ის 2-წლიან პროგრამის ფარგლებში თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამას.

შენიშვნა: აღნიშნული არ არის გათვალისწინებული ქვემოთ მოცემული მთლიანი ხარჯ-სარგებლის ანალიზში.

მეორე ალტერნატივის წმინდა მიმდინარე სარგებელი (NPB) 10 წლიან პერიოდში **1,171.5 ათას ლარს** გაუტოლდება. აღნიშნული სარგებელი, პირველი ალტერნატივის ანალოგიურად, მოიცავს სააგენტოში დასაქმებულთა მიერ სამემოსავლო გადასახადიდან მიღებულ სარგებელს.

მეორე ალტერნატივის წმიდა მიმდინარე ხარჯი (NPC), რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციულ ხარჯებს მოიცავს, აღნიშნულ პერიოდში **7,830.6 ათას ლარს** გაუტოლდება. ხარჯების ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოიცავს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯებს, ტრენინგებს, საოფისე და ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო სხვა ხარჯებს (იხ. დანართი N4).

შედეგად, მეორე ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) უარყოფითია (სარგებელს გამოკლებული დანახარჯი) და **6,659.1 ათას ლარს შეადგენს**.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია მეორე ალტერნატივის ხარჯ-სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულება.

ცხრილი 16. მეორე ალტერნატივის წმინდა ხარჯ-სარგებელი (ათასი ლარი)

	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	სულ
სარგებელი (NPB)	98.6	93.9	134.1	127.8	121.7	115.9	128.8	122.7	116.8	111.3	1,171.5
ხარჯი (NPC)	803.0	602.5	940.2	819.8	780.8	743.7	870.2	793.9	756.2	720.3	7,830.6
ხარჯ-სარგებელი (NPV)	(704.4)	(508.6)	(806.1)	(692.1)	(659.2)	(627.8)	(741.4)	(671.3)	(639.4)	(609.0)	(6,659.1)

6.2 მრავალკრიტერიუმის ანალიზი

მრავალკრიტერიუმის გადაწყვეტილების ანალიზი (MCDA), არის სტრუქტურირებული პროცესი ურთიერთსაპირისპირო კრიტერიუმებით ვარიანტების შესაფასებლად და საკითხის საუკეთესო გადაწყვეტის არჩევისთვის. MCDA, ხარჯ-სარგებლის ანალიზისგან განსხვავებით, სხვადასხვა კრიტერიუმს აფასებს არა მხოლოდ ღირებულებით, არამედ თვისებრივადაც.

კვლევის პროცესში იდენტიფიცირებული ამოცანები და კრიტერიუმები, რომელიც შეფასებებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე დგინდება, როგორც წესი, ინფორმაციის საკმარისი წყაროა გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის.

მრავალკრიტერიუმის ანალიზი მკაფიოდ გამოხატავს თითოეული ალტერნატივის უპირატესობას ან ნაკლოვანებას სხვადასხვა კრიტერიუმისთვის. იგი აჯამებს ზეგავლენის რაოდენობრივ, თვისებრივ და მონეტარულ შედეგებს და იძლევა ალტერნატივის სხვადასხვა კრიტერიუმით შეფასების შესაძლებლობას.

წინამდებარე კვლევაში შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივები შეფასდა მრავალკრიტერიუმის გადაწყვეტილების მიღების ანალიზის (MCDA) მიხედვით. თვისებრივი შეფასების ფარგლებში, თითოეული ალტერნატივა შეფასდა სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნული შეფასების მეთოდი გულისხმობს თითოეული კრიტერიუმისათვის შესაბამისი წონის მინიჭებას და შედეგად, ფასდება თითოეული ვარიანტის წვლილი დასახული მიზნის მიღწევის პროცესში.

მიზნების იდენტიფიცირების ნაწილში განისაზღვრა ძირითადი მიზნები, ქვე-მიზნები და მიღწევის ინდიკატორები. შესაბამისად, შეფასების ძირითადი კრიტერიუმების - ეფექტიანობის, ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენის, გარემოზე ზემოქმედების და განხორციელების შესაძლებლობის მიხედვით დაჯგუფდა მიღწევის ინდიკატორები.

ალტერნატივების თვისებრივი შეფასების პირველ ეტაპზე ანალიტიკური იერარქიის პროცესის (Analytical Hierarchy Process, AHP) მეთოდის გამოყენებით დადგინდა კრიტერიუმების წონები. შეფასება განხორციელდა საატის (Saaty, 1980) დაწვრილებული შედარებითი ანალიზის საფუძველზე პრიორიტეტულობის სკალის მიხედვით 1-დან 10-მდე.³⁶

³⁶ საატის პრიორიტეტულობის სკალა: 1 - იგივე მნიშვნელობა; 3 - სუსტი უპირატესობა; 5 - ძლიერი უპირატესობა; 7 - გამოკვეთილი დომინირება; 9 - აბსოლუტური დომინირება; 2-4-6-8 - გარდამავალი მნიშვნელობები.

კვლევაში თანამიმდევრულობის ინდექსმა³⁷ (C.I) შეადგინა 0.078, ხოლო შეფასების უტყუარობის წილადმა³⁸ 0.070, ამდენად CR=7.0% < 10%.

თავის მხრივ, პოლიტიკის თითოეული ალტერნატივა საბაზისო სცენართან მიმართებით შეფასდა ქულებით, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი ზეგავლენა და მნიშვნელობა უპირატესობის შკალაზე. შეფასება განხორციელდა -5-დან 5 ქულამდე, სადაც “-5” წარმოადგენს რეალურად ყველაზე ნაკლებად სასურველ ალტერნატივას, ხოლო “5” - ყველაზე მეტად სასურველს.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების, ლიტერატურისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეფასდა თითოეული ალტერნატივის ეფექტიანობა და მიზნებთან თავსებადობა. შედეგად, თითოეული თვისებრივი კრიტერიუმის წონის კოეფიციენტი გამრავლდა თითოეული ალტერნატივისთვის ამ კრიტერიუმში მინიჭებულ ქულაზე. საბოლოო შედეგის მისაღებად კი, დაჯამდა ყველა კრიტერიუმის მთლიანი შედეგები (იხ. დანართი N5).

თვისებრივი შეფასების ფარგლებში, თითოეული ალტერნატივა შეფასდა შემდეგი 5 კრიტერიუმის მიხედვით: ეფექტიანობა, ეკონომიკური, სოციალური, გარემოს დაცვა და განხორციელებადობა.

ეფექტიანობა აფასებს რამდენად პასუხობს რეგულაცია დასახულ მიზნებს და ამასთან, რამდენად ეფექტურია რეგულაციის გავლენა შედეგზე მის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით. კრიტერიუმი აფასებს პოლიტიკის ინტერვენციის ზოგადი და კონკრეტული მიზნების მხარდაჭერის შესაძლებლობას.

6.2.1 შეფასებების მეთოდები (ეფექტიანობის და ფისკალური გავლენის კრიტერიუმისთვის)

შეფასებები მოიცავს მონაცემთა ანალიზს, რომელიც ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებას მოიცავს. მონაცემები მოიცავს 7 შეტყობინებას რისკის მქონე პროდუქტებთან დაკავშირებით, 1 გაფრთხილებას და 26 ჯარიმას 22 800 ლარის ღირებულებით.³⁹ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეფასდა ჯარიმების არსებული პოლიტიკის ეფექტიანობა, ხოლო ფისკალური გავლენის ნაწილში შეფასდა ჯარიმებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების პროპორციულობის ეფექტიანობა.

ეფექტიანობის ინდიკატორის შეფასება ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორებს, როგორცაა:

³⁷ თანამიმდევრულობის ინდექსი - ეს არის საზომი, თუ რამდენად თანმიმდევრულად განხორციელდა შეფასება წყვილ-წყვილად შედარების დროს.

³⁸ თანმიმდევრულობის კოეფიციენტი არის მეტრიკა, რომელიც მიუთითებს თანმიმდევრულობას წყვილ-წყვილად შედარებებს შორის.

³⁹ წყარო: ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, 2022-2023 წლის მონაცემები.

ეფექტიანობა 1. ბაზრის ზედამხედველი ორგანოს გაძლიერება და ზედამხედველობის სისტემის ეფექტიანობის ზრდა.

როგორც წესი, ზედამხედველი ორგანოს არასაკმარისი უფლებამოსილება, მათ შორის, სანქციებისა და აღსრულების მექანიზმების ნაკლებობა, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ერთის მხრივ, მომხმარებლებს, რადგან ისინი სახიფათო პროდუქტების მოხმარების საფრთხის წინაშე არიან, ხოლო მეორეს მხრივ, ბაზრის დამახინჯებით საფრთხეს უქმნის კონკურენციას და ქმნის დაბრკოლებებს ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „აღსრულების რეჟიმების ეფექტიანობის“ კვლევაში აღნიშნულია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, უმნიშვნელოვანესია საჯარო ხელისუფლების მიერ მოვაჭრეების ქცევის ძლიერი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებული იქნება რისკის შეფასების სისტემაზე. ეს სისტემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც იურისდიქციაში არ არის მომხმარებელთა და მომხმარებელთა ასოციაციების პროაქტიული საჩივრების მნიშვნელოვანი კულტურა, ან როდესაც დარღვევის გამოვლენა თავად მომხმარებლების მიერ ნაკლებად სავარაუდოა.

ეფექტიანობა 2. ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში პრევენციული მექანიზმების გაუმჯობესება და დარღვევის პროპორციული ჯარიმების დანერგვა.

„ადმინისტრაციული ტვირთის შემცირების შესახებ“ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ბიზნესში ხელისუფლების შეჭრის დონე ძირითადად საქმიანობის მონიტორინგის გზით და ჯარიმების დაწესებით უნდა ხდებოდეს.⁴⁰

დღეს პრაქტიკაში, მარეგულირებელი ჯარიმები არ ითვალისწინებს დარღვევის ეკონომიკურ ღირებულებას და საკმაოდ ხშირად ბიზნესის ინტერესშია ჯარიმის გადახდა და არა შესრულება. ეს განსაკუთრებით ხდება მაშინ, როდესაც ბიზნესი გრძნობს, რომ შეუძლია თავიდან აიცილოს შესაბამისობის ხარჯები, თუ არ ემუქრება ეფექტური შემაკავებელი ჯარიმები უკანონო საქმიანობისთვის. ხშირად სუსტი და არაეფექტური საჯარიმო პოლიტიკა ზოგიერთ ბიზნესს კანონის დარღვევის ცდუნებას უჩენს, ხოლო მარეგულირებლებს - მეტი ბიზნესის შემოწმების საჭიროებას.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი. სხადასხვა ქვეყანაში არსებობს მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობის აღსრულების განსხვავებული მოდელები, მათ შორის, გამოვყოფთ რამდენიმე წამყვანი ეკონომიკის ქვეყნების პოლიტიკას:

- დიდ ბრიტანეთში ფინანსური ჯარიმების დაწესებისთვის ეყრდნობიან სისხლის სამართლის სისტემას;

⁴⁰ „Reducing administrative burdens: effective inspection and enforcement“, Philip Hampton, 2005. https://www.regulation.org.uk/library/2005_hampton_report.pdf

- ავსტრალიაში ადმინისტრაციული ორგანოები ძირითადად იყენებენ სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემას სანქციებისა და დაცვის საშუალებების მოსაპოვებლად, რომელიც ქვეყანაში ეფექტური გზაა დაუმორჩილებელი მოვაჭრეების მიერ უკანონო ქმედებების შესაჩერებლად;
- ბელგიაში ადმინისტრაციულ ორგანოებს უფლება აქვთ თავად დააწესონ ფინანსური ჯარიმები. ადმინისტრაციული ფინანსური ჯარიმა ითვლება მომხმარებელთა დაცვის მიმართულებით არსებულ დანაშაულებებთან გამკლავების მარტივ და შედარებით იაფ საშუალებად;
- ნიდერლანდებში ძირითადად ეყრდნობიან თვითრეგულირების და კერძო უფლებების აღსრულების პრინციპს. სისტემა, დიდწილად არის დამოკიდებული მომხმარებელთა აქტივიზმზე, თვითრეგულირებაზე და დავების არაფორმალურ გადაწყვეტაზე. აღნიშნული პრაქტიკა კარგად მუშაობს იქ, სადაც დარღვევები ადვილად გამოვლენილია, სადაც მოვაჭრეები არიან „კეთილგანწყობილნი“ და ინდუსტრიის თვითრეგულირების შესაბამისობის სქემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამომხმარებლო პოლიტიკის აღსრულების პროცესში. მიუხედავად ამისა, ნიდერლანდებში კვლავ გამოწვევად რჩება „არაკეთილსინდისიერი“ მოვაჭრეების შეკავება და მომხმარებელთა დაცვის უზრუნველყოფა.⁴¹

საჯარიმო პოლიტიკის შეფასებისას, ასევე, აქტუალური საკითხია, ფინანსური ჯარიმა უნდა იყოს ფიქსირებული თუ ცვალებადი (განსაზღვრულ ლიმიტამდე) ზედამხედველი ორგანოს შეხედულებისამებრ.

შემაკავებელი პერსპექტივიდან, ცვალებად საჯარიმო პოლიტიკას აშკარა უპირატესობები აქვს, რადგან დაწესებული ჯარიმის თანხა ადეკვატური უნდა იყოს ეკონომიკური სუბიექტების იმ მოგების, რომელიც სავარაუდოდ მიიღება დარღვევით. გარდა ამისა, დისკრეციის გამოყენებამ თანხასთან დაკავშირებით, შესაძლოა წაახალისოს მეტი გასაჩივრება. საერთო ჯამში, მიჩნეულია, რომ ფიქსირებული ჯარიმები უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ძალიან უმნიშვნელო დანაშაულისთვის. სხვა შემთხვევაში, პასუხისმგებელ უწყებას უნდა ჰქონდეს დისკრეცია, ზღვრების ფარგლებში, დააწესოს ქმედების შესაბამისი ჯარიმა.

ეკონომიკური

პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების დამატებითი ღირებულება ძალზე მნიშვნელოვანია როგორც შიდა ბაზრის ფუნქციონირებისთვის, ასევე, მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვისთვის. ამ დადებითი შეფასების მიზეზები ნათელია, რადგან პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, დაცული იქნას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომები, რომლებიც ქმნიან

⁴¹ The Effectiveness of Enforcement Regimes, 2006, OECD

დაბრკოლებებს შიდა ბაზრის ფუნქციონირებაში. პროდუქტის უსაფრთხოების ნორმების ეფექტიანი იმპლემენტაცია, მისი გამოყენების ფარგლებში, უზრუნველყოფს პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შემოღებას და ეფექტიანი სტანდარტების სისტემის დანერგვას.

ეკონომიკური გავლენის შეფასებისას, მნიშვნელოვანია ბიზნესის შესაბამისობის ხარჯების შეფასება ზოგადი მოთხოვნებიდან და სტანდარტებიდან გამომდინარე. თუმცა საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრება, რაც წინამდებარე პოლიტიკის ალტერნატივების ზოგადი მიზანია, ცხადია, არ გულისხმობს დამატებით ახალი ვალდებულებებისა და ნორმების ამოქმედებას, რაც ბიზნესებს ახალი გამოწვევების და დამატებითი შესაბამისობის ხარჯების წინაშე არ აყენებს. სწორედ ამიტომ, დანახარჯის თვალსაზრისით, პოლიტიკის ალტერნატივების ეკონომიკური გავლენა, ერთის მხრივ, „მცირეა“ იმ სუბიექტების მიმართ, ვინც სრულ შესაბამისობაშია ზოგად ნორმებთან და მოთხოვნებთან, ხოლო მეორეს მხრივ, სარგებლის თვალსაზრისით „ზომიერია“ გავლენის მასშტაბი ბაზარზე კონკურენტული გარემოს და სამართლიანი პირობების შექმნის შედეგად.

სოციალური

პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების შეფასებისას მნიშვნელოვანია სოციალური ეფექტების ანალიზი და მათი გავლენის შეფასება საზოგადოების ჯანმრთელობაზე.

როგორც წესი, მავნე ზეგავლენის მქონე პროდუქტი მოიცავს ჯანდაცვის გამოყენების ხარჯებს, პროდუქტიულობის დანაკარგებს, ცხოვრების ხარისხის დაკარგვას, ნაადრევი სიკვდილის ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სამომხმარებლო პროდუქტებით გამოწვეული დაზიანებებით.

ბაზარზე სახიფათო პროდუქტების არსებობა გავლენას ახდენს როგორც მომხმარებლებზე (პროდუქტების საბოლოო მომხმარებლები), რომლებსაც ეკისრებათ საშიში პროდუქტებით გამოწვეული უბედური შემთხვევის, დაზიანების ან სიკვდილის რისკი და ასევე სახელმწიფოზე, რომელსაც ეკისრება ჯანმრთელობის დანახარჯების გაზრდილი ხარჯები საშიში პროდუქტებით გამოწვეული დაზიანებების ჯანმრთელობის მკურნალობის შედეგად.

ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემა ხელს შეუწყობს ჯანდაცვის ხარჯების შემცირებას. ინსპექტირება და შესაბამისი კანონმდებლობის ეფექტური მონიტორინგი და აღსრულება, ინფორმაციისა და ტექნიკური რჩევების მიწოდება და ცნობიერების ამაღლების კამპანიების წახალისება დადებითად მოქმედებს საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე.

გარემოსდაცვითი

სახიფათო პროდუქტების ბაზარზე განთავსების პრევენცია, პირდაპირ კავშირშია გარემოზე მავნე ზეგავლენის შემცირებასთან, განსაკუთრებით ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით. ჰაერის ხარისხი საქართველოს ქალაქებში ბოლო ათწლეულების განმავლობაში უარესდება. წვასთან დაკავშირებული დამაბინძურებლები ჭარბობს ნივთიერებებს შორის, რომლებიც იწვევენ დაბინძურებას, მაგრამ ასევე აქროლადი ორგანული ნაერთები ხელს უწყობენ ჰაერის საერთო დაბინძურების დონის ზრდას. ამდენად, აქროლადი ორგანული ნაერთების ემისიები უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე. ეფექტინია ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბების შედეგად, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება დადებითია. რეფორმის სწორად განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება და ემისიების შემცირება.

განხორციელება

განხორციელების თვალსაზრისით შეფასდა აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა. პირველი ალტერნატივის განხორციელებისთვის საჭიროა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანა, რომლის მთავარი მიზანი იქნება სანქციების გამკაცრებით ბაზრის ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფა და ბაზარზე საფრთხის შემცველი პროდუქციის განთავსების შემცირება.

განხორციელების თვალსაზრისით, კანონის, ასევე, კანონქვემდებარე აქტის მიღება არ წარმოადგენს სირთულეს შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში. ამასთან, გადაწყვეტილების შესაბამისი ფუნქციით აღიჭურვება ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, რომლის მიერ გაწეული უნდა იქნას მონიტორინგი და ზედამხედველობა, კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

მეორე ალტერნატივის შემთხვევაში კი, გათვალისწინებულია ბაზარზე ზედამხედველი ორგანოს დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსებით აღჭურვა, რაც მნიშვნელოვანი დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, შეჯამებულია პოლიტიკის ალტერნატივების გავლენა სხვადასხვა კრიტერიუმებისთვის, კერძოდ, როგორია მისი გავლენა (დადებითი თუ უარყოფითი) და მასშტაბები.

ცხრილი 17. ზეგავლენის შეფასება

მაღალი ზეგავლენა	საშუალო ზეგავლენა	დაბალი ზეგავლენა	
ზეგავლენა	ალტერნატივა 0 <i>Status Quo</i>	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
ადმინისტრაციული	0	-- იზრდება ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ხარჯები აღსრულების პროცესიდან გამომდინარე, ასევე, დამატებითი ხარჯი ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის გავრცელებაზე	---- პირველი ალტერნატივისგან განსხვავებით, უფრო მეტად იზრდება ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ხარჯები აღსრულების პროცესიდან გამომდინარე.
ეკონომიკური	--- არაეფექტიანი საჯარიმო პოლიტიკის არ ქონის პირობებში, არ არსებობს მავნე ზეგავლენის მქონე პროდუქტისგან ეფექტური დაცვის და აღსრულების ინსტრუმენტები. შედეგად, მაღალია მავნე ზეგავლენის მქონე პროდუქციაზე ხელმისაწვდომობა და	+++ მარეგულირებელი ნორმების და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების არსებობა გადამწყვეტია ბაზრის უსაფრთხოებისა და მომხმარებელთა და ეკონომიკურ ოპერატორებს შორის ნდობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ის ასევე ხელს უწყობს თანაბარი სათამაშო პირობების შენარჩუნებას იმ კომპანიებისთვის, რომლებიც იცავენ პირობებს და ამით ამცირებენ ბაზრის წილს თაღლითი მოვაჭრეებისთვის, რომლებიც ბაზრის დამახინჯებით საფრთხეს უქმნიან კონკურენციას.	++ საჯარიმო პოლიტიკის უცვლელად დატოვების შემთხვევაში, ხოლო ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების შედეგად, მოსალოდნელია მავნე პროდუქციის ხელმისაწვდომობის ნაწილობრივ შეზღუდვა.

	დაბალია ბაზრის ეფექტიანობა.		
<p>მცირე და საშუალო ბიზნესი</p>	<p>--- შემცირებულია ეფექტიანობა და კონკურენტუნარიანობა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.</p>	<p>++ / - მცირე და საშუალო საწარმოები ზოგადად აფასებენ, რომ პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა მოიტანს სხვადასხვა სახის სარგებელს, თუმცა შესაბამის სტანდარტებთან და კანონით დადგენილ ზოგად ნორმებთან შესაბამისობა, დაკავშირებულია ხარჯებთან განსაკუთრებით მწარმოებლებისთვის. მონაცემები აჩვენებს, რომ შემოთავაზებული პოლიტიკის განხორციელება, რაც საჯარო პოლიტიკის გამკაცრებას ითვალისწინებს, საწარმოებს აიძულებს ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რაც ცხადია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე. შედეგად საწარმოებს, სავარაუდოდ, მოუწევთ გასწიონ საჭირო ხარჯები ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯების ფარდობითი ზრდა ჩვეულებრივ უფრო მაღალია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, წმინდა გავლენა მცირე და</p>	<p>+ / - ზედამხედველობის მასშტაბის გაზრდის მიზანია, რომ მაქსიმალურად იქნას მოცული შესაბამისი მეწარმე-სუბიექტები. ცხადია, მცირე და საშუალო ბიზნესს ჯარიმებისთვის თავის არიდების და ბაზარზე ოპერირების მიზნით, მოუწევთ გასწიონ საჭირო ხარჯები ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, აღნიშნული ხელს შეუწყობს ბიზნესებს შორის თანაბარი სათამაშო პირობების ჩამოყალიბებას.</p>

		<p>საშუალო ბიზნესზე გრძელვადიან პერიოდში დადებითად აისახება, რაც განპირობებული იქნება შემაკავებელი ეფექტით თაღლითი მოვაჭრეების/მწარმოებლების და სახიფათო პროდუქტების უკეთ გამოვლენის გზით.</p> <p>ამასთან, მცირე ბიზნესისგან განსხვავებით, საშუალო ზომის საწარმოების შემთხვევაში, პოლიტიკის ალტერნატივა განიხილება როგორც უფრო ზომიერი გავლენა ბიზნესებს შორის თანაბარი სათამაშო პირობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.</p> <p>შედეგად, ბიზნესებს აქვთ ზომიერი მოლოდინი, რომ მომხმარებელთა ნდობის გაზრდა პირდაპირ დაკავშირებული იქნება ბიზნესების შემოსავლების ზრდასთან.</p>	
სოციალური	<p>---</p> <p>მავნე პროდუქციის ხელმისაწვდომობა ზრდის სამომხმარებლო ხარჯებს</p>	<p>+++</p> <p>აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების არსებობა, უზრუნველყოფს მომხმარებელთა მავნე ზეგავლენის მქონე პროდუქტებზე ნაკლებ ხელმისაწვდომობას, რაც გამოიწვევს არაპირდაპირი ხარჯების შემცირებას და შესაბამისად, პოზიტიურად აისახება მომხმარებელთა დანახარჯების შემცირებაზე.</p>	<p>++</p> <p>აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების არსებობა, უზრუნველყოფს მომხმარებელთა მავნე ზეგავლენის მქონე პროდუქტებზე ნაკლებ ხელმისაწვდომობას.</p>

<p>გარემოსდაცვა</p>	<p>0</p>	<p>+++</p> <p>ზედამხედველობის ფარგლებში, საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრების შედეგად, შეზღუდული იქნება მავნე ნაერთების მთლიანი შემცველობა გარკვეულ პროდუქციაში, მაგ. სამშენებლო მასალებში, საღებავებში, ლაქებსა და მანქანების გადამუშავების პროდუქტებში და სხვ. შესაბამისად, დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში მყოფი პროდუქტის გამოყენების შედეგად, შემცირდება მავნე ნივთიერებების გაფრქვევა და ჰაერის ხარისხი გაუმჯობესდება.</p>	<p>++</p> <p>არსებული საჯარიმო პოლიტიკის და ზედამხედველობის სიხშირის ზრდის შედეგად, მოსალოდნელია, მცირედით, ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსების შეზღუდვა და ხელმისაწვდომობა, რომელიც ჰაერში იწვევს მავნე ნივთიერებების გაფრქვევას.</p>
<p>საჯარო ფინანსები</p>	<p>0</p>	<p>+/-</p> <p>ერთი მხრივ, იზრდება საბიუჯეტო ხარჯები რეგულაციების აღსრულებაზე, მეორე მხრივ, პირველ ეტაპზე მოსალოდნელია აღსრულების პროცესში ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, თუმცა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში, გამკაცრებული საჯარიმო პოლიტიკამ პრევენციული ხასიათის გავლენა უნდა იქონიოს. ამდენად, გავლენა საჯარო ფინანსებზე გაურკვეველია.</p>	<p>+/-</p> <p>მნიშვნელოვნად იზრდება აღსრულების ხარჯები, ხოლო აღსრულებიდან მიღებული შემოსავლები, საჯარიმო პოლიტიკის უცვლელად დატოვების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ვერ გაიზრდება.</p>

ცხრილი 18. თვისებრივი ანალიზის შედეგები

კრიტერიუმი	წონები	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
ეფექტიანობა	25%	++++	++
ეკონომიკური ზეგავლენა	15%	+++	++
სოციალური ზეგავლენა	48%	+++	++
გარემოს დაცვა	8%	+++	++
განხორციელება	4%	+++	++
ჯამი	100%	3.25	2.0

7. ალტერნატივების შედარება

7.1 ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე, პირველი ალტერნატივის მიმდინარე სარგებელი 10 წლიან პერიოდში **655.9 ათას ლარს** გაუტოლდება, ხოლო მიმდინარე დანახარჯი - **4,336.1 ათას ლარს**.

შედეგად, პირველი ალტერნატივის **წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) 2024-2033 წლებში უარყოფითია და 3,680.2 ათას ლარს შეადგენს**.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტანდარტული ხარჯების შეფასებით, ზედამხედველი ორგანოს მიერ ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო იქნება ახალი თანამშრომლების აყვანა, მათი გადამზადება, ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და წინასწარი შეფასებით, დანახარჯი პირველივე წელს ნომინალში, საშუალოდ 480,6 ათას ლარს მიაღწევს.

მეორე ალტერნატივის მიმდინარე სარგებელი 10 წლიან პერიოდში **1,171.5 ათას ლარს** გაუტოლდება, ხოლო მიმდინარე დანახარჯი - **7,830.7 ათას ლარს**. მეორე ალტერნატივის **წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) 2024-2033 წლებში უარყოფითია და 6,659.2 ათას ლარს შეადგენს**. მეორე ალტერნატივის დანახარჯი პირველივე წელს ნომინალში, საშუალოდ 843.1 ათას ლარს მიაღწევს.

შედეგად, პირველი ალტერნატივის განხორციელებისთვის ნაკლები ადმინისტრაციული ხარჯია საჭიროა, რაც მას უპირატესობას ანიჭებს.

7.2 ხარჯთეფექტიანობის ანალიზი

ხარჯთეფექტიანობის ანალიზის მიზანია, შეაფასოს პოლიტიკის ალტერნატივების ხარჯებისა და ზეგავლენის რაოდენობრივ მაჩვენებლებს შორის თანაფარდობა. ეს მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ალტერნატივის პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლის შეფასება შეუძლებელია ან/და არ არის მიზანშეწონილი.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, RIA-ს გუნდი შეეცადა გამოეკვლია, თუ როგორი აღსრულების რეჟიმია ხარჯთეფექტური მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული რამდენად უზრუნველყოფს ფინანსური ზარალის თავიდან აცილებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ზოგადად, მოვაჭრეები კანონს მაქსიმალურად იცავენ მაშინ, როდესაც მათი უკანონო მოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში ადგებათ ისეთი ხარჯები, რომელიც აღემატება ამ ქმედებით მიღებულ სარგებელს. ამდენად, არასასურველი შედეგები, რომელსაც წარმოშობს კონკრეტული აღსრულების პოლიტიკის ვარიანტი, უნდა შედარდეს მოვაჭრეების სავარაუდო სარგებელს მიღებულს კანონდარღვევებისგან (OECD).

საჯარიმო პოლიტიკაზე საუბრისას, ხშირად ასევე, ხდება იმის ხაზგასმა, რომ ჯარიმები ეფექტურია დარღვევების პრევენციის თვალსაზრისით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სააღსრულებო პოლიტიკა, რომლის ძირითადი მიზანია მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია, არ იყოს შეუსაბამოდ დიდ რესურსებთან დაკავშირებული. ცხადია, გასათვალისწინებელია სხვადასხვა პოლიტიკის ვარიანტების ხარჯები მათ სავარაუდო ზეგავლენასთან მიმართებაში.

ცხადია, საჯარიმო პოლიტიკის გონივრული მიზანი არ შეიძლება იყოს ყველა დარღვევის თავიდან აცილება, რადგან ეს რომ შესაძლებელიც იყოს, მისი მიღწევის ღირებულება აუცილებლად გადაწონის სარგებელს. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მაღალი შესაბამისობის დონე მიღწეული იქნას „დანახარჯების ეფექტურობით“, რაც გულისხმობს, რომ სასურველი შედეგი - შესაბამისობის მაღალი დონე მიწეული იქნას ყველაზე დაბალ ფასად.

საჯარიმო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებისას, პოლიტიკის ალტერნატივის განხორციელებისას გაწეული ადმინისტრაციული და გადაცდომის ხარჯები უნდა შედარდეს სარგებელს. როგორც წესი, რაოდენობრივი სანდო მონაცემების მოპოვება, თუნდაც ადმინისტრაციული ხარჯების თვალსაზრისით, რთულია, თუმცა კვლევის მიზნებისთვის, ქვემოთ განხილულია გაერთიანებული სამეფოს შეფასების მოდელი.

აღსრულების ხარჯები

ტიპური დანაშაულისთვის ტიპური შემთხვევის აღსრულებასთან დაკავშირებით, გაერთიანებული სამეფოს სავაჭრო სტანდარტების სამსახურმა შეიძლება „დანახარჯოს“ 1 ოფიცრის სამუშაო დღე სამართალდარღვევის გამოსაძიებლად, 2 დღე არაფორმალური გაფრთხილებისთვის, 4 დღე ოფიციალური გაფრთხილებისთვის და 10 დღე სისხლისსამართლებრივი დევნისთვის. ამ უკანასკნელისთვის, დამატებით იქნება უფროსი მენეჯმენტის დრო - 5 დღე, ასევე, იურიდიული ხარჯები.

საერთაშორისო პრაქტიკაში, არსებობს მიდგომა, როდესაც ადმინისტრაციული სანქციები ითვალისწინებს არამხოლოდ აღსრულების ადმინისტრაციულ ხარჯებს (E), ასევე, დაზარალებულთა კომპენსაციასაც (pC), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

$$F = E + pC$$

ამდენად, ერთის მხრივ, გამოიკვეთა მიდგომა, როდესაც საჯარიმო პოლიტიკის ეფექტიანობამ უნდა უზრუნველყოს, რომ U - მოვაჭრეების სავარაუდო სარგებელი

მიღებული კანონდარღვევებისგან, ნაკლები იყოს აღნიშნული კანონდარღვევისთვის დაწესებული ჯარიმის ოდენობაზე.⁴²

U < F

მეორეს მხრივ, კვლევის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია შევაფასოთ, პოლიტიკის რომელი ალტერნატივის შემთხვევაში არის მოსალოდნელი რომ მოვაჭრეების სავარაუდო სარგებელი, მიღებული კანონდარღვევებისგან უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე მათ მიერ ნორმებთან შესაბამისობისთვის გაწეული შესაბამისობის ხარჯები.

RIA-ს გუნდის მიერ, ხარჯთეფექტიანობის ანალიზის შედეგების შეფასების მიზნით, საბაზისო სცენართან ერთად შეფასდა თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი გავლენები.

- ✓ საბაზისო სცენარისთვის გაკეთდა დაშვება, რომ ბიზნესის ხარჯი კანონდარღვევებზე უცვლელია - **F**;
- ✓ პირველი ალტერნატივის დროს კანონდარღვევებზე გაწეული ხარჯი იზრდება, გაზრდილი საჯარიმო პოლიტიკის და საზედამხედველო ფუნქციის შედეგად - **2F**;
- ✓ მეორე ალტერნატივის დროს კანონდარღვევებზე გაწეული ხარჯი იზრდება, თუმცა ნაკლებად ვიდრე პირველი ალტერნატივის შემთხვევაში და უფრო მეტად, ვიდრე საბაზისო სცენარის დროს, რადგან ხარჯი გამოწვეულია ზედამხედველობის მასშტაბის ზრდით - **1.5E**.

საბაზისო სცენარი	პირველი ალტერნატივა	მეორე ალტერნატივა
$(U - F) / F$	$(U - 2F) / 2F$	$(U - 1.5F) / 1.5F$

შედეგად, პირველი ალტერნატივის დროს, მოვაჭრეების სავარაუდო სარგებელი მიღებული კანონდარღვევებისგან უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე მეორე ალტერნატივის შემთხვევაში და უფრო ნაკლები, საბაზისო სცენართან მიმართებით. ამდენად, საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრების და საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერების ეფექტიანობის კოეფიციენტი პირველი ალტერნატივის შემთხვევაში ყველაზე დადებითი შედეგის მქონეა.

⁴² **F** fines; **E** enforcement; **p** probability; **C** compensation; **U** unfair;

ცხრილი 19. ალტერნატივების ზეგავლენის შეჯამება

ზეგავლენა	პირდაპირი / არაპირდაპირი	ჯგუფ(ებ)ი რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა	მოსალოდნელი შედეგების შეფასება	შესაბამისი საზომი ინდიკატორ(ებ)ი	ალტერნატივები, რომელიც ექვემდებარება აღნიშნულ ზეგავლენას
ეფექტიანობა					
პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების რეგულაციასთან შესაბამისობა	პირდაპირი	მთავრობა	დადებითი	შესაბამისობაშია პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების რეგულაციასთან	ალტერნატივა 1, ნაკლებად ალტერნატივა 2
	პირდაპირი	ბიზნეს სექტორი	დადებითი	შემცირებულია ბაზარზე საფრთხის შემცველი პროდუქციის განთავსება	ალტერნატივა 1, ნაკლებად ალტერნატივა 2
ბაზრის ზედამხედველი ორგანოს გაძლიერება	პირდაპირი	ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	დადებითი	სააგენტო უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით	ალტერნატივა 1, მეტად ალტერნატივა 2
ზედამხედველობის სისტემის ეფექტიანობის ზრდა	პირდაპირი	ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	დადებითი	დაწესებულია დარღვევის ადეკვატური ჯარიმები; მცირდება სააგენტოში შესული საჩივრების რაოდენობა; მცირდება განმეორებითი და მრავალჯერადი შემთხვევების რაოდენობა	ალტერნატივა 1, ალტერნატივა 2
ეკონომიკური					
შესაბამისობის ხარჯები	პირდაპირი	ბიზნეს სექტორი	უარყოფითი მოკლევადიან პერიოდში, მათთვის, ვინც არ იცავდა ნორმებს	გაზრდილია შესაბამისობის დანახარჯი მათთვის, ვინც არ იცავდა ნორმებს	ალტერნატივა 1 უფრო მეტად, ვიდრე ალტერნატივა 2
მომხმარებლის ხარჯი	არაპირდაპირი	მომხმარებლები	დადებითი	შემცირებულია მომხმარებლის დანახარჯები მავნე	ალტერნატივა 1 უფრო მეტად

				პროდუქციის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შემცირების გზით	ვიდრე ალტერნატივა 2
მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა	არაპირდაპირი	ბიზნეს სექტორი	დადებითი	გაზრდილია მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადობა	ალტერნატივა 1
საჯარო ფინანსები					
საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები	პირდაპირი	სახელმწიფო ინსტიტუციების ხარჯი	უარყოფითი	იზრდება საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების ხარჯები	ალტერნატივა 1 უფრო ნაკლებად, ვიდრე ალტერნატივა 2
	პირდაპირი	აღსრულების პროცესში მიღებული შემოსავლები	დადებითი	გაზრდილია შემოსავლები	ალტერნატივა 1, ალტერნატივა 2
სოციალური					
მაკროეკონომიკის ხელმისაწვდომობის გამოწვეული გავლენა ჯანმრთელობაზე	პირდაპირი	მოსახლეობა	დადებითი	მცირდება ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის ხარჯების წილი სამომხმარებლო ხარჯებში	ალტერნატივა 1 უფრო მეტად, ვიდრე ალტერნატივა 2

7.3 უპირატესი ალტერნატივა

ალტერნატივების შედარება და მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი აჩვენებს პირველი ალტერნატივის ცალსახა უპირატესობას, როგორც მეორე ალტერნატივასთან, ასევე, საბაზისო სცენართან მიმართებით. პირველი ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს **ბაზარზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებას და ადმინისტრაციული ჯარიმების გაზრდას**, მეორე ალტერნატივასთან შედარებით დაკავშირებულია ნაკლებ ადმინისტრაციულ ხარჯთან და პრობლემის აღმოფხვრის ეფექტიან მიდგომასთან. ამასთან, პირველი ალტერნატივა, რომელიც ასევე, ითვალისწინებს ბაზარზე ზედამხედველი ორგანოს ინსტიტუციურ გაძლიერებას და პროაქტიულ ღონისძიებებს, დაკავშირებულია მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელთან, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის,

რომლისთვისაც იზრდება ბაზარზე კონკურენტული გარემო თაღლითი ბიზნეს სუბიექტების მიმართ გამკაცრებული პოლიტიკის შედეგად.

საბაზისო სცენართან შედარებით, მოსალოდნელია, რომ პირველმა ალტერნატივამ, ნორმების დარღვევის ადეკვატურის საჯარიმო პოლიტიკით და კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფით შესაძლო დარღვევის შემთხვევების შემცირება და პრევენცია, ისე, რომ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტომ მიზნობრივად, ნაკლები დანახარჯებით განახორციელოს შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტების მაქსიმალური მოცვა. ამდენად, ზედამხედველობის ფუნქციის სამართლიან პრინციპებზე წარმართვამ, რეალურად უნდა უზრუნველყოს პრობლემის ძირითადი ნაწილის აღმოფხვრა.

8. მონიტორინგი და შეფასება

კვლევის შედეგად, შერჩეული იქნა პირველი ალტერნატივა. ამდენად, ალტერნატივის შერჩევის და შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვანია პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი, რითაც ფასდება, თუ რამდენად კარგად პასუხობს აღნიშნული პოლიტიკა წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ მიზნებს. მონიტორინგისა და განხორციელების ეტაპზე ხდება პასუხისმგებელი ორგანოს მიერ ამოცანების შესრულების შეფასება შესაბამის ვადებში.

ცხრილი 20. ამოცანების შესრულების პერიოდი და პასუხისმგებელი უწყებები

კონკრეტული ამოცანა	შეფასების სიხშირე	პასუხისმგებელი
საკანონმდებლო ჩარჩო		
კანონის პროექტის მომზადება	საბაზისო წელი	ბაზარზე შედამხედველობის სააგენტო
კანონის პროექტის წარდგენა მთავრობაზე	საბაზისო წელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
რეგულაციების აღსრულება		
ბაზარზე შედამხედველობის სააგენტოს მიერ გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა	ყოველწლიურად	ბაზარზე შედამხედველობის სააგენტო
ბაზარზე შედამხედველობის სააგენტოს მიერ გამოვლენილი განმეორებითი, მრავალჯერადი დარღვევის ფაქტების რაოდენობა	ყოველწლიურად	ბაზარზე შედამხედველობის სააგენტო
ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა, რომლებმაც შეასრულეს სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები	ყოველწლიურად	ბაზარზე შედამხედველობის სააგენტო
ბაზრის მონიტორინგი		
ბაზრის მოკვლევა	საჭიროებისამებრ	ბაზარზე შედამხედველობის სააგენტო

9. კომპეტენტური პირის ხელმოწერა

წავიკითხე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში და არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, იგი წარმოადგენს გონივრულ ხედვას შემოთავაზებული ვარიანტების სავარაუდო ხარჯების, სარგებლისა და ზემოქმედების შესახებ.

სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

გიორგი უკლება

10. დანართები

დანართი N1.

ჯარიმების სახეები და განაკვეთები (ლარი)

N	ჯარიმების სახეები	ჯარიმების არსებული განაკვეთები	შემოთავაზებული ჯარიმის განაკვეთები	ჯარიმის განაკვეთები განმეორების შემთხვევაში
1	ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა	1 500	1 500-დან 3 000 ლარამდე	3 000-დან 5 000 ლარამდე
2	ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების ამოღების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა	3 000	3 000-დან 5 000 ლარამდე	5 000-დან 8 000 ლარამდე
3	ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების გამოთხოვის შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა	5 000	5 000-დან 7 000 ლარამდე	7 000-დან 10 000 ლარამდე
4	ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების განადგურების შესახებ	7 000	7 000-დან 9 000 ლარამდე	9 000-დან 12 000 ლარამდე
5	პროდუქტი არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს	-	1 000 მწარმოებელი ან იმპორტიორი - 1 500	შესაბამისი სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა
6	პროდუქტი არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს	-	2 000 მწარმოებელი ან იმპორტიორი - 3 000	შესაბამისი სამართალდარღვევისთვის დაკისრებული

	კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეიცავს საფრთხეს			ჯარიმის ორმაგი ოდენობა
7	პროდუქტი არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეიცავს სერიოზულ საფრთხეს	-	3 000 მწარმოებელი ან იმპორტიორი - 4 000	შესაბამისი სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა
8	პროდუქტი არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს	-	4 000 მწარმოებელი ან იმპორტიორი - 5 000	შესაბამისი სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა
9	ეკონომიკური ოპერატორის მიერ დაირღვა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება	-	500	შესაბამისი სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა

დანართი N2

მწარმოებლების და მიმწოდებლების მიერ შევსებული კითხვარის შედეგები.

1. რამდენად აკმაყოფილებს არსებული კანონმდებლობა და მარეგულირებელი მექანიზმები, რომ მიღწეული იქნას მომხმარებლის დაცვის მაღალი დონე სახიფათო პროდუქტების შემცირებით? რა არის ის ძირითადი ფაქტორები, რამაც შეიძლება შეუწყოს ხელი/შეუშალოს ხელი?
2. თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურია დადგენილი ბაზრის ზედამხედველობის სისტემა?
3. რა არის ბიზნესისთვის მარეგულირებელი ხარჯები? კერძოდ, რა ხარჯებთან არის დაკავშირებული პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობა და დაახლოებით რამდენია მისი წილი პროდუქტის ფასში?

4. თქვენი შეფასებით, რა სარგებელი აქვს პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებს ბიზნესისთვის, სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისათვის?
5. რამდენად არის ბიზნესის შესაბამისობის ხარჯები სარგებლის პროპორციული (მაგ. მომხმარებლის ნდობა)?
6. რა იქნება სავარაუდო შედეგი, თუ არსებული მდგომარეობა (საჯარიმო პოლიტიკა) უცვლელი დარჩება? როგორი იქნება გავლენა კონკურენციაზე, მომხმარებელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე?

ზედამხედველი ორგანოს ადმინისტრაციული ხარჯები და შემოსავლები (ალტერნატივა 1)

ზედამხედველი ორგანო	ერთეული	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033
ადამიანური რესურსები		12		4				4			
მანქანა		2		1				1			
საწვავი (ლარი)	2.9										
შრომის ანაზღაურება (ლარი)	2,200	316,800	316,800	422,400	422,400	422,400	422,400	528,000	528,000	528,000	528,000
თანამშრომელთა ტრენინგი		5,000		5,000				5,000			
მანქანი ღირებულება (ლარი)	40,500	81,000		40,500				40,500			
დაზღვევა (ლარი)	150	3,600	3,600	5,400	5,400	5,400	5,400	7,200	7,200	7,200	7,200
მანქანის მომსახურება	5,000	10,000	10,000	15,000	15,000	15,000	15,000	20,000	20,000	20,000	20,000
საწვავი (ლიტრი)	300	20,880	20,880	31,320	31,320	31,320	31,320	41,760	41,760	41,760	41,760
კომუნიკაცია (ლარი)	25	3,600	3,600	4,800	4,800	4,800	4,800	6,000	6,000	6,000	6,000
ტექნიკური აღჭურვილობა		7,000		3,000				3,000			
პენსია	4%	12,672	12,672	16,896	16,896	16,896	16,896	21,120	21,120	21,120	21,120
ზედამხედველობის დანახარჯი		20,000	20,000	30,000	30,000	30,000	30,000	40,000	40,000	40,000	40,000
სულ ხარჯი (ლარი)		480,552	387,552	574,316	525,816	525,816	525,816	712,580	664,080	664,080	664,080
საშემოსავლო გადასახადი (ლარი)		62,093	62,093	82,790	82,790	82,790	82,790	103,488	103,488	103,488	103,488

ზედამხედველი ორგანოს ადმინისტრაციული ხარჯები და შემოსავლები (ალტერნატივა 2)

ზედამხედველი ორგანო	ერთეული	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033
ადამიანური რესურსები		20		10				5			
მანქანა		4		2				1			
საწვავი (ლარი)	2.9										
შრომის ანაზღაურება (ლარი)	2,200	528,000	528,000	792,000	792,000	792,000	792,000	924,000	924,000	924,000	924,000
თანამშრომელთა ტრენინგი		5,000		5,000				5,000			
მანქანი ღირებულება (ლარი)	40,500	162,000		81,000				40,500			
დაზღვევა (ლარი)	150	7,200	7,200	10,800	10,800	10,800	10,800	12,600	12,600	12,600	12,600
მანქანის მომსახურება	5,000	20,000	20,000	30,000	30,000	30,000	30,000	35,000	35,000	35,000	35,000
საწვავი (ლიტრი)	300	41,760	41,760	62,640	62,640	62,640	62,640	73,080	73,080	73,080	73,080
კომუნიკაცია (ლარი)	25	6,000	6,000	9,000	9,000	9,000	9,000	10,500	10,500	10,500	10,500
ტექნიკური აღჭურვილობა		12,000		6,000				6,000			
პენსია	4%	21,120	21,120	31,680	31,680	31,680	31,680	36,960	36,960	36,960	36,960
ზედამხედველობის დანახარჯი		40,000	40,000	60,000	60,000	60,000	60,000	80,000	80,000	80,000	80,000
სულ ხარჯი		843,080	664,080	1,088,120	996,120	996,120	996,120	1,223,640	1,172,140	1,172,140	1,172,140
საშემოსავლო გადასახადი		103,488	103,488	155,232	155,232	155,232	155,232	181,104	181,104	181,104	181,104

პოლიტიკის ამოცანების რანჟირება დაწყვილებული შედარებითი ანალიზით

საჯარო პოლიტიკის ცვლილება	ეფექტიანობა	ეკონომიკური	სოციალური	გარემოსდაცვა	განხორციელება
ეფექტიანობა	1.00	3.00	0.33	3.00	7.00
ეკონომიკური	0.33	1.00	0.20	3.00	5.00
სოციალური	3.00	5.00	1.00	5.00	7.00
გარემოსდაცვა	0.33	0.33	0.20	1.00	3.00
განხორციელება	0.14	0.20	0.14	0.33	1.00

საატის პრიორიტეტულობის სკალის მიხედვით, კრიტერიუმები წყვილებში დარდება ერთმანეთს. 1 ნიშნავს რომ ინდიკატორს იგივე მნიშვნელობა აქვს მეორე ინდიკატორთან მიმართებით. ამდენად, 1 ყოველთვის იწერება იმ გადაკვეთაში, როდესაც ერთი და იგივე ინდიკატორია მოცემული ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ცხრილში. თუმცა, შესაძლებელია 1 დაიწეროს სხვადასხვა ინდიკატორების ურთიერთშედარების დროსაც.

3 ნიშნავს რომ ერთ კონკრეტულ ინდიკატორს მეორე ინდიკატორთან მიმართებით აქვს სუსტი უპირატესობა. ამ შემთხვევაში პირველ ინდიკატორს ეწერება 3 ქულა, ხოლო მეორე ინდიკატორს ეწერება ერთის მესამედი შეფასება.

5 შეფასება ნიშნავს, რომ ერთ კონკრეტულ ინდიკატორს ძლიერი უპირატესობას აქვს მეორე ინდიკატორთან მიმართებით. ამ შემთხვევაში პირველ ინდიკატორს ეწერება 5 ქულა, ხოლო მეორე ინდიკატორს ეწერება ერთის მეხუთედი შეფასება.

ანალოგიურად, 7 ნიშნავს გამოკვეთილი დომინირებას, ხოლო 9 - აბსოლუტურ დომინირებას. შედარებულ ინდიკატორებს ეწერებათ ერთის შეფარდება შესაბამის ქულასთან.

შეფასებისას, ასევე, შესაძლებელია (უფრო იშვიათად) გამოყენებული იქნას 2-4-6-8, რაც გარდამავალ მნიშვნელობას გულისხმობს.